


ლიტერატურული საქართველო



საქართველო

ლიტერატურული საქართველო * LITERATURULI SAQARTVELO * ЛИТЕРАТУРУЛИ САКАРТВЕЛО

26 ნოემბერი 2021წ. №31 (4030) გამომცემის 91-ე წელი ფასი 1 ლარი



ზმთისპირელი

ივანე ჯავახიშვილი

მოქალაქის ზმთისპირელი

მოდის ზამთარი, დაათოვს მალე მთებს, მონყენილს და შარშან დანათოვს, რა ელოდება დაბინდულ თვალებს, ეგებ, რაღაცამ გამოანათოს.

ვწუხვარ, ბრუნვაში დავკარგე გეზი, საითკენ გადამხარა საჭემო... ბუნებას მისი აქვს ზნე და წესი, აღარ დადგება ჟამი საჩემო.

ამოძახილი

უბირი, არას მცოდნე, უპოვარი და უნდო, ვეძებ ღამისფერ უბეს, იქ უნდა მოვიკუნტო.

გინდ გადაკეტონ ხორხი, მხერხავდეს ბირდაბირი, ცოდვილს, ვეცდები, მქონდეს გამოსაჩენი პირი.

ძმავ და მოყვასო ჩემო, გამოგადგება თუ რო, მზადა ვარ, მეყსეულად, სულიც არ დავიშურო.

თავის არ მიყვარს მორთვა, არ მეძძიმება ტვირთი, გავერთო, როგორ ვიზამ, სხვამ თქვას, თუ რამედ ვლირდი.

მაქვს სათხოვარი, ვიდრე მღვრიე დაგვიტრევს ლეთა, არავის დავანებოთ სამშობლო დასაფლეთად!

▶▶ დასასრული. 80-8 გვ.

ბალანის ფენომენოლოგია

ის იყო ქართული გონის გამოხატულება პლასტიკაში. მისი ყოველი ნაკვთი, მოძრაობა, გამოხედვა, ქცევა, ნაბიჯი განსაზღვრული იყო არქიტექტურული კოდით, რომელიც ყველა ჩვენგანში არსებობს, მაგრამ მთლიანად მხოლოდ მასში, ამ ერთადერთ ქართველში გამოვლინდა.

ის თამაშობდა ფეხბურთს და მასში თამაშობდა გენი - მთელი თავისი შინა-არსით, არტიზტიზმით, არისტოკრატიზმით.

მისი ყოველი ფესტი მწვანე მინდორზე, ეს იყო თავისუფლებისა და დემოკრატიზაციის მანიფესტაცია, ჩვენი ისტორიის ათასწლეულებში გამოტარებული სუვერენობის იდეის გაცხადება.

ის იყო მსოფლიო მასშტაბის აქტორი და მას ბედმა დააკისრა ჩვენი ეროვნული პრესტიჟის დაცვა ახალ გლობალურ პოლიტიკაში, რომელიც საფეხბურთო ინდუსტრიამ შექმნა მეოცე საუკუნის მეორე ნახევარში.

დათო ყიფიანი - ჩვენი კერპი და ჩვენი ნოსტალგია...

ასეთი ინდივიდუუმი, როგორც თავისთავადი, თვითმყოფადი, დამოუკიდებელი, ცალკარსი მოვლენა, მსოფლიო ფეხბურთის ბევრი არ ახსოვს. ბევრი და ბევრზე ბევრიც არის შედეგიანი, გოლეადორი, რეკორდსმენი, ტიტულოვანი და სახელოვანი, მაგრამ ასეთი დახვეწილი, ნატიფი, ამალეებული თავისი ადამიანური არსით - ცოტა, ძალიან ცოტა გვინახავს.

რა ეპითეტებს არ ხარჯავდნენ კომენტატორები მისთვის - „პროფესორი“, „აკადემიკოსი“, „რაინდი“, „ჯენტლმენი“ და ასე შემდეგ, მაგრამ მთავარი განსაზღვრება, ყველაზე ახლოს მდგარი ჭეშმარიტებასთან, გახლდათ ალბათ ის, რომ დავით ყიფიანი იყო ქართველობის ემბლემა.

იყო მასში ზოგადქართული და, ამდენად, ზოგადკავკასიურიც, ზოგადმამაკაცურიც, რაშიც ქართული ენა გულისხმობს ისეთ ცნებებსაც, როგორებიცაა „დარბაისელი“, „დიდკაცი“, „ლირსი“.

დავით ყიფიანი - 70



ამავე დროს, იყო მასში რაღაც დონკიხოტურიც ამ სიტყვის ყველაზე ადამიანური გაგებით. ჩვენ გვახსოვს მისი თამაში 1981 წლის სექტემბერში, პრალაში, ევროპის ნაკრების შემადგენლობაში. როგორც ცა და მიწა, ისე განსხვავდებოდა ის და მისი თამაში დანარჩენი მოთამაშეებისგან და მათი თამაშისგან, აშკარად ჩანდა, რომ ფეხბურთი მისთვის მარტო ბურთის გორება არ იყო და მარტო ჩვენ ვიცოდით, რომ მთავრდებოდა ის დიდი დღესასწაული, რომელსაც ის დგამდა 1970-იან და 80-იანი წლების დასაწყისში.

ესტეტიკური ფენომენი, უცნაური და უცნობი მათთვის, და უაღრესად გასაგები და ნაცნობი ჩვენთვის.

მაგრამ არ ვიცოდით, რომ როდესაც ის მწვანე მინდორს დატოვებდა, დაიწყებოდა სიცარიელე უსასრულო და უიმედო... დღემდე.

ტიციან ტაბიძეს აქვს ვაჟა-ფშაველას ნათქვამი: „მთა ერთხელ ამოგდებს იხთიოზავრს, დანარჩენ დროს სიჩუმეა და ცხვარი ძოვს ბალახს“.

ეს არის ტალანტის ფენომენოლოგია.

ჩვენი ანკედა



ლევან ლორია

83.3

გულის ფიტარზა აღბაქდილი



გ. გოგიანივილი კ. გამსახურდიაზა

83.4

ჭაბუა ამირაჯიბი - 100



ჭაბუა ამირაჯიბი

83.5

ნიგინიდან „თბილისური ნოველები“



ნიგინიდან

83.6-7


პიასაში გაცოცხლებული ბარათაშვილი



პიასაში გაცოცხლებული ბარათაშვილი

83.9

თავაზ ნიჟნიჰაის პრემიის მოსაპოვებლად



დაარსდა გამოჩენილი ქართველი მწერლის, კრიტიკოსისა და საზოგადო მოღვაწის თავაზ ნიჟნიჰაის ფონდი, რომელიც მიზნად ისახავს მრავალმხრივ შემოქმედებით, საგანმანათლებლო და საზოგადოებრივ საქმიანობას.

ფონდმა დააარსა „თავაზ ნიჟნიჰაის“ პრემია, რომელიც ყოველწლიურად გაიცემა შემდეგი ნომინაციების მიხედვით: წლის საუკეთესო კრიტიკული წერილი (მთავარი პრემია - 1500 ლარი);

წლის საუკეთესო პროზაული ნაწარმოები - 1 000 ლარი;

წლის საუკეთესო პოეტური ნაწარმოები - 1 000 ლარი;

წლის საუკეთესო საბავშვო ნაწარმოები - ლექსი, მოთხრობა, ილუსტრაცია (თითოეულისთვის - 1000 ლარი).

გამარჯვებულებს გამოავლენს სპეციალური ჟიური. პრემიები გაიცემა 2022 წლის იანვარში.

მასალები პრემიის მოსაპოვებლად შეუძლიათ წარმოადგინონ როგორც ავტორებმა და კერძო პირებმა, ისე ორგანიზაციებმა - მისამართზე: თბილისი, ზანდუკელის ქ. №1, გაზეთ „ლიტერატურული საქართველოს“ რედაქცია;

ელექტრონული ვერსიებისთვის: litsagartvelo@yahoo.com

(წარმოდგენილი ნაწარმოებები გამოქვეყნებული უნდა იყოს 2021 წელს ბეჭდვით ან ელექტრონულ გამოცემებში).

მასალები მიიღება 2021 წლის 22 დეკემბრამდე.

პოეტი, მთარგმნელი, ფერმწერი, ხელოვნებათმცოდნე, ეროვნული კულტურული მემკვიდრეობის და ქვეყნის მინისტრის მოადგილის - მღვიმე-გამოქცეულთა მკვლევარი, გამოჩენილ მთარგმნელ ჯაფარიძეთა შთამომავალი იმერი ხრეველი - სიმონ ჯაფარიძე 80 წლისაა.

დაიბადა ქალაქ ქიათურაში (26.11.1941), დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტი და ამავე უნივერსიტეტის ხელოვნებისმცოდნეობის ფაკულტეტი.

სტუდენტობიდან მოყოლებული კვლევითი, შემოქმედებითი და ორგანიზატორული ნიჭით გამოირჩეოდა. მოძიებული და ჩაწერილი აქვს მრავალფეროვანი პოეტური და მუსიკალურ-ფოლკლორული მასალა, რომლებიც შესულია ქართული ზეპირსიტყვიერების მრავალტომეულში. არის ჟურნალ „არმაღანის“ დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი, არაერთი მეცნიერული თუ ლიტერატურული წიგნის გამომცემელ-რედაქტორი და ათი წიგნის ავტორი, მათ შორის შვიდი ორიგინალური ნაწარმოები, სამი თარგმანი - ბულგარული ხალხური პოეზია და ჰაინრიხ ჰაინეს ორტომეული (ზურაბ აბაშიძესთან ერთად შესრულებული).

სხვადასხვა დროს გავლდათ დედაქალაქის კეთილმოწყობის სამმართველოს მხატვრული განყოფილების კომბინატის განყოფილების, საქართველოს ისტორიის, კულტურისა და ბუნების ძეგლთა დაცვის სამმართველოს განყოფილების უფროსი. მისი მეთავეობით განხორციელდა რამდენიმე ექსპედიცია, მხატვრულ-დოკუმენტური ფილმი, „დედაენის მედალი“ და „ხატი“... აკაკი საიუბიტაძე და ქართულ-ბულგარული კულტურის დეკადა (საჩხერე-ქიათურა, 1990), „გადარჩენილი სიმღერა“ (ტყიბული, 1998), „რგანის ღვთისმშობლის ხატის აღდგენა-დაბრუნება“ (1995-2010). მასთან, სახელოვან მეცნიერ და მწერალ ივანე ჯაფარიძესთან ერთად მშობლიურ

სოფელ ხრეთში დააარსა მთამსვლელ ჯაფარიძეთა მემორიალური მუზეუმი...

მან იმერი ხრეველის ფსევდონიმით გამოსცა ორი პაღინდ-



ალრიცხულ 5445 ენას შორის (ბიბლიის ლექსიკონის ცნობა) თანხმობანთა მიჯრითი რაოდენობის მიხედვით სწორეპოვარია. ბატონმა სიმონმა ერთხელ კიდევ მიმოიხილა ქართული ენის მდიდარი ლექსიკა, ქართული პოეზიის შესაძლებლობანი და იპოვა იშვიათი, მიჯრით 10-თანხმოვან-შენწყობილი ქართული სიტყვა „განმკვებდენის“, მოხსნა წინა რეკორდი და გინესის დირექციას შესთავაზა ქართული ფენომენის ახალი ნიმუში.

„განმკვებდენი“ და „ბეთლემის ლეგენდა“ არის დედამიწის ზურგზე ზღვის დონიდან უმაღლესი მართლმადიდებლური სამონასტრო კომპლექსისა და ილია ჭავჭავაძის პოემა „განმკვებდენის“ სამყოფელი გამოქვეყნების - მყინვარწვერის წმინდა ადგილის ვრცელი გამოკვლევა, რომლის საფურნალო ვარიანტი აღმანახ „საგურამოში“ დაიბეჭდა.

დიდებული ნაწარმოები დღეს სამების ტაძარშია დაცემული.

გამოსაცემად მზადდება ორელოპედური ერთტომეული - „გეორგია - საქართველო, ოქროს საწმისის ქვეყანა“, რომელშიც თავს მოიყრის ყველა ქართული მიღწევა, ფაქტი და ფენომენი, რომელიც მსოფლიოში არსებულს უტოლდება ან აღემატება.

93 წლის პროფესორი, ზურაბ აბაშიძე, რომელიც მისი თანამოაზრე და თანამოკალმეა, წერს: „მარად მედინი დრო თავბრუდამხვევი სიჩქარით მიქრის და აგერ ჩვენი სიმონი 80 წლის გახდა. იგი აღორძინების ეპოქის მოღვაწეთა მსგავსი მრავალმხრივობით გამოირჩევა; მოხდა ისე, რომ ჩვენ გვიან გავიცანით ერთმანეთი, მაგრამ ამჟამად გვაქვს ახლო მეგობრული ურთიერთობა და თანამშრომლობა. 2018 წელს გამოიცა სიმონისა და ჩემს მიერ თარგმნილი ჰაინრიხ ჰაინეს ლექსების ორტომეული... მინდა მას შევკადრო და მის მიერ ჩემდამი მოძღვნილი ლექსის სტრიქონები მივართვა მასვე -

„ზემოდან უმზერს სამზერეთს, ედემს უცქერს და ოცდება, - ბეციდან ტურჩიუდებლად ეტრფის მზე და იკოცნება... ზღვის ზედაპირი სხივს რომ ირეკლავს სარკეში, ზღვაზე უზღვავეს განძს ეძებს სიტყვების სარკოფაგებში!“

სიმონმა დღემდე შემოინახა ხალისი, იუმორი, შემოქმედებითი გზნება და მე ვუსურვებ მას ჯანმრთელობას, სიკეთეს და თავისი უამრავი შემოქმედებითი ჩანაფიქრის განხორციელებას...

კაცი, რომელმაც ერთბაშად დაკარგა მხედველობა, მიუხედავად იმისა, რომ ბრალიის შრიფტი არ იცის, ერთი წუთითაც არ გაჩერებულა. მესამე წელია მუხრანის საგანგებო იმყოფება და უჩვეულო შემოქმედებით შრომას ეწევა. შედეგიც სახეზეა. გამოსაცემად მომზადებული აქვს რამდენიმე წიგნი.

გვანჯი მანია

ორდარა დრო

იმერი ხრეველი - სიმონ ჯაფარიძე-80

რომული წიგნი - „ორდარა დრო“ და „უკუთქმანი“. ორივეგან ყველა ნაწარმოები ორმხრივად, როგორც მარცხნიდან მარჯვნივ, ისე მარჯვნიდან მარცხნივ, ერთნაირად იკითხება. ასე გაჩნდა ქართულ ლიტერატურაში 223 უჩვეულო ლექსი და დამკვიდრდა ამ მოვლენის გამომხატველი ტერმინი „უკუთქმანი“. მსოფლიოში „არცერთ სხვა ენაზე არ შექმნილა წიგნი, ასეთი უჩვეულო ფორმით, აზრი რომ მიეტანოს მკითხველამდე“ ასე აფასებენ პოეტის ფენომენურ მიღწევას აღნიშნული წიგნების გამომცემელ-რედაქტორები ზურაბ ასკანიელი და პაატა ნაცვლიშვილი...

გინესის მსოფლიო რეკორდების წიგნში შეტანილია არაერთი ქართული რეკორდი. მათ შორისაა მ თანხმობანი სიტყვა - „გვფრცქვინს“, რომელიც მსოფლიოში

გრიგოლ ორბელიანით დაწყებული (1865), დღევანდლამდე გოეთეს ერთი ლექსი-შედეგის „მწუხრის მგზავრული“ ქართულად 80-ზე მეტი თარგმანი არსებობს. მათ შორის სამი ბატონ სიმონს ეკუთვნის.

დიდი იაკობ გოგებაშვილის დაბადების (1840) 170 და „დედაენის“ პირველი გამოცემის (1876) 135 წლისთავის აღსანიშნავად ჩვენმა იუბილარმა დახატა სიმბოლური ემბლემა-მედალიონი, ანუ კომპლექსურად წარმოვიდგინა ვიზუალური პოეზიის ნიმუში - მსოფლიოში უმცირესი ვერსიფიკაციული პაღინდრომი „აი ია“, რომლის საფუძველზე მოზაიკური ფერწერის დიდოსტატმა ნელი ბერაიამ შექმნა ძვირფასი ქვებით დამზვენებული იისა და ჯვრის - ღვთისმშობლისა და ქრისტეს ხატი „ღვთიური კვადრატი“. ეს



„დილა“ №11

ლექსები, ლექსები, ლექსები... ანუ სიტყვები, სიტყვები, სიტყვები სიყვარულისა „დილას“, აი, ასეთი:

„მზე სიცოცხლეს იწყებს დილით, „დილა“ ათწლეულებს ითვლის“. ლალი ჭავჭავაძის, ლია კობახაძის, მზია ჩხეტიანისა და დალი მაზმიშვილის ლექსები ჟურნალ „დილაზე“.

ბესიკ კეკელიძე - თბილისი მოთხრობა „შეპი ენდითა“ და მრავალჟამიერით: „ორი გიორგი“.

ისევ პოეზიის ორი გვერდი: ია ჯავახიშვილი, მაია კარსელი, ნუნუ ძამუყაშვილი, ზურაბ მამულაშვილი და რაულ ჩილაჩავა მხიარული ლექსებითა და საუკეთესო განწყობილებებით.

როგორ უმასპინძლეს წინილა წიას კურდღელმა ჯულიომ და თავგმა ტომა-ზომ: ნიკოლეტა კოსტას ზღაპარი, იტალიურიდან თარგმნა მაია ტურაბელიძემ.

ქეთი კვიციანიის ინოვაციური თამაში გონიერი ბავშვებისათვის - თემა „შემოდგომა“.

რალა თქმა უნდა, ნინო მზესელის გასაფურადებელი წიგნი. ამჯერად „დედუნ დედუნის უბის წიგნაკი“.

ნესტან კუპრავას ლექსი „ცეკვა“ - ბებიას დაკრულზე ცეკვავენ და ილხენენ დიდები და პატარები.

„მაკრატელი, სახელად კრაჭაკრუჭა“ - აკაკი დაუშვილის მოთხრობა სწორედ რომ კრაჭაკრუჭით.


მათემატიკური თავსატეხი: აბა, სცადეთ!

ბელა გველესიანი განაგრძობს აკაკი დაუშვილის მოთხრობის თემას - ამას რას ხედავს ჩვენი თვალები: რამხელა ისტორიაა შქონია მაკრატელს, რამდენი ფორმა, რამდენი დანიშნულება!

თინა ლომთაძის მოთხრობა, ანუ როგორ დაითვალთ ასი ცხვარი დაძინებამდე.

ცოური მესხიშვილის ლექსი „წუცას სკოლაში“ და აცრის თემა, მარტივად, გასაგებად: „აი, მზე და აი ცა, გუშინ წუცა აიცრა...“

აგრეთვე: ენის გასატეხები, გამოცანები, სათამაშო ლაბირინთები და, რალა თქმა უნდა, მხატვრები ფერად-ფერადები: ლამა სულაკაური, მალხაზ კუხაშვილი, ვაჟა ქურხული, ზაურ დეისაძე, მანანა მორჩილაძე, ანნა კანდელაკი, იულია ნიკოგოსოვა.



„დილა“ №5

გამოვიდა ლიტერატურულ ჟურნალ „დილა“ 2021 წლის V ნომერი.

ჟურნალის ეს ნომერი გამოიცა საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს მხარდაჭერით.

„მხატვრული ლიტერატურის“ რუბრიკით იბეჭდება: მიხო მოსულიშვილის საბავშვო პიესა „ოფოფების თეატრი“ (დასაწყისი); ალა დათუკიშვილის, ნინო არსენაშვილის, გივი ჩიღვინაძის, მურთაზ ნაკუდაშვილის, მაია დიაკონოშის ლექსები; ლანა მანველის რომანი „სად არის ბედნიერება“ (გაგრძელება), ნინო ძამუყაშვილის, გიორგი შარვაშიძის პროზაული ნაწარმოებები.

„თარგმანების“ რუბრიკაში გაეცნობით დინო ბუცატის მოთხრობას „ამბავი

ერთი მძღოლისა“. თარგმნა მაია ტურაბელიძემ.

რუბრიკით „რუსთველოლოგია“ ქვეყნდება რამაზ მეფარიშვილის „ვეფხისტყაოსნის“ კულტურულ-ესთეტიკური კონცეფცია.

„კრიტიკის“ რუბრიკაში იბეჭდება ნინო გიორგაძის „ძველი - ახალი რაკურსით ანუ გმირთა იდენტობის საკითხი დროში“, ნინო დარბაისელის „როგორ გავხდეთ გენიალური ფეისბუქ-პოეტი უმოკლეს დროში“, თინათინ თუშაბრამიშვილის „დამხატვ ლექსად“.

რუბრიკაში „წერილები“ წაიკითხავთ: ნელი ცქიტიშვილის „ილია - ქართული ჟურნალისტიკის მამამთავარი“, ნანა რჩეულიშვილის „ვაჟა-ფშაველას ლირიკული „აღსარებანი“.

ჟურნალში დაბეჭდილია მხატვარ ვანო გოცორიძის ფერადი და შავთეთრი ნახატები.

თანამედროვე ქართული მოთხრობა: ბექსი და სინამდვილე



ლევან ლორია

1. თქვენი აზრით, როგორ აისახება თანამედროვე ქართულ მოთხრობაში დღევანდელი მდგომარეობა, პიროვნულ-საზოგადოებრივი პრობლემები?
2. რა თემაზე უნდა მიამჯობინოთ ავტორებმა ყურადღება?
3. როგორ წარმოგიდგებათ ავტორის, როგორც პროზაიკოსის, ინტელექტუალური და მოქალაქეობრივი სახე: მასში ლიტერატურული უფრო მათია თუ ცხოვრებისეული?
4. თქვენი დაკვირვებით, რამდენად მნიშვნელოვან როლს ასრულებს მოთხრობაში მხარის ავტორობა?
5. როგორ იხატება თანამედროვე ქართული პროზატიკის სახე, მხატვრული ტიპი?
6. ხდებოდა თუ არა პინაკან კავშირს თანამედროვე ქართულ მოთხრობასა და ქართულ კლასიკურ (მე-19-მე-20 საუკუნეების) პროზას შორის?
7. რა განსხვავებაა მე-20 საუკუნის მიორე ნახევრის ქვეტექსტურ სტილსა და დღევანდელ თანამედროვე სტილს შორის?
8. როგორ აისახა თხრობის თანამედროვე მანერა და სიუჟეტის განვითარების ტექნიკა?
9. გაკმაყოფილებათ პროზის ანა, ანუ ქართული, როგორც ასეთი?
10. რამდენად მოქმედებს პროზაში ასაკობრივი ცხოვრებისეული გამოცდილების ფაქტორი?
11. თქვენი აზრით, მისაღებად თუ არა მხარისგამს თანამედროვე დაყოფის ტენდენცია: „დეკონსტრუქციზმი“, „ახალგაზრდაობა“, „გამოცდილება“, „ცოცხალი კლასიკოსები“ და ასე შემდეგ.
12. სად უფრო ხშირად კითხულობთ მოთხრობას – ბავშვობის ლიტერატურულ გამოცდილებაში, ინტერნეტში თუ წიგნებში?
13. ზოლოდ როს ვისი მოთხრობები მოგაწონათ?
14. დასასრულად თანამედროვე (მოქმედ) ქართულ პროზატიკაზე რამე უნდათ დათქვას.

1. ვფიქრობ, მწერლობა სარკეა, ზუსტად აირეკლავს ყველა იმ მოვლენას, რაც ჩვენ ირგვლივ ხდება ყოველდღიურად, თუმცა არა ყოველთვის – სარკეც ხო ხან მრუდება, ხანაც გამურული. სხვა საქმეა, მკითხველი როგორ ხედავს თავის თავს ამ სარკეში.

2. ჩინური წყევლა, საინტერესო დროში გეცხოვროსო. თემები უამრავია, იმიტომ რომ, სამწუხაროდ თუ საბედნიეროდ, საინტერესო ეპოქაში ვცხოვრობთ. მაგრამ არის თემები, რომელსაც ვერანაირად ვერ აუვლი გვერდს, რაც არა მხოლოდ მწერალს, ნებისმიერ მოქალაქეს აწუხებს – სამშობლო და ადამიანი, მისი წუხილი და სიხარული.

3. ყოველ ნაწარმოებში ავტორის იერსახეა, ინტელექტუალური და მოქალაქეობრივი, ყოველი ადამიანის ცხოვრება ხო, მინიმუმ, ერთი პროზაული ნაწარმოებია, ცოტა ძნელიც კია საზომად, ცხოვრება მეტია მასში თუ ლიტერატურა.

4. ყოველი ადამიანი და, მით უმეტეს, შემოქმედი ცალკე სამყაროა, თავის მზით და მთვარით, იქაც ვარსკვლავებით და ძნელია, ერთ ყალიბში მოაქციო ყველა, თუმცა გარკვეულ წილად ნაწარმოებში ასახვას ავტორი მოგრაფია აუცილებლად მოვებს – მარკესს აქვს წიგნი „იცხოვრე, რომ მოყვე“.

5. მკითხველისთვის, უპირველესად, საინტერესო უნდა იყოს პერსონაჟი, რათა მისი ყურადღება მიიპყროს. პროტოტიპები კი, იცოცხლე, უამრავია – გამოგონებაც კი არ გჭირდება.

6. კავშირი არის, თუმცა განსხვავება უფრო მეტია. დღეს მწერალი თავისუფალია, არ არის ცენზორი,

არ სჭირდება ნაწარმოები-მატარებელი, ანუ გარკვეული ხარკის გადახდა, ნაწარმოები რომ დაიბეჭდოს და დღის შუქი იხილოს, თუმცა, ვფიქრობ, ზომიერებამ არ უნდა უღალატოს მწერალს, ზედმეტმა თავისუფლებამ ნაწარმოებს არ უნდა ავნოს, სასიკეთო უნდა იყოს. ამ დროს აუცილებელია შინაგანი ცენზურა.

7. პასუხი უკვე შეკითხვაშიც არის: დღეს არ გჭირდება ქვეტექსტებით წერა, თავისუფალია მწერალი ცენზორისაგან, პირიქით, უკვე სასაცილოცაა, დღეს ქვეტექსტებით წერო.

8. ყველა ეპოქაში თხრობის ტექნიკა სხვადასხვა იყო, თუმცა, რაც ყველა ეპოქას აერთიანებს, ეს არის სიუჟეტი, მისი განვითარება, რამდენად საინტერესოა ის. ნაწარმა მკითხველი უნდა დაინტერესოს, მით უმეტეს, როცა მცირე ზომის პროზაულ ნაწარმოებზე ვსაუბრობთ. თუ მკითხველი პირველი სიტყვებიდანვე ვერ მიიზიდვ, დღეს, ინფორმაციული და ტექნოლოგიური ბუმის და სამინელი უდროობის დროს, ძალიან რთული იქნება, შენთან დაიტოვო.

9. ენა ცოცხალი ორგანიზმია, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ მოვასუცოთ, მოვაბეროთ – ენა სულ მუდამ ახალგაზრდა უნდა იყოს და მოვლას და გაფრთხილებას საჭიროებს, უპირველესად, ლიტერატორების და სახელმწიფოს მხრიდან.

10. რა თქმა უნდა, ცხოვრებისეული გამოცდილება სხვა მარტულს ამატებს ნაწარმოებს, თუმცა ხშირად ისეც ხდება, რომ პირველი ნაწარმოებები, „ყველაზე ახალგაზრდული“ შეიძლება გამოვიდეს ყველაზე კარგი.

11. არა, საერთოდ ყველანაირი დაყოფის წინააღმდეგი ვარ. მით უმეტეს, რომ კარგი ნაწარმოები ერთსა და იმავე დროში შეიძლება დებიუტანტმაც შექმნას და „ცოცხალი კლასიკოსმაც“.

12. ამ სამივეს თავისი ადგილი აქვს და ავსებს ერთ-მანეთს, თუმცა მიმაჩნია, რომ წიგნი მაინც სხვა, შეუცვლელი ფენომენია.

13. გივი ჩილენიანის მოთხრობების კრებული: „ცისკენ მიმავალი ბილიკი“. წიგნი შესული მოთხრობები ადამიანისა და ბუნების ურთიერთკავშირზე, სიყვარულსა და მოვალეობაზე მოგვითხრობს. აქვე მინდა, ბატონ გივის მივულოცო: სულ ახლახან ილია ჭავჭავაძის დაბადების დღეს გადაეცა პრემია „საგურამო“.

14. ხუთზე აშკარად მეტია დღევანდელ არაჩვეულებრივ პროზატიკოსთა რიცხვი. აქ მინდა ვთქვა „ცოცხალი წიგნებზე“ – საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს არაჩვეულებრივ პროექტზე, რომელსაც ქალბატონები ქეთევან დუმბაძე და მარიამ ნიკლაური ხელმძღვანელობენ. ამ პროექტმა ლიტერატორების ნაწილს საშუალება მისცა, ემოგზაურათ საქართველოს სხვადასხვა კუთხეებში, სოფლებსა თუ ქალაქებში. მისი ერთ-ერთი მონაწილე მეც ვარ და გარდა იმისა, რომ საშუალება მომეცა, უშუალოდ მკითხველთან მესაუბრა, ბევრი ძალიან კარგი პროზაიკოსი გამაცნო, რომელთა სახელები დღეს თითქმის არაფერს ამბობს, მაგრამ დრო აუცილებლად გადაინახავს მათ. არ მინდა, რომელიმე ხუთეულს მიღმა დამრჩეს, ამიტომ ასარჩევად სწორედ დროს დაუფრთხვებ იმათ, ვინც ღირებულ ნაწარმოებს ქმნის ახლა.

აგზები სურათებად


მარიამ მიღლაური

სასწორი

მრავალშვილიანი დედა დღით ადრე ისე მიდიოდა, რომ მისი მცირეწლოვანი შვილები ჯერ კიდევ ღრმა ძილში იყვნენ. ცივ ლუმელზე შემოდგარი, საღამოს გაკეთებული საქმელი მთელი დღისთვის იყო განკუთვნილი. სოფო მარტო ზრდიდა ბავშვებს. მოვალეობისგან ხილს ყიდულობდა და რამდენიმე თეთრის დამატებით ყიდდა მათი ქუჩის ერთ-ერთ შესახვევთან. ამაში მოძველებული მაგრამ ზუსტი წონის მაჩვენებელი სასწორიც ეხმარებოდა. იმ დილას სოფოს უბნის ლოთი მიადგა და კარგ ხასიათზე მყოფმა ათი კილო ვაშლის ყიდვა გადაწყვიტა. სოფომ ხილი საგულდაგულოდ აუწონა, ის ის იყო კაცმა ხელჩანთა ანია, რომ ნაბარბაცდა, თავი ველარ შეიკავა და სასწორს დაეხეთქა. სოფომ მამაკაცი მშვიდად ჩამოაყენა. სასწორი მწყობრიდან გამოვიდა. ხილი ჯერ კიდევ ბევრი ჰქონდა გასაყიდი. აქეთ ეცა, იქით ეცა სოფო, ვერაფერი გაანყო. ხალხი და მყიდველი მის გადამყვებილებს ელოდნენ. ადგა, გახუნებული ლაბადა ჩაიცვა. დიღები კარგად შეიკრა, შედგა სასწორზე და დაიძახა: „აბა, ვის რამდენი კილო გინდათ!“ მსურველიც და მნახველიც ბევრი გამოჩნდა. წონიდა სოფო ხელებით. მკლავებით. თვალებით, კისრით – 5, 7, 10, 15, 20 კილოსაც, მანამ ხმა არ გაისმა უცხო მამაკაცისა: „რას შერებთ, მოკვდა ქალი!“ სოფო, გათანგული, სასწორზე ეგდო. მყიდველები კი დიდი ხელჩანთებით აღმართს შეუდგნენ და გარეთ სათამაშოდ გამოსულ სოფოს შვილებს სთხოვეს, ბარგის ანევაში მოგვეხმარეთო.

მლავე ქუჩა

ჯონი მინისქვეშა გადასასვლელთან დაკვრას შუადღის შემდეგ იწყებდა და გვიან საღამოს ამთავრებდა. მთელი ნახევარი დღის ერთ გაცრეცილ ქუდში მოგროვილ ფულს მაშინ ითვლიდა, როცა მოშობილი ერთ პურს, ძეხვსა და და სიგარეტს იყიდდა. თუ ხურდა დააკლდებოდა, ისევე ვალს მიანერდა და გაიფიქრებდა, არა რა, არ ღირს მუსიკა ამ აპლაშებულ ქუჩაში. ერთხელ ბავშობის მეგობარი შეხვდა და ურჩია – აქ რას ზიხარ, აგერ, ნაღი ზღვაზე. იქ უამრავი ევროპელი დამსვენებელია და თუ უკრავ ვეროპულ მელიოდისა აშენებულხარ და ეგ არისო. მატარებელი გვიან საღამოს მიუახლოვდა ზღვის სანაპიროს. ცოტა დაისვენა დალილმა, თან წამოღებული წინა დღის ძეხვით ნაიხმსა



და სასტუმროს ფანჯრიდან გადახედა ლურჯად მოლივლივე ზღვას, მერე ფერადი შლიაპები დაითვალა და სანაპიროს მიაშურა. მოკრძალებით დაჯდა და სარეპერტუარო ნომრები ხასიათის მიხედვით შეარჩია. ხალხი ნელ-ნელა მოგროვდა ტკბილი ჰანაგების მოსასმენად. უკრავდა და რას უკრავდა – დაფრინავდა. დნებოდა. გიტარისფერი იყო ხალხიც და ზღვის ზედაპირიც. შემდეგ მსმენელებს შუახნის ქალი გამოეყო, ბიჭს ვერცხლისფერი კბილი შეანათა და ბოლოერ შეუკვტა. ბიჭმაც დაიწყო შეკვითილის შესრულება. მერე ცა მოიღრუბლა, დაასხა და რა დაასხა. ნელა ეხეთქებოდნენ ნაპირს ფათერაკიანი ტალღები. არ ცხრებოდა ჯონი. არ ცხრებოდა ხალხი, არ ცხრებოდა ზღვა. ამდენი ხალხი არასოდეს ყოფილა. ესენი წავლენ, სხვებს ეტყვიან, მერე მოვა კიდევ ერთი ზაფხული. მერე იქნება ის, რაც იქნება... მეორე დღეს ჯერ გიტარა გამოიყა ზღვამ სანაპიროზე. მესამე დღეს ბიჭის ცხედარი, კი არ გამოიყა, გულიდან ამოიგდო, გადაყლაპული, მისცა მარადისობას. მას შემდეგ ბევრმა ზაფხულმა ჩაიარა ფერადშლიაპიანი დამსვენებლებით. მათ შორის არავის არაფერი უკითხავთ ბიჭზე. არ იცოდნენ და იმიტომ.

ნათია ხალური

ყოლობის ნიშანი

ზღვისფერ სილურჯეს სექტემბერი გადაიყოლებს, დრო სულ ყველაფერს მოგონების სკივრში ინახავს, შენ შეგიძლია, შემობრუნდე, როგორც სიცოცხლე ბრუნდება ხოლმე გაზაფხულით მზისფერ მირაჟთან...

შენ შეგიძლია, დაიხვიო ხელზე მანძილი, და არა ის, რომ შორსა ხარ და ველარ ილოცებ, შენ შეგიძლია, დაბრუნდე და კვლავაც ინამო გოდების კედლის სიმტკიცე და ისევე მოიქცე რწმენაში...

გულანთებულს, რომ გიყვარდა ზეცის თმენა, მზის სიცილი შენი თვალებით, ღმერთმა სამყარო აილო და შენში ჩატირა, ჰოდა, დაბრუნდი... სული ცოცხლობს განა ლხენით, მხოლოდ წვალებით...

მოიქცე უნდა პეტრედ, პავლედ, ანდა ტიმოთედ, შექელი ის, რომ თავმდაბლობით მაღლა განდიდდე, თორემ ვინ ნახა გამდიდრება ვერცხლით ან ფულით, შენ შეგიძლია, დაბრუნდე და ღმერთით გამდიდრდე...

შენ შეგიძლია, მოიფხვნიტო ხელისგულებით, შემოიძარცვო სხეული და იშვა თავიდან, ხომ გახსოვს, მცირე რწმენის გამო შუაგულ ზღვაში დაუფიქრებლად გადახტება პეტრე ნავიდან...

და გოცებით იტყვის, – ნუთუ, შენ ხარ, უფალო? ჰო, ღმერთი ყველგან არის, რადგან ერთია, შენ შეგიძლია, დაბრუნდე და ისევე მოიქცე რწმენაში, რადგან ერთადერთი განძი, რომელსაც დედამიწაზე ვიძინთ, ცაში მცხოვრები დიდი ღმერთია....

ღმერთი, რომელიც თავისას ითხოვს და გველოდება... ღმერთი, რომლის სიყვარულიც უთვალთმაქცოა და ერთგულება არაფარისეკლური... პატიებისთვის ერთადერთი მიზეზიც კმარა – მონანიება.... რადგან არ არსებობს დედამიწაზე ცოდვა, რომელიც ტოლობის ნიშნის დაუსვამს ღმერთის სიყვარულს... ღმერთი დიდაა!..

▶▶ ბაბრძილა დასახული .ლს. №30

ბურამ ბობიაშვილი

ერთხელ, იმჟამად „საუნჯეში“ „გარგანტუა და პანტაგრუელის“ პირველი ნიგნი რომ დაიბეჭდა, 1981 წელს, ნოდარმა, უკვე მწერალთა კავშირის თავმჯდომარემ, ტელეფონით დამირეკა და თავისებური ჯვებუ დუმბავური ხუმარსიტყვით მითხრა, შენ ხო იცი, ძამა, ეგ რაბლე, ფრანსუა, იყო ბაბუაჩემის დიდი ბების ფრანგი ბაბუაო. უყურე მაგას, რა კარგი ქართული სცოდნიაო... რაც ჩემთვის უდავოდ დიდ შემაგულიანებელ ბიგად იქცა დაბარჩენ ოთხ ნიგნზე მუშაობისას...

ბიუროს იმ სხდომაზევე ვასილ მუჟანაძემ გაიხსენა, რომ 1961 წელს გაზეთის სახელითა და თვითონ იმისივე, ვასილ მუჟანაძის თანხმობით, საქართველოში მოვიწვიეთ მიხეილ შოლოხოვი, რომელსაც ყურნალისტ ოთარ არობელიძესთან ერთად სტანიცა ვეშენსკაიაში ვესტუმრეთ და დავპატიჟეთ, როგორც ფრიად სასურველი სტუმარი, რომელსაც როსტოვის პარტიულმა ხელმძღვანელობამ გზაში აცნობა მაშინ უკვე ბევრისთვის ავადსახსენებელი ნიკიტა ხრუშჩოვისთვის მესამე გზის გმირობის მინიჭების თაობაზე და სთხოვა, დავალეგო, რომ დეპუტით მიულოცოთო. რა? – შეიცხადა შოლოხოვმა, – მაგ სამგზის ბრიყვს ვარსკვლავები ჭკუას ვერ მოუმატებსო. მწერლის ეს სიტყვები როგორც რომ როსტოველთათვის, ისე ჩვენთვის, თანმხლებთათვის, მოულოდნელიც იყო და, გაბედულების მხრივ, როგორც ჩემი თაობის ხალხი ვიტყვი, ნამდვილ გმირობასთან ჭრის, ახლა ამბობენ, ტოლფასიაო...

ჩამოსვლის პირველ საღამოს ძვირფასი სტუმრის მისაღებად დავით მჭედლიშვილის ოჯახში იყო სუფრა გაშლილი. აეროპორტიდან პირდაპირ დავითის ბინისკენ წავედით. გზაში მეორე დღეზეც ჩამოვარდა ლაპარაკი. ხვალ, ალბათ, კარგი იქნება, რუსთავს თუ ვენევით, როგორც ინტერნაციონალურ ქალაქსო, უთხრა სტუმარს ჩვენი ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანმა კოვანოვმა. შოლოხოვმა ჯერ ვითომ ვერ გაიგონა, ყური მოუყრუა, მერე ეგრევე მიახალა, მე აქ, საქართველოში ჩამოვდი და არა ინტერნაციონალურ ქვეყანაშიო. მე თუ მკითხავთ, აქ რუსი მეორე მდივანი სულაც საჭირო არა მგონიაო. მერე ამ მძიმე საუბარში თვითონ შევანამე ჩაერია და ვითარება ერთგვარად განიმუხტა.

ბარემ აქვე ვიტყვი, რომ მეორე დღეს რუსთაველის თეატრში კონსტანტინე გამსახურდიას საღამო იმართებოდა და გადაწყდა, რომ შოლოხოვიც მისულიყო მისალოცად. მაგრამ, სწორედ კოვანოვის მითითებით, სტუმარი არ დაასრეს გამსახურდიას საღამოს, ეკ ქართველი ნაციონალისტია და ვაითუ, სტუმარი შეგვირაცხეოსო. ეს ამბავი კონსტანტინე უკვე მერე შეიტყო და დიდად ნაწყენი მაინც დამაინც არ დარჩენილა. ეტყობა, მაგ რუსმა მდივანმა იგრძნო, რომ მთლად სანდო მასპინძელი არ ვიყავი, სტუმარიც გადაარჩინა ჩემი მხრიდან ეკლიან სიტყვას და მეც კარგ ქართველად გამომიყვანაო.

ისე, უხორცოსებრ ფრიად გაბედული ვინმე ჩანს ეგ კაზაკი შოლოხოვი, რომელმაც უთუოდ კარგი ნიგნი დაწერა „წყნარი დონის“ სახით და აკი ნობელის პრემიაც მისცესო, თუმცა ამ ნიგნის დაწერაზე ათასი რამ ჭორი დადიოდა! როცა მთელი იმოდენა დარბაზი მუნჯად იჯდა და ერთ კომუნისტსაც კინ-

ტი არ დაუძრავსო, მაგან პირდაპირ ტრიბუნიდან უთხრაო მამაძალე ხრუშჩოვს, კულტი რომ გახდეთ, ჯერ პიროვნება უნდა იყვოდ, სტალინი პიროვნება იყო, თანაც დიდი პიროვნებაო. გორკის კულტიც იმიტომ გვაქვს, ისიც დიდი პიროვნება იყო, რომელსაც შინაც ვალიარებდითო და გარეთაც აღიარებდნენო. მწორენაჭამ ხრუშჩოვს რატომღაც ხმა არ ამოუღიაო და შოლოხოვის ნათქვამი არც გაუტრიზავებიაო. კონსტანტინეს საერთოდ მოსწონდა ის ადამიანი, ვინც სიმართლეს გაბედულად და ხმაშალა ამბობდა. ამ ქვეყანას ყოველთვის ბოროტი მლიქვნელები ლუპავდნენო, თავს რომ მიამიტებად ასალებდნენო, მწარედ დააყოლებდა ხოლმე...

ერთი სიტყვით, ცოტა შორიდან კი დავიწყე, მაგრამ წინასწარ არც მიფიქრია, თავისთავად მოხდა.

სწორედ ჩემი რედაქტორის მოადგილეობის დროიდან ვხვდებოდი კონსტანტინე გამსახურდიას არცთუ იშვიათად. მართალია,

ბიც ინონებდნენ. ამ მოვლენებს – კოსმოსში გაფრენა იქნებოდა თუ ჩაის ან ყურძნის, ან საერთოდ მოსავლის გეგმის გადაჭარბებით შესრულება. ამ მხრივ, კონსტანტინე გამსახურდია, ბუნებრივია, ერთ-ერთი ყოველის უფრორე სასურველი რესპონდენტი იყო, მე საგანგებოდ დამნიშნა, როგორც



კონსტანტინე გამსახურდია

გულის ფისარზე აღბეჭდილი

კონსტანტინე იმხანად განანყენებული იყო დავით მჭედლიშვილზე, რომელმაც ზემოდან მითითებით ვლადიმერ თორდუას ფელეტონი – „სარეველა“ დაბეჭდა ზვიად გამსახურდიასა და მერაბ კოსტავას დისიდენტურ საქმიანობაზე, მაგრამ რედაქციას მაინც პატივსაც სცემდა.

ცნობილია, რომ მან წერილიც მისწერა დავითს, სადაც აღმოფეთებული სწერდა, უნამუსო კორესპონდენტს ვლ. თორდუას თქვენის ინსპირაციით დაანერინეთო ყოვლად უხამსი ინსინუაცია ჩემი ვაჟის მიმართ, თითქოს ის ისეთი ზულიგანი ყოფილიყო, რომ ჩემს მკითხველებს ქუჩაში დაეტაკებოდა და ჩემს ნიგნს გააგდებინებდაო ხელიდან. სინამდვილეში კი ეს ათი წელია, ჩემი ვაჟი გახლავთ ყველა ჩემი ნიგნის პირველი რედაქტორი და კორექტორი, ამასთან ერთად, იგი თარგმნის ინგლისისა და ამერიკის პროგრესულ პოეტებს. ბოლოს საქმე ისე წავიდა, ჩემი ერთადერთი ვაჟი დალეუპვის კართან წარდგა, ამის შედეგი რა იქნებოდა, მე, ლოგინად ჩავარდნილმა, ფიცი დავდე: როგორც კი ნამოვდებოდი, ამ საქმის ინსპირატორი და შემსრულებელი უნდა დამეხოცაო და, ცხადია, ამის შემდეგ მეც არ ვიცოცხლებდი. ჩემი ამბავი რომ გაიგეს, გრიობედოვის ქუჩაზე მოზღვადაო ხალხი, იმავე საღამოს ათი ყმაწვილი მოვიდაო ჩემთან და განმიცხადეს: ამ საქმის მომწყობებს დავხოცავთო და გაზეთის რედაქციას დავარბევთო. მერე ის იყო, შევევედრე, მაგას ნუ იზამთ-მეთქი და, ბოლოს, დააყოლებდა ხოლმე, მთავრობები და პარტიები იცვლებიანო, ხოლო ერთი უკვდავია, ვითარცა ღირებულებათა შემქმნელი და მატარებელი სუბსტანციაო... განსაკუთრებით ვერ იტანდა ხრუშჩოვის მმართველობას. ძალიან მუზნებარე ბრიყვია ეგ მამაძალე, ნამდვილად დაანგრევს ქვეყანასო... მაგის აცაბაცა მმართველობის წლები ცხადყოფენ, რომ რუსებმა საერთოდ არ იციანო ქვეყნის მართვა, ამიტომაც იყო, რომ ხან გერმანელები მოჰყავდათო, ხანაც შევდები, მოდით, გვიმეფეთო...

კერძინელებს და შევდებს მიჩვეულთ კი ქართველები ვეღარ აიტაცებოდა დაბოცესო... მართალია გითხრათ, ძალიან მივირდა ამ მხცოვანი კაცის ესოდენი სითამამე და გაბედულება. იმხანად თუ რამ დიდი მოვლენა ხდებოდა ქვეყანაში, გაზეთი ცნობილ და გამოჩენილ ადამიანთა გამომხატვრებს აქვეყნებდა, რომლე-

ბიც თავად იტყოდა, თავის საგანგებო მაცნე-წარმომადგენლად.

ზაფხულში, როცა ოჯახით ლიძავაში იყო, ზამთრობით კი ფასანაურში, გაზეთის ფურცლებზე მე ვაქვეყნებდი კონსტანტინეს გამომხატვრებს. თბილისში რომ ბრუნდებოდა, ის გამოსმაურებებიანი გაზეთის ნომრები ერთად ამქონდა კოლხურ კოშკში. მოზრძანდი, მოზრძანდიო, ყმაწვილო, იტყოდა კონსტანტინე ბატონი და, მირანდა, გოლუაფრო, ჩემი პროტაგონისტი გურამი გვენვიო, გასძახებდა ძვირფას მუღულეს და დიდ ოთახში გერძელი მაგიდაც უშალ გაშლილი იყო. ღვინო აუცილებლად ყოველთვის წითელი იდგა ყელყარყარა სურით, თან თამაობდა, თანაც გაზეთს ათვალთვრებდა, ნაწერს მინონებდა, მართლა ჩემი დანერილი მგონიაო, მაგულიანებდა. ერთხელ ლიძავაშიც ვენვიე, იქ ჩაუტანე „თავისი“ გამომხატვრები, ეს სურათიც მაშინ არის გადაღებული 1967 წელს „კომუნისტის“ ფოტოკორესპონდენტის ვლადიმერ გინზბურგის მიერ. ერთ ზამთარს ფასანაურში ჩემი ახლობელი პროფესორის გიორგი ინასარიძის მეზობლად ისვენებდა. ცნობილ უროლოგთან, იქ ვესტუმრე და ძალიან გაიხარა, „ლანდებთან ლაციცზე“ ვმუშაობო, გამეწვო.

თბილისში, სუფრასთან მარტო რომ არ ვყოფილიყავი, ზვიადს უხმობდა ხოლმე, მოდი, ბიჭო, სტუმარი მიდღეგრძელო. ზვიადი რატომღაც ფანჯარასთან ფარდას იყო ამოფარებული და იღიმოდა, მოსვლით არ მოდიოდა. ისე, ვატყობდი ჩემ მიმართ კეთილგანწყობას; უკვე მერე, პრეზიდენტი რომ გახდა, გამომცემლობა „სამშობლოს“ შენობაში ზოგიერთი უურნალ-გაზეთი დახურეს ან გადააკეთეს, უფრო სწორად, მიმართულება შეაცვლევინეს, თავის წარმომადგენელ ისტორიკოს ლოვარდ ტუხაშვილისთვის ეთქვა, მანდ უურნალ „საზრისის“ (ყოფილი „პარტიული სიტყვა“) რედაქტორი მამაჩემის მეგობარია და ხელი არ ახლოთო, რაც ჩემთვის ფრიად სასიამოვნო იყო.

ერთხელ სწორედ იმ დროს შემომილო ოთახის კარი და თავის ამოჩემებულ სეარძელში ჩაჯდა, როცა მთავრობის ტელეფონმა დარეკა.

– ვასოს გაუმარჯოს! როგორ ბრძანდები, ვასილ პავლოვიჩ, – კონსტანტინე მყურები ცქვიტა. – რალაც დამივიწყე, რაც დიდი

კაცი გახდი, პატარა კაცები აღარ გახსოვართ.

კონსტანტინე ბატონი სავარძლიდან წამოდგა და გოცებულმა ოთახში ბოლთის ცემა დაიწყო, წინ და უკან დადიოდა.

– გამოგზავნე, კაცო, გამოგზავნე, ვასილ პავლოვიჩ, და აუცილებლად წავიკითხავ, – მემუარული ნიგნი გამოსცა, სადაც ჩემზეც წერდა და წაკითხვასა და აზრის გამოთქმას მთხოვდა.

– როგორც ვიცი, ასაკით ბევრად პატარა ხარ და როგორ თამამად და შინაურულად ელაპარაკეო ასაკითაც უფროსს და თანაც რესპუბლიკის პირველ ხელმძღვანელსო, – გაკვირებული იყო კონსტანტინე ბატონი.

მე სიცოლი ამივარდა, რამაც კიდევ უფრორე გამოიღიანა სტუმარი და უკვე ველარ დავუმალე, არა, ეგ მუჟანაძე არ ყოფილა, კიკნაძე იყო თეატრალური ინსტიტუტიდან, ეგეც ვასილ პავლოვიჩია-მეთქი.

– მეც არ ვიფიქრე?!.. უჰ, შენ რა გითხარიო, – შევბით ამოისუნთქა კონსტანტინე ბატონმა და თვითონაც სიცოლი დაიწყო. – ნამდვილად კარგი თეატრმცოდნეები არიანო ეგ კიკნაძე და გურაბანიძე, ერთიც არის, მგონი, ჯანელიძე, ვაჟა-ფშაველას ღრმად მცოდნე რომ არის, პროფესორი გრიგოლ კიკნაძე, იმის სიძეო... როგორც ვიცი, თეატრსა და კინოში კონსტანტინე ძალიან იშვიათად დადიოდა, არა მაქვსო დასაკარგი დრო. მაგრამ, ჩანს, თეატრალურ და კინოკრიტიკას თვალყურს ადევნებდა. ისე, ამ მხრივ, დაუფიქრებელი სჯობსო, ცოტა კონსერვატორი კი იყო... რასაკვირველია, ხალხის ცნობიერებაში შემორჩენილ გამორჩეულ ტრადიციათა სიცოცხლის დაცვის მიზნით. ბარემ აქვე ვიტყვი, რომ ფილმი „დიდოსტატი“ მაინცდამაინც არ მოსწონდა. უმშენიერესი ლალი ბაღურაშვილის შორენა კი ესულგულებოდა. ლალიმ კარგად გააცოცხლაო ჩემი გმირი. ვახტანგ ტაბლიაშვილის „ქეთო და კოტე“ ნახვა არ მწყინებდაო...

იქნებ ოდესმე ვინმე ნიჭიერმა ოპერა შექმნას, კინოს ბევრად აჯობებსო...

ჩემდა უნებურად წამომავინდა ქვემოთ მოთხრობილი ამბავიც და არ ვიცი, უნდა დამენერა თუ არა, მაგრამ მაინც დანერა ვამჯობინე... რედაქციაში ჩემთან სტუმრობისას კონსტანტინე მუდამ გულხალვათად იყო. რაც საუკეთესო ჰქონდა, დაუფარავად ყვებოდა... „ზარია ვოსტოკას“ გამომცემლობიდან (ასეთი რუსული გამომცემლობა იყო) ორი წლის პონორარი მქონდაო ასალები. დირექტორი, ვინმე გრიგორიანი, ყოველთვის მიგვიანებდაო პონორარს და ერთხელაც ამ საკითხზე თვითონ ლავერენტი ბერიასთან მივედი, დიდხანს არ უცდევინებია. შევედი, მაგიდის ქიშხე იჯდა და ფეხის ქნევით მომემშვიდობაო, რა იყო, კონსტანტინე, სულ უქმაყოფილო როგორ ხარო, რა არის ისეთი, რაც მაინცდამაინც არ მოგწონსო.

– არ მიწყინო, ამხანაგო ლავერენტი, – ჩავუკომუნისტურე, ჩალიმებაზე შევატყვე, მიმიხვდა ეშმაკურ ქარაგმას, რას გამოაპარებოდა, ნადირის ყნოსვა და გემი ჰქონდაო, – ძალიანაც არ მომწონსო, რომ საქართველოს პირველი კაცის კაბინეტს რუსულად აწერია-მეთქი. П. П. Берия.

– ვაი, ვაი, ნამდვილი ასოკირკიტა ხარ, რა მნიშვნელობა აქვს, რუ-

სულად ენერჯი თუ ქართულადო... – მაშ, მოსკოვს აბა, ინგლისურ ან გერმანულში წაიწიო, თქვი-მფრინავმა გადაუფრინოსო, რუსი ზარბაზნის ესერის თუ არა-მეთქი.

– ამას უყურეთ, ერთი! კარგი, კიდევ რა არ მოგდის თვალშიო?

– კიდევ ის არ მომდის თვალში, რომ ქართველობასთან ერთად ორიგინი მეგრელებიც ვართ, ზრდილობას სხვებს ვასწავლით და წლოვანებით უფროსი კაცი რომ შემოვედი, მაგიდის ქიშხე ჩამომჯდარი არ უნდა შემხვედროდი-მეთქი.

– კარგი, კარგი, ნამეტანს ნუ იზამო, – თქვა და მაგიდიდან ჩამოხტა. ნამიერად ნაკეთებად დაშლილ სახეს ისევე ნამიერადვე მოუყარაო თავი და ზარი დარეკა, მდივანს უხმობო, – სასწრაფოდ გრიგორიანი დამაკავშირეთო. – ამის თქმა და გრიგორიანის ხმის გაგონება ერთი იყო. – ახლავე კონვენტში ჩადეთ ბატონი კონსტანტინე გამსახურდიას კუთვნილი პონორარი და თქვენი ხელით შინ მიართვითო.

სხვათა შორის, რუსულ-ქართულად ელაპარაკა. გულში გავიფიქრე, ეტყობა, ჩემს დასაანახად-მეთქი. მოკლედ, ეს ჩვენი შეხვედრა ასე მშვიდობიანად დამთავრდაო, არ გამკვირვებია, მაგრამ მესიამოვნა, რომ კარებამდის მიმაცილო. როგორც მერე შევიტყვე, პირველი მდივნის გრძელი კაბინეტის კარზე რუსული წარწერის დაბლა ქართული – ლ. პ. ბერიაც გაჩნდაო. ესეც ფრიად მესიამოვნა, არ დავმალავო.

მაშინაც ბევრს ეგონაო და არც ახლა არიანო ისინი ცოტანიო, ვინც ფიქრობდა და ფიქრობს, რომ ბერია კეთილმოწყალე თვალთ მიყურებდაო. იმ დროს ის საქართველოს ჩეკას უფროსის მოადგილე იყო. ერთხელაც მსტოვრობა დამაბრალესო გერმანიის სასარგებლოდ და სოლოვკაში გადამასოფლესო. 1926 წელია, ძირითადად თევზითა და ზღვისავე კეთილსაქმელურინველით ვიკვებებოდიო. 1928 წლის დეკემბერშილა გათავისუფლდო, ნასამართლობა კი მხოლოდ 1958 წელს მომიხსნესო. იქიდან დაბრუნებულს იქაური ძველი გაქეილი ფარაჯა გამომყვა და იმით დავდიოდიო ცოტა ხანს. ეჰ, ჯერ ისევე სულ ახალგაზრდა ვიყავიო, ქრისტეს ასაკისა, როგორც ძველად იტყოდნენო, სარტყლის შემომრტყმელი ყმაწვილკაციო. ჩეკადან შემომითვალეს, ჩანს, ისევე სოლოვკა გენატრებოდა და იქ გაგზავნა ჩვენთვის ადვილი საქმეაო. ეს ამბავი „ლანდებთან ლაციცში“ დავწერე, მაგრამ არ დაბეჭდილაო...

კარგა ხნის შემდგომ „ლანდების“ ბოლო ნაწილი თვითონ ზვიადს გადაუცია 1991 წელს სოსო სიგუასთვის და დაბეჭდაც უთხოვია, როგორც „ლიტერატურული საქართველოს“ რედაქტორისთვის. სოსომ „ლანდების“ ეს ნაწილი რამდენიმე ნომერში გამოაქვეყნა.

მერე, მე უკვე სოლოვკიდან დაბრუნებული ვიყავიო, უფროსად სასტიკი, უჟადადუე, ანგარიშინად ბეზღება-დასმენების უამს შეწინრენო ჯავახიშვილი და ტაბიძე ტიცინაიო. მაგათი საფლავებიც არავინ იცის, დაკარგულიაო. მე თუ მკითხავს ვინმე, როგორც მიხეილის, ისე ტიცინის საფლავს შესაძლებელს ვხედავო, ოღონდ ცარიელს, უცხედროს, ანუ კენოტაფს, თუნდაც მთანმინდაზუო. ისე, კენოტაფი მიღებული რამ არისო ზოგიერთ ციცილიზებულ ქვეყანაში საფლავდაკარგულ ღირსეულ მამულიშვილთა ხსოვნის პატივსაცემადო.

▶▶ ბაბრძილა იქნება

▶▶ დასასრული დასაწყისი „ლს“ №30

ქაკლინ სირაძე

ჯერ კიდევ კონსტანტინე გამსახურდამ რუსეთის წინასწარგანზრახვა ამოიცირო და გაითვალისწინა და ისე შექმნა რომანი „მთვარის მოტაცება“, ამიტომაც ამ რომანის პერსონაჟები და სამოქმედო სივრცე აფხაზეთსა და სამეგრელოში განათავსდა, რითაც ორივე რეგიონი ქართული კულტურისა და მასში მცხოვრები აპორიგენი ქართველების ძირძველ ტერიტორიად და კულტურის ნაწილად გააფორმა.

ჭაბუა ამირეჯიბმა კი, იცოდა რა რუსეთის არგუმენტაცია იმის თაობაზე, რომ მეგრული დამოუკიდებელი ენაა და ამ საბაბით ყოველთვის ქმნიდა იმის პრეტენზიას, რომ სამეგრელოს ტერიტორია საქართველოს ტერიტორიიდან გამოეყო ცალკე ავტონომიად, როცა ავტორის ალტერ ეგოს არჩევანი იდეალურ გმირზე შეჩერდა, მან დათა თუთაშვიას სახით მეგრული შუარჩია – თუთაშვია მეგრულად მთვარის დღეს ნიშნავს.

და ამის შემდეგ კი იყო ტრიუმფი და დიდება. საქართველოში დაბრუნებული თავდაპირველად აქეციყნებს მოთხრობებს. მაგრამ ეს ჯერ კიდევ არ არის ის, რაზედაც დღედაღამ დაძაბულად, დაუღალავად მუშაობდა და ფიქრობდა გულაგის ბანაკში: ცოტ-ცოტას თხზავდა, მონახაზებს აკეთებდა, კომპოზიციებს აგებდა, ხასიათებს სწავლობდა, მაგრამ ყველაფერს ართმევდნენ და წვავდნენ. თითქოს ბედისწერამ, რომელმაც სასტიკი გამოცდა მოუწყო, იმისთვის გაიმეტა ამ ტანჯვისთვის, რომ მას, ასე ცნობისმოყვარეს, ასეთი მძაფრი აღქმის, დაკვირვების გასაოცარი უნარის მქონეს და ანალიტიკური მსჯელობის უნარით დაჯილდოებულს, ადამიანი ყველა შესაძლო მდგომარეობაში განეჭვრიტა და შეეცნო. და მანც იხილა ის, რასაც რამდენიმე ავტორის აღქმა ვერ განვლავებდა.

თუ მოთხრობების წერისას ვერა და ვერ უახლოვდებოდა „ბანაკის“ დროინდელ ნაფიქრს და განცდილს, საკმარისი იყო, რომანის წერა დაეწყო, რომ ყველაფერი აღმდგარიყო და თავის ადგილზე დასვა. ათი წლის შრომის შედეგად გამოვიდა მისი პირველი რომანი „დათა თუთაშვია“. იმ პერიოდში, 1973 წელს, სრულიად სამართლიანად, ქვეყნისათვის სასიკეთოდაც, ქართველობა დიდი მწერლის კონსტანტინე გამსახურდიას ოდნავ ზეანუელი ტონალობით, მაღალმხატვრულ პროზაულ ენაზე მეტყველებდა. სკოლის მონაფეხებიც კი თემებს „დიდოსტატის მარჯვენის“ ინტონაციით, მისი სიტყვებით წერდნენ. მაგრამ გამოვიდა „დათა თუთაშვია“ და ერი ჭაბუა ამირეჯიბის ენით ამეტყველდა. მისი ენა თითქოს მხოლოდ და მხოლოდ „კუნთები“ იყო, ფილოსოფიური ნაზარევი – ზუსტი და მკაცრი, პერსონაჟთა დიალოგები – ცხოვრების სინამდვილესთან სახიფათოდ მიახლოებული (რის გამოც ავტორთან დისტანცია დაიკარგა). ის ისეთი პოპულარული გახდა, რომ ქვეყნის ყველა ფენა ერთხანად კითხულობდა და აღიარებდა. ერთხანად, იმ გავებით, რომ თითოეული თავისი ცნობიერების სარგო საგნალს იღებდა მისგან. ეს იყო დღესასწაული – და ამით ერი თითქოს თავის მესხიერებას უბრუნდებოდა, თავის თავს იმეცნებდა. რომანის გამოვლიდან დღემდე არ წყდება მისი ციტირება: ეს იქნება პოლიტიკური დებატები, სპორტული გადაცემები, იუმორისტული შოუ, ლიტერატურული, რელიგიური გადაცემები თუ სახალხო მიტინგები. ეს არის ნიგნი, რომელიც ახერხებს, ყველა მოვლენას სათანადო პასუხი გასცეს, ერი ამეტყველოს და თავის თავს ჩაულონძავოს. ხალხმა ზეპირად იცის პერსონაჟების გამონათქვამები, აფორიზმები, მთელი რიგი პასაჟები.

და ამაში არც არაფერია გასაკვირი. ავტორის ხელწერა, სტილი ხომ მხოლოდ

მაშინ ზემოქმედებს ჩვენზე, თუ მისი აღქმა ნამდვილია, თუ ის მისი ცხოვრებისეული გამოცდილების ნაჭდევი და მისგან გამომდინარე სუნთქვაა, რაც ნაწარმოების რიტმიკას ქმნის.

მაგრამ, როცა ვიკითხავთ, თუ რამ განაპირობა ამ რომანის ასე უზომო პოპულარობა ქართულ საზოგადოებაში, ერთ-ერთი მიზეზი, ალბათ, სწორედ ქართული საზოგადოების მზაობა იყო. საბჭოთა ტოტალიტარული რეჟიმის პროპაგანდით დაღლილი, გამოფიტული, იმედგაცრუებული ადამიანები დღედაღამ ისმენდნენ კეთილ, ბრძენი, მოსიყვარულე, მშრომელი, მებრძოლი – იდეალური გმირის შესახებ გადაცემებს და ხალხმა ძალიან კარგად იცოდა, რომ ეს სიცრუე იყო. მას არ შეეძლო, შეექმნა ასეთი გმირი. და, როცა „დათა თუთაშვია“ გამოვიდა,



ბიობრაჟიის საბედისწერო გზავნილები და ქრისტეს მისწრაფი

მყის ეს სიცრუე და სიყალბე გაქრა, ილუზიის ადგილი კი სინამდვილემ დაიკავა და ქვეყნარტად იდეალურმა გმირმა – დათა თუთაშვიამ დაიწყო ქართული საზოგადოების ცნობიერებაში ცხოვრება. ტრიუმფს და დიდებას მოჰყვება საერთაშორისო აღიარება.

მის ავტორს მიღებული აქვს სსრკ სახელმწიფო პრემია (1979 წ.), რუსთაველის სახელობის პრემია (1994 წ.), საქართველოს სახელმწიფო პრემია (1998 წ.). ასევე უამრავი უცხოური ჯილდო და პრემია. ორგზის იყო წარდგენილი ნობელის ნომინაციაზე და ბოლოს ნინა ტურში გაიმარჯვა.

გამოქვეყნებული და თარგმნილია მსოფლიოს ოცდაათამდე ენაზე.

გახლდათ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, „ლირსების“ და „ვახტანგ გორგასლის“ ორდენის კავალერი. ზოგს ისიც ჰგონია, რომ ჭაბუა ამირეჯიბმა უფრო გაუთვითცნობიერებლად აირჩია იდეალური ადამიანი დათა თუთაშვიას, გორა მბორგალისა თუ გიორგი ბრწყინვალის სახით.

ამით იმის თქმა მინდა, იმის ხაზგასმამა, რომ ის კარგად იცნობდა ეპოქის იმ გამოწვევებს, რაც მის შემოქმედებით მოღვაწეობას. XX და XXI საუკუნეში ხომ უფრო და უფრო ნაკლებ სარწმუნო ხდება, რომ არსებობს რაღაც მსოფლიო სული ან რაღაც საკაცობრიო სამართლიანობა, რომელიც თავისი ღვთაებრივი, უხილავი ნებითა და კარნახით უნესებს კანონებს ადამიანებსა და კაცობრიობის ისტორიას. ჭაბუა ამირეჯიბის იმთავითვე ჰქონდა გაცნობიერებული ის, რაზედაც ნიკოლაი ბერდიევი ასე დაუღალავად მსჯელობდა: რევოლუციური მორალი არ ცნობს პიროვნებას, როგორც ყოველგვარი ზნეობრივი ნორმისა და მსჯელობის პირველსაწყისს. ის არალეგალური ლიტერატურის მეშვეობით გაეცნო თანამედროვე ავტორების შემოქმედებას – თანამედროვე მეტაფიზიკას (ფრ. ნიცეს სახით), რომელიც უარყოფს ღმერთისა და ეშმაკის არსებობას, შესაბამისად, აუქმებს კეთილსა და ბოროტის მცნებებს. და ამ ყველაფრის გათვალისწინებით მწერალმა თავის თავს მიზნად დაუსახა, შეექმნა ნაწარმოები, რომელშიც გააზრებული იქნებოდა ის დიდი ტრაგედია, რასაც „ღმერთის სიკვდილი“, ზნეობრივი კრიტიკიკოსებისა და მაღალი იდეალების ნიველირება შეიძლება ვუნდოდოთ.

მაგრამ სად დგას ამ მწერლის ფენომენის გასაღები? მწერლური ტექნიკა? ნაწარმოების სტრუქტურის სრულყოფილება? ავტორის ოსტატო-

ბა, თავისი ჩანაფიქრი ზუსტად გადმოსცეს და შეძლოს, მკითხველი თავის თამაშში ჩართოს? ცხადია, ყველა აქ დასმული შეკითხვა შედეგის შექმნის წინაპირობაა, მაგრამ არსებითია, რომ ჭაბუა ამირეჯიბი თავად იქცა ეპოქის „ხმად“, ეპოქის „კითხვებად“. ეს ნიშნავს, რომ თავად დროება წერდა მისი ხელით ყველა იმ შეკითხვაზე პასუხს, რომელიც რომანის ამბავსა თუ ქვეტექსტში განთავსდა.

და თუმცა უარყოფილია კაცობრიობის ხერხემალი – მისი წესრიგის განმსაზღვრელი ზნეობა – მან, ამის მიუხედავად, თავისი მხატვრული სამყარო ისევე კლასიკური წყობით, პლატონისეული მოდელისა და ქრისტიანული მართლმადიდებლური რელიგიის „დაზავებით“ ააგო, რომლის სამოქმედო „ველი“ სიკეთისა და ბოროტების,

ეს ის მომენტია, როცა დათა აღარ ასამართლებს. ეს არის ის „სივრცე“, სადაც ბოროტება და სიკეთე გარდაუვალი კანონზომიერების მეოხებით ერთმანეთს უახლოვდებიან“, რათა სამყაროს დაფარული საზრისი, საიდუმლოებათა საიდუმლოება განასრულონ. ეს არის კაცადმოვლენილი დათა თუთაშვიას – ქართველი ერის კრებითი სულის მიერ ნებაყოფლობით მსხვერპლავლება და ტანჯვა-წამებით კაცობრიობის ცოდვების გამოსყიდვა.

რაც შეეხება მესამე ნაკითხვის ვარიანტს, მისი მიხედვით „ღმერთი არ კვდება“ – ასეთია რომანში ასახული ღვთაებრივი ადამიანის, ქართველი ერის კრებითი სულის, დათა თუთაშვიას წყალში გარდაცვალება – ქართულ მითოლოგიაში წყლის ღმერთი იგრი სიცოცხლის საწყისია – რათა ისევე განახლებული დაუბრუნდეს კაცობრიობას. ესეც ავტორის პასუხია, რომ „ღმერთის სიკვდილი“ ილუზიაა, რადგან ის კი არ კვდება, არამედ მხოლოდენ დროებით გადის ჩვენი ცნობიერებიდან.

როცა სატანად წოდებული მუშნი ზარანდია განაცხადებს: „მე ბალახი ვარ, და არ ვცდილობ, ხედ ვიქციე“, ის ამით ისევ იეპოქის დაკვეთას, მის მიმართულებას და მთავარ მრწამსს განმარტავს, რომლის იქით იგულისხმება ბიბლიის წიგნების უარყოფა, ქრისტეს მისტიკის გაუქმება, ზნეობის ნიველირება, კათარზისის გზის სიყალბედ მონათვლა, უაზრობად ქცეული ტანჯვა; და მართლაც, რა აზრი აქვს იმ ტანჯვას, რომელიც უპიროვნო, ბრბოს უაზრო სათამაშოდ ქცეულა და უწონდა. და, როგორც არაერთგზის დამიმონებდა, ერთი ფილოსოფოსი მწუხარედ აღნიშნავდა:

„დღეს ქვეყნარტება გულწრფელობამ შეცვალა“.

თუმცა, დათა თუთაშვია, გიორგი ბრწყინვალე თუ გორა მბორგალი გულწრფელობის გზაზე ახერხებენ ქვეყნარტების მოძიებას. მათთან ისევე ხდება გაუქმებული ადგომის მისტიკის აღსრულება და „შინაგან ადამიანად“ ქცევა. ავტორის გენიალურობა იგაფურთხობით გვიხატავს საბჭოთა სისტემაში „დაბრმავებულ“ ადამიანთა სახეებს კასრის ბნელ ფსკერზე ორთაბრძოლით გართული ვირთაგვების სახით. ეს არის უაზრო, უმიზნო, ვნებისა და უნის ბრმა ნაკადს მიღევნებულთა სიზმრისეული ცხოვრება. ვირთაგვები იმ ვნების სათამაშოში არიან, რომელსაც თავზარდამცემი დემონი – სიკვდილის შიში წარმართავს და ყოველი ვნების ქვეშახალ, უამრავ ნილას ირგებს. ესენია შურის, აზარტული თამაშის, ტურდობის, სიძუნწის „ვენებანი“.

სიკვდილის შიშის დამარცხება – ეს არის ჭაბუა ამირეჯიბის გმირების პირველი ნაბიჯი თავისუფლების გზაზე. ისინი მეორე სამყაროს განეკუთვნებიან, ვინც სიკვდილის შიში დაძლია, (ანუ დათარგუნა თანმობილი ბოროტება (ადამიანს და ევსა შეუცდებია); სწორედ ისინი არიან რჩეულნი. ისინი, ვინც ერის მისტიკური ორგანიზმის მშენებელს წარმოადგენს. ვისაც შეუძლია ქვეყნარტის სიყვარული და თანაგრძ-

განმავლობაში ის აქტიურად ებრძვის ბოროტებას, რომლის დროსაც თავისი დაუნებურად ცოდვაში ეხვევა, მუშნი ზარანდია – სატანა – მუდამ დაუმარცხებელი რჩება, მაგრამ, როცა გადამწყვეტილებას იღებს (იესო ქრისტეს დარად), შეენიროს და ცეცხლს კაცობრიობას (რომანის ქვეტექსტში ბიბლიის ტექსტის ქვედინება ამოკითხება). ის სიმბოლურად პასპორტს იღებს ამ „აქტისთვის“, გეო ასლამაზოვის (იავარქმნილი-ას ნაწილად ქცეული სილამაზე-დედამინა-საბჭოეთის სიმბოლო) ძმისწულს, ვინმე ელამ ზახარ კარპოვიჩისაგან. მისი გვარია კარპო (ბერძნ. – ნაყოფი). სიტყვასიტყვით გამოდის ნაყოფად, რაც იმაზე მიანიშნებს, რომ აქ საუბარია სიკეთისა და ბოროტების ხის ნაყოფზე, რომელიც ადამამ და ევამ სამოთხეში შეჭამეს.

ეს ის მომენტია, როცა დათა აღარ ასამართლებს. ეს არის ის „სივრცე“, სადაც ბოროტება და სიკეთე გარდაუვალი კანონზომიერების მეოხებით ერთმანეთს უახლოვდებიან“, რათა სამყაროს დაფარული საზრისი, საიდუმლოებათა საიდუმლოება განასრულონ. ეს არის კაცადმოვლენილი დათა თუთაშვიას – ქართველი ერის კრებითი სულის მიერ ნებაყოფლობით მსხვერპლავლება და ტანჯვა-წამებით კაცობრიობის ცოდვების გამოსყიდვა.

რაც შეეხება მესამე ნაკითხვის ვარიანტს, მისი მიხედვით „ღმერთი არ კვდება“ – ასეთია რომანში ასახული ღვთაებრივი ადამიანის, ქართველი ერის კრებითი სულის, დათა თუთაშვიას წყალში გარდაცვალება – ქართულ მითოლოგიაში წყლის ღმერთი იგრი სიცოცხლის საწყისია – რათა ისევე განახლებული დაუბრუნდეს კაცობრიობას. ესეც ავტორის პასუხია, რომ „ღმერთის სიკვდილი“ ილუზიაა, რადგან ის კი არ კვდება, არამედ მხოლოდენ დროებით გადის ჩვენი ცნობიერებიდან.

როცა სატანად წოდებული მუშნი ზარანდია განაცხადებს: „მე ბალახი ვარ, და არ ვცდილობ, ხედ ვიქციე“, ის ამით ისევ იეპოქის დაკვეთას, მის მიმართულებას და მთავარ მრწამსს განმარტავს, რომლის იქით იგულისხმება ბიბლიის წიგნების უარყოფა, ქრისტეს მისტიკის გაუქმება, ზნეობის ნიველირება, კათარზისის გზის სიყალბედ მონათვლა, უაზრობად ქცეული ტანჯვა; და მართლაც, რა აზრი აქვს იმ ტანჯვას, რომელიც უპიროვნო, ბრბოს უაზრო სათამაშოდ ქცეულა და უწონდა. და, როგორც არაერთგზის დამიმონებდა, ერთი ფილოსოფოსი მწუხარედ აღნიშნავდა:

„დღეს ქვეყნარტება გულწრფელობამ შეცვალა“.

თუმცა, დათა თუთაშვია, გიორგი ბრწყინვალე თუ გორა მბორგალი გულწრფელობის გზაზე ახერხებენ ქვეყნარტების მოძიებას. მათთან ისევე ხდება გაუქმებული ადგომის მისტიკის აღსრულება და „შინაგან ადამიანად“ ქცევა. ავტორის გენიალურობა იგაფურთხობით გვიხატავს საბჭოთა სისტემაში „დაბრმავებულ“ ადამიანთა სახეებს კასრის ბნელ ფსკერზე ორთაბრძოლით გართული ვირთაგვების სახით. ეს არის უაზრო, უმიზნო, ვნებისა და უნის ბრმა ნაკადს მიღევნებულთა სიზმრისეული ცხოვრება. ვირთაგვები იმ ვნების სათამაშოში არიან, რომელსაც თავზარდამცემი დემონი – სიკვდილის შიში წარმართავს და ყოველი ვნების ქვეშახალ, უამრავ ნილას ირგებს. ესენია შურის, აზარტული თამაშის, ტურდობის, სიძუნწის „ვენებანი“.

სიკვდილის შიშის დამარცხება – ეს არის ჭაბუა ამირეჯიბის გმირების პირველი ნაბიჯი თავისუფლების გზაზე. ისინი მეორე სამყაროს განეკუთვნებიან, ვინც სიკვდილის შიში დაძლია, (ანუ დათარგუნა თანმობილი ბოროტება (ადამიანს და ევსა შეუცდებია); სწორედ ისინი არიან რჩეულნი. ისინი, ვინც ერის მისტიკური ორგანიზმის მშენებელს წარმოადგენს. ვისაც შეუძლია ქვეყნარტის სიყვარული და თანაგრძ-

ნობა. შეუძლია-წმინდობა-ტრადიციულად, საშობალოს-სიყვარული და ამ პირველ (და მეორე) საბჭოთა მთრეს უსასრულო მანძილია, ამოუცხვებელი უფსკრულია. ამაზე მიგვანიშნებს ყოველთვის სიმართლის მხარეზე მდგომი ვინმე ვარამია, რომელიც ვირთაგვების ორთაბრძოლაში იღებს მონაწილეობას. მასასადამე, მას არ დაუძღვია სიკვდილის შიში, ვერ განთავისუფლებულა სიკვდილის ბრმა ლტოლვისგან. თავად მისი სახელი „ვარამია“ კი ირონიზირებაა სიტყვა გოდებისა.

ფრაზა: „აქ, და ამ დღეს, ამ სიტუაციაში“ არის ყოველი ადამიანის სასიწვი ქვა, ის მოცემულობა, რომლითაც სულიერად დაბადებული ადამიანი, პიროვნება გამოიცვლება. ეს ნიშნავს, რომ ადამიანი მხოლოდ კონკრეტულად, მოცემულ დროსა და სივრცეში, არსებულ სიტუაციაში გამუდვანდება, და პიროვნებამ მას აუცილებლად უნდა გასცეს პასუხი. რომანის ტექსტში ამ ფრაზის ვარიანტს გვთავაზობს ავტორი:

„აქა ვდგევარ და სხვაგვარად არ ძალმიძს“

ანუ, მე ვარ ადამიანი, რომელმაც სიკვდილის შიში გადალახა, და მოპოვა თავისუფლება, თავისუფალი არჩევანის შესაძლებლობა. მასასადამე, ასეთ ადამიანს შეუძლია თქვას: მე ვარ კონკრეტული დროისა და სივრცის განმკარგავი და ასე ვხედები ღმერთის ნების თანაზარი, რადგან ღმერთის მიერ დასმულ კითხვას ვისმენ და ვპასუხობ კიდევ.

ასეთი ადამიანის გულში ღვთაებრივი ნება შემოდის, და მისი ყოველი ქმედება თუ სურვილი ღვთაებრივი ცეცხლით, თავისუფალი ნებით წარმართება, რომელიც მის არსებას ერთ წრედ გაამთლიანებს, „შინაგან ადამიანად“ აქცევს.

აქეთ თუ არა უფლება, ჭაბუა ამირეჯიბის რჩეულთ: დათა თუთაშვიას, გორა მბორგალს თუ გიორგი ბრწყინვალეს, იარსებონ? ეს იგივეა, იკითხო:

„აქვს თუ არა უფლება კაცობრიობას, აირჩიოს თავისუფლების ის გზა, რომელიც ადამიანის ცხოვრებას ტრადიციის ქვეყნით, სინდისის ძახილით იპოვოს თავისი იდეალური, ღვთაებრივი გზა, რომელიც ტანჯვით, მსხვერპლმწიფის გზით მიიყვანს იმ ნახტომამდე, რასაც ღვთაებრიობამდე მისასვლელი გზა ეწოდება.“

და ბოლოს, ეს იმასაც ნიშნავს, რომ ჭაბუა ამირეჯიბის ქმნილებები კაცობრიობის ის სულიერი საზრდოა, რომლის გარეშეც ის ვერ იარსებებს.

და მინც, ისევე და ისევე, რამ განაპირობა მისი ნაწარმოების ასე უზომო პოპულარობა? სიცოცხლისუნარიანობა? უკვე ნაწილობრივ აღვნიშნე, ვისაუბრე იმაზე, რომ ყველა მისი რომანის ქვედინება ბიბლიის ტექსტს ეფუძნება. მაგრამ აღვთოვანებებს იწვევს და გენიის ელვარე ბილიკს მიეუყვებით, როცა აღმოვანენთ, რომ ჭაბუა ამირეჯიბი არა მარტო თავისი ქვეცნობიერით, არამედ ასევე იღიდ ხნის ფიქრისა და განსჯის შედეგად მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ის, რაც ლირებულა, უნდა ეფუძნებოდეს იმ ღვთაებრივ საწყისს, იმ ენიგმას, რომელიც ჩასაიდუმლოებულია ერის მისტიკურ ორგანიზმში: ეს მისი ტაძრებია, მისი შედეგებია, მისი სიმღერებია. ამიტომაც თავისი გენიალური „დათა თუთაშვიას“ კომპოზიცია XI ს. ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლის – სვეტიცხოვლის ანალოგიისა და ქართული ხალხური პოლიქრონიული „ეფექტი“ შთაგონებულმა ჩაიფიქრა, რადგან მისი მისტიკური თვალისთვის საცნობი იყო, რომ ძეგლი, რომლის საძირკველში ქრისტეს კვართი იყო დაფლული და მუდამეჟსა ქართული საქრისტიანოს ცენტრს წარმოადგენდა, უდავოდ ატარებდა იმ მისტიკურ წყობას, იმ ქარგას, იმ მუსიკას (საკი არქიტექტონიკას „გამუშეებულ მუსიკას“ უწოდებენ), იმ ნიშანს, იმ ტვიფარს, რომელიც თავის თავში იმეორებს ერის მისტიკური ორგანიზმის არსს არსთაგანს.

წიგნიდან „თბილისური ნოველები“

რადგან წიგნი ნოველები ქრონოლოგიურად მიჰყვება ერთმანეთს XIX საუკუნის დამლევიდან XX საუკუნის დასასრულამდე, ამჯერად მხოლოდ გასული საუკუნის 30-იანი წლების თბილისის ამბებს შემოგთავაზებთ. ამ ნოველებს, სათითაოდ ყველას, თავისი პროტოტიპი ჰყავს. ისინი თბილისელები არიან, თბილისში ცხოვრობდნენ და თბილისის სოციალური კვებობდნენ. მათი სული ფარავდეს ჩვენს დედაქალაქსა და სრულიად საქართველოს!

ენო ქუთათლაძე

ფარეშობილი კაცია



მოდოდა ქუჩაში ჯიბეებში ხელბანაყობილი კაცია, მოდიოდა და მოიძვროდა:

ფარეშობილი კაცია, თეთრი ნიფხავი აცვია...

ეზობს შემოვივლიდა და ყველგან ერთსა და იმავეს დამღერებდა. მეტადრე ერთი ეზო ჰქონდა ამოჩემებული. იტყოდა თავის სიმღერას და მეზობლებს გასძახებდა:

– ელისაბედ, დღეს ტოლმა მომენატრა. გამითბე და გამოიტიანე! თამრო, შენ კაკლის მურაბა გექნება! ოლიკო, ჩაი არ დაგავინყდეს, ჩაი! ელენე, პური მოიტანე, დღეს ძალიან მოშობილი ვარ! კოვზი და ჩანგალი არ დაგავინყდეთ, გესმით?!

ყველას სახელი ახსოვდა ღვთის გლახას, ოჯახდაქცეულსა და გაპარტახებულს. ყველა პატივს სცემდა, შეიძლება ითქვას, უყვარდათ კიდევ, რადგან, ერთი დღეც რომ არ გამოჩენილიყო – სად დაიკარგა, სად დაიკარგა? – ყველა ამას გაიძახოდა. ვისაც რა ჰქონდა სახლში, იმას მოარბენინებდა, ის კი ერთ ჰანგზე მღეროდა. კარგი ხმა ჰქონდა, მუსიკოსები რომ იტყვიან, „დრამატული ბარიტონი“. მღეროდა და ლექსებსაც თვითონ აწყობდა, უფრო სწორად, მიანყ-მოანყობდა ხოლმე.

ელისაბედს მართლაც მოჰქონდა თიხის ჯამით ტოლმა, თამარს – კაკლის მურაბა სამურაბე ლამბაქით, ოლიკოს გოგოს – ნათელას – ჩაი, ელენეს – ქაღალდის პარკით – პური. ფარეშობილს ყველაზე მეტად ბავშვებთან ლაზღანდარობა უყვარდა.

– ძია არსენ, შენი გვარი მართლა ფარეშობილია თუ ისე მღერისხარ? – ხშირ-ხშირად ეკითხებოდა ნათელა. ისიც ყოველთვის ერთსა და იმავეს პასუხობდა:

რა მნიშვნელობა აქვს მაგას, ფარეშობილი კაცია და მთავარი ეს არის. შენ რა გქვია, გოგონა? ჰო, გამახსენდა, გამახსენდა – ნათელა! ჰოდა, აი, ლექსს გეტყვი:

ვერობა და აზია, ტფილისის გიმნაზია, იქა სწავლობს ნათელა – ყველაზე ლამაზია!

გოგონები ტკრციალებდნენ და გარს ეხევიდნენ ძია არსენს:

– მეც მითხარი ლექსი, მეც! – ემუდარებოდნენ ღვთის გლახას.

– გეტყვი, გეტყვი, განა არა?! – პასუხობდა და:

ჭრელთვალეა მათაო, ეს ცხოვრება კათაო, თუ ოჯახში დარიაო,

ყველა მტერი მკვდარიაო!

ნატალია ხალიანო,

ღმერთს უყვარხარ ძალიანო!

ახლა კი დამასვენეთ, გოგონებო, კერძი უნდა ვიხმობი! – თქვა და ტოლმის წვენი ხერეპას შეუდგა. კომპოსტოში გახვეული ხორცის ნაჭერი კოხტად დაანანევრა და ჩანგლით გააქანა პირისკენ.

– მარიკელა, შენ რას დამდგარხარ აქა? – დაუყვავა მთხოვარამ პანია გოგოს. – რამე ხომ არ გინდა? იქნებ – კაკლის მურაბა...

– ალა... – წინადადების დამთავრებას დაასწრო მან.

– ჰო, კარგი! მაშ, ეგრე იდექ და მიყურე...

– პაპა, – მიმართა გოგონამ. – თეთლი ნიფხავი ლატო გაცია? ლამაზია?

– არა, მარიკელა, თეთრი სუფთაა და იმიტომ. კაცს სუფთად უნდა ეცვას, ხელ-პირი დაბანილი და თმა გაკრეჭილი უნდა ჰქონდეს, თორემ დათვს დაემსგავსება, მაშინ კაცს არ იქნება, – ან დათვი იქნება, ან კამეჩი.

– ბოჩოლა?

– ბოჩოლა და გოჭიც შენ იქნები, თუ დედიკო კაბას არ გაგირეცხავს.

– პაპა, იმლელე, ლა?!.

– კარგი! – და მოჰყვა სიმღერას: *მარიკელას ბოჩოლა მალე გადიდკაცდება, კარგ ბაიათს ისწავლის, ქვეყნის თავში დაჯდება, რძეს არ მისცემს არავის და კამეჩი გახდება.*

– ლატო გახდება ბოჩოლა კამეჩი?

– ეეჰ, აბა, რა გითხრა? ქვეყნის თავში თუ მოექცა, მაშინ კამეჩიც შეიძლება გახდეს, ვირიცა და ურწხულიცა.

– აბა, რას ეუბნები ბავშვსა?! ნავა და სხვაგან იტყვის; შენ არ იცი, რო, ბაღს რასაც ჩასძახებ, იმას ამოგაძახებს?! – ღია ფანჯრიდან დატუქსა ელიკომ.

– ვიცი, განა არ ვიცი? – ხმაში სევდა შეერია მთხოვარას. უჩუმრად დაასრულა ჭამა და ფეხაკრეფით გავიდა ეზოდან, თან გასვლისას სულ თავს უკრავდა ქაღებებს, აქაოდა – მადლობაო.

ელისაბედმა თვალზე მომდგარი ცრემლი მოიწმინდა:

– თითქო სულელია, ყველა გიყს ეძახის, მაგრამ ხანდახან ისეთ რამეს იტყვის... – და ორი თითით გულისპირი წამოიწია.

– გიყსაც თავისი სიბრძნე აქვს, იმას ხედავს, რასაც ჩვენ ვერ ვხედავთ, ან ვხედავთ და აღიარებას ვუფრთხით, – გამოეპასუხა თამარი.

– გუშინ გავიგე, კაცო, თურმე ორი ვაჟი ჰყოლია, ორივე დაუზგრეტიათ ოცდაათში, ცოლიც დარდით დაღუპვია, თვითონ კი ასე დანანალებს მას შემდეგ.

– ჰო, ეგ არე გამიგია, მაგრამ რატომღაც მერა მჯერავს.

– რატო, ქალო?

– იმიტომ, რომა გერმანიაში უსწავლია ილუინრობაო. განა შეიძლება ეგ მართალი იყოს?

– ეეჰ, ამ ქვეყანაში ყველაფერი შეიძლება მართალი იყოს! ვერა ხედავ დიმიტრისა, შვილის დაპატიმრების შემდეგ სახლიდან არ გამოდის, არადა, რა ფარმაცეფტი

იყო? – ექიმზე უკეთესი! ყენიაც ნახე, სულ თაღი აცვია, ხმას არავის სცემს, თითქოს დამუნჯდოდ, სიძე და ქალიშვილი რო გაუციმბირეს. ნეტა, იმ ბაღს თუ ელაპარაკება? – ვისა, ქალო?

– ვისა და ანატოლის – შვილიშვილსა! ცამეტი წლისა და ობოლიც არ ეთქმის, დედ-მამა ცოცხალი ჰყავს, მაგრამ რად გინდა?!. გაღმა კაცსა ჰყავს!

ქუჩიდან ისევ ისმოდა ნაცნობი სიმღერა. ყველა სოფელსა და ქალაქის ყველა უბანს უნდა ჰყავდეს თავისი გიჟი, სულელი, გამართობი თუ გასართობი, მაგრამ არსენას გაპარსულ სახეს, მის გაპრიანებულ ფეხსაცმელსა და ნაცრისფერ პიჯაკს გიჟისას ვერ დაარქმევდი. თუმცა რა გასაკვირია? ყველა სულთ ავადმყოფს ხომ თავისი აკვიატება აქვს. როგორც ვითომ ჭკვიანი კაცია სხვადასხვანაირი, ისე გიჟიც. განა ჩვენ, ყველას, თავისებური სიციფე არა გვჭირს?! ოლონდ ეგ არის – ვცდილობთ, არ გამოვხატოთ.

ახლა უკვე ქუჩის განაპირას ისმოდა სიმღერა: *მე ვარ არსენა ფარეშობილი, ვერ მოვაშორე ქვეყანას ჭირი, არც ბოძში მქონდა და არც – ხირიმი!*

რა უნდა მექნა, შენი ჭირიმი?! ეგრე არ არის, ჩემო თავაო, ჩემი მამული შენ რო გაყაო!

ღიღი მატჩი

რა უნდა მექნა, შენი ჭირიმი?! ეგრე არ არის, ჩემო თავაო, ჩემი მამული შენ რო გაყაო!



დრო მიიზღაზნებოდა გაურკვეველობის მოლოდინში. თბილისის ქუჩებში ხვატი დადიოდა, დადიოდა კი არა, დაშლივინებდა; ხანდახან ხორშაკი ქარიც წამოუქროლებდა. ჰაერი შედედდა, ჩაიხუთა. უცებ საიდანლაც წვიმის პანია ღრუბელი გამოჩნდა ცაზე და აქა-იქ მორწყა გამზირები და ქუჩები, ჩიხები და ქულბაქები, ცადაწვილი ტაძრები და ბაღები.

სალამოვდებოდა. გოგო-ბიჭები გარეთ გამოეფინენ და მაცოცხლებელ წვეთებს შეუშვირეს თავი, მაგრამ, წვიმა როგორ უცბადაც წამოვიდა, ისევე უცებ შეწყდა. მარიკა და გურამი სახლში შეცვივდნენ და გრძელ, ფართო აივანზე პირდაპირ იატაკზე მოიკალათეს. მათი გონება ხვალინდელ მატჩს უტრიალებდა და საუბარიც სწორედ იმას ეხებოდა, როგორ ენახათ ეს შეჯიბრი.

– აქ რას დამსხდარხართ? – ჰკითხა მოულოდნელად აივანზე გამოსულმა მამამ ბავშვებს.

– მამი, შეიძლება ხვალ ფეხბურთზე წავიდეთ მე და მარიკა?

– რა? ფული გინდა?

– აბა, გოგოს ხომ არ გადავახდევიან ბილეთის ფულს?

– მერე, ბილეთს იშვით? ჩემი ვარაუდით, გუშინ ყველა ბილეთი უკვე გაყიდული იყო...

– ვიშვით, ვიშვით!.. – ადგილიდან წამოხტა მარიკა და ვეება წამწამები ეშმაკურად დააფახულა.

– კარგი, ნადით! – უთხრა თხელ ზოლიან შარვალში სამინაოდ გამონყობილმა მამამ, ჯიბიდან ფული ამოიღო და ვაჟს გაუწოდა.

– ოლონდ ფრთხილად იყავით, სადმე ხიფათს არ გადაეყაროთ! გურამი, ალბათ, ერთი წლით უმცროსი იქნებოდა ჩვიდმეტი წლის მარიკაზე, მაგრამ გვერდიდან არ სცილდებოდა მეზობლის გოგოს. სკოლაშიც ერთად მიდიოდნენ, ფეხ-

ბურთის სათამაშოდაც და თეატრშიც. კაცი იფიქრებდა, და-ძმა ან ნათესავეები ხომ არ არიანო... სკოლაში კი უკვე დასცინოდნენ: შეყვარებულებს გაუმარჯოსო, თუმცა ამ სიტყვებს არც მარიკა აქცევდა ყურადღებას, გურამი კი, საერთოდ, აინუნეზიც არ აგებდა მათ. ვისაც რა უნდა ეთქვა, ისინი მეზობლები და მეგობრები იყვნენ და მორჩა...

მეორე დღით, ისაუზმეს თუ არა, სახლიდან გაცვივდნენ და გეზი პირდაპირ ლავრენტი ბერიას სახელობის სტადიონისკენ აიღეს, ბილეთის რიგში ჩადგნენ და თავის ჯერს ელოდნენ. ამ დროს ერთი ამბავი ატყდა, მინე-მონევა, ჩხუბი, ჯგლეუთა... ბილეთის აღება ყველას უნდოდა. მარიკა შუა ჩხუბში შეძვრა და სალაროსაკენ გაიწია. მიღწია კიდევ, ორი ბილეთიც აიღო და, როცა ძველ ბიჭებსა და მილიციას დაუძვრა ხელიდან, კაბა ერთიანად ჩამოხეული, თმა განწილი და ხეცული გაკანრული ჰქონდა, ფეხზე კი ცალი ფეხსაცმელია შერჩენოდა. მან უცებ გაიძრო ფეხიდან მეორე ფეხსაცმელიც და ბორდირთან ფეხშიშველმა მიიბრინა.

გურამმა თანაგრძნობით შეხედა გოგონას: – ახლა რაღა ვქნათ? მატჩის დაწყებამდე საათ-ნახევარიღა დარჩა, თან, თუ დროზე არ მოვედით, შეიძლება არც შეგვიშვან... ჰოდა, ბილეთებმაც მოგვჭამა ჭირი... – დანანებით თქვა გურამმა და მარიკას გამონვდილი ბილეთები ჯიბეში ჩაიღო.

გოგონა უცებ მოსწყდა ადგილს, ბიჭი ხალხით გაძევილ ავტობუსში შეჭურთა, თვითონ კიბის სახეულურს დაეკიდა... თხუთმეტ წუთში ეზოს კართან ჩამოხტა, გაჩერებამდე არც მიჰყოლია ტრანსპორტს. გურამი, რა თქმა უნდა, დინჯად ჩამოვიდა გაჩერებაზე, თან თავში რუსული სიტყვა „зайчиком, зайчиком“ უტრიალებდა, რაც უბილეთოდ მგზავრობას ნიშნავდა და სწორედ ეს ანუხებდა ყმანვილს.

სანამ გურამი ეზოს კართან მივიდოდა, მარიკას კაბა უკვე გამოეცვალა, თამც დაეყარცხნა და ორი გრძელი ნანანავიც თავზე შემოეხვია ლუბა მასწავლებელივით. ბიჭი გაცოცხლებით უყურებდა კიბეზე თხასავით მოხტუნავე გოგონას და თან ფიქრობდა: „დედაჩემი მართალია, მართლა თხასავით დახტის“... ამასობაში მარიკა ჩამოქვეითდა, გურამს ხელი ჩაჰკიდა და სირბილით გაიყოლა გაჩერებისკენ.

ნახევარ საათში ორივე თავის ადგილას ისხდა, სტადიონი ხალხით იყო გადაჭედილი. მილიციასაც დაეკავებინა გასასვლელი... ხუმრობა ხომ არ იყო, საერთაშორისო მატჩი იმართებოდა, თან ამ მატჩს საქართველოს კომპარტიის პირველი მდივანი ლავრენტი ბერიაც ესწრებოდა. მარიკა და გურამიც სწორედ მას მიაჩერდნენ. აშკარად ღელავდა ამხანაგი ლავრენტი, რაინე უხერხულობა რომ არ შექმნილიყო.

ფეხბურთის მაუნყებელი მარშიც გაისმა, ბასკებმაც დააგუგუნეს თავიანთი ჰიმნი და შეჰყვნენ თამაშს. ქართველ ფეხბურთელებს დაცვაში დგომა მაინცდამაინც არ ექაშნიკებოდათ, ბასკების კარისკენ გარბოდნენ დასალაშქრავად და ამით გზას უთავისუფლებდნენ შეტევისთვის მობრუნებულ მეტოქეებს. თან ისიც გასათვალისწინებელია, რომ ლენინგრადელი მსაჯი, შჩელჩიკოვი, აშკარად მათ მხარეს იყო. ის კი არადა, მსაჯმა ჯარიმაც სრულიად უმიზნოდ დანიშნა დინამოელთა კარისკენ. სწორედ მაშინ, ოცდამეათეუთმეტე წუთზე, გაიტანა პირველი გოლი ბასკთა თავდამხმელმა ისიდორო ლანგარამ.

– ბონია, ბონია! – მთელი სტადიონი ყვიროდა პატივისცემით, როცა ის მეტოქის კარს დაელოდებოდა. ქართველ ფეხბურთელებს სწორად შეესაძლებლობის ზღვარს აღწევდა. თვალს ვერ შეასწრებდი, ისე სწრაფად იცვლებოდა ყველაფერი მოედანზე. ერთი არაზუსტი გადაცემა და... არა და არ იქნა, ვერაფრით დაუძვრნენ ბასკთა დაცვას პენალტების დიდოსტატი მიხეილ ბერძენიშვილი და დინამოელთა იმედი ბორის პაიჭაძე, თუმცა რამდენჯერმე მაინც დაარტყეს კარის მიმართულებით, მაგრამ ყველა ბურთი გააშემა მათმა მეკარე ბლასკომ. რიგვიროს მიერ კუთხურიდან ჩანოდებული ბურთი კი მოიგვრია ალიოშა დოროხოვმა, მაგრამ მისი ხელიდან ანასხლეტი მიშა მინავეს მოხვდა და დინამოელთა კარის ბადეში გაეხვია.

მატჩის ორმოცდამეათე წუთი სრულდებოდა. დინამოელები კიდევ უფრო აჩქარდნენ, მაგრამ ფეხბურთელთა მცდელობამ შედეგი არ გამოიღო – ბასკებმა ორი უპასუხო გოლი გაიტანეს.

დადარდინებული მარიკა უგერგლოდ მიაბიჯებდა ქუჩაზე, ცოტაღა აკლდა, რომ მსხვილ-მსხვილი ცრემლები გადმოეყარა თვალებიდან. გურამიც სევდიანად შესცქეროდა გოგონას:

– ნუ დარდობ, მარიკელა! ეს ხომ მხოლოდ მატჩია. დღეს მათ მოიგეს, ხვალ ჩვენ მოვუგებთ!

– რომ არ დადგეს ეს ხვალ? რომ აღარ დადგეს ეს ხვალ? რომ არ მოინდომონ ბასკებმა თბილისში ჩამოსვლა?... – ტირილის ხმაზე პასუხობდა გოგონა.

– ისინი არ ჩამოვლენ, ჩვენ ნავალთ! – ამშვიდებდა გურამი.

– ჰო, როგორ არა?! ვინ გაგიშვებს, თორემ...

მეორე მატჩი მაინც შედგა: „ზხლა უკვე საქართველოს ნაკრებს ეთამაშებოდნენ ბასკები, თუმცა, რა ნაკრები?! მხოლოდ ერთი ფეხბურთელი, გაიოზ ჯეჯელავა, დამატეს „ტორპედოდან“. ეს მატჩიც ნააგეს ქართველებმა, მაგრამ ერთი პენალტი მაინც გაიტანა ბორის პაიჭაძემ, თუმცა ამ მატჩს მარიკა და გურამი აღარ ესწრებოდნენ. რეპროდუქტორთან მიმსხდარნი ელოდნენ შედეგს და, როცა ქართველებმა სამით ერთი კვლავ ნააგეს, მოუთმენლობისაგან ფეხზე წამომხტარი მარიკა მოწყვეტით დაეზღურთა სკამზე, იქვე დაგდებული ქიმიური ფანქარი აიღო და ნაფულად შეუდგა ზიგზაგების ხეჭვულას.

– რას იზამ, ჩემო კარგი! ხომ ხედავ, რა მაგრები იყვნენ ისინი! ობიექტურნი უნდა ვიყოთ, ობიექტურნი! ჩვენზე სწრაფადაც დარბოდნენ და დაცვაც ძლიერი ჰყავდათ.

– მაგას როგორ ამბობ?! – თვალები წამოენთო გოგონას. – ქართველი არა ხარ?

– ქართველი კი ვარ, მაგრამ...

– რა მაგრამ, რა მაგრამ?! – და მოქნული ნაწვეტებული ფანქარი პირდაპირ სახეში ჩაჰკრა გურამს.

გურამის სახეზე სისხლმა გამოეფონა. ამჯერად მარიკა სერიოზულად შეშინდა, ვაითუ, თვალი ამოვთხარო. ძუ ვეფხვივით გადაეველო მაგიდას და თან დასწყვილა:

– გვიშველეთ! გვიშველეთ!

გურამი ექიმთან გაქაჩებდა. ფანქარი თვალს არ შეხებიაო, – დაამშვიდა დასტაქარმა მშობლები, თუმცა ქიმიური ფანქრის კვალი სამუდამოდ, ბასკებთან მატჩის სახსოვრად დარჩა გურამს სახეზე.

ცოტა ხანში აღარც ოჯახს ახსოვდა, აღარც მარიკასა და გურამს 1937 წლის 24 ივლისის ის საღამო – გურამის მამა, რიგითი მასწავლებელი, დაპატიმრეს და დედაც მასთან ერთად ციმბირის გზას გაუყვნეს.

ქურდაცაცების დედოფალი



ზაფხული ძალას იკრებდა. ქვაფენილს ოხმივარი ასდიოდა, ქალაქიც თვლემას მისცემოდა; არსად ისმოდა ბავშვების მხიარული შეძახილები, ბურთაობა, სტვენა და ხორხოცი; მზეს თითქოს თავისი უგრძობი ენით აელოკა ადამიანები დედაჩინის ზედაპირიდან; მათი საზრუნავი და სატკივარიც თან გაეყოლებინა; მნათობის ხაოიან ალს გარიდებულნი ჩრდილ-ჩრდილ დაიზღაზნებოდნენ ქუჩებში. და მაინც რეკდა სიონის ზარი, პეტრე-პავლობას აუწყებდა ქალაქელებს; ტაძარში კანტიკუნტად იდგა ხალხი; ნითელ რეპრესიებს გადარჩენილები ვერ ბედავდნენ იქ მისვლას, შვილიშვილად დედებს კი რა მოეკითხებოდა?!

მთავარი მაინც ბავშვები იყვნენ, თექვსმეტი-ჩვიდმეტი წლის უმშობლებოდ დარჩენილი ბიჭები. ისინი ყოვლის მსახვერად ხელს ქალაქის ნახევრად ჩაბნელებულ დერეფნებში შეეყარა და საშუალოდ დაევიწყებინა. მათში ერთი ერთი თორმეტი წლის ბიჭი, რომლის დედაც რაღაც მიჯნაზე იყო, თუ ბედისწერიოთ შეიღებების გვერდით დაჩრდილდნენ, თუმცა რაღაც დარჩენაა - მისი უფროსი გოგონა სიკვდილს ებრძოდა. ერთი თვე იქნებოდა, სანოლიდან ვერ დგებოდა; მისუსტებული, უმზერო ყვავილივით ჩამომჭკნარი და სიცხით გათანგული, მხოლოდ წყალს ითხოვდა. ნაცნობ ექიმს ეთქვა, ეს ჭლებია, ქალაქიდან გაიყვანეთ, კარგად კვებეთ და, იქნებ, მოშობინდეთ. ეს ნათქვამი ზღაპარს ჰგავდა, რადგან მარჩენალდაკარგულ ოჯახს არათუ აგარაკზე წასვლის, „კარგად კვების“ საშუალებაც არ ჰქონდა. ისხდნენ და ელოდნენ დასასრულს - დედა, შუათანა გოგონა და ის, თორმეტი წლის ბიჭი.

საშველი არსად ჩანდა, გამოსავალი არ არსებობდა. ზაფხულისფერი ზაფხული და ზაფხულის დანავარდობდა თბილისში; დაობლებული ბიჭები კი ქუჩა-ქუჩა დაეხეტებოდნენ, ეზოებში იკრიბებოდნენ, მაგრამ არ თამაშობდნენ, არც ქირქილებდნენ, არც გოგონებს ზვერავენდნენ, მხოლოდ ლაპარაკობდნენ, თან ისე ხმადაბლა, რომ ბუზის გადაფრენასავით ზუზუნი ისმოდა წრეში ჩამდგართაგან. მეზობლები აქეთ-იქიდან აყურებდნენ, მაგრამ სულ ტყუილიად: - Вот паразиты, что-то замышляют! - ჩაილაპარაკა მილიციის კაპიტნის ცოლმა. - А когда вы замышляли, хорошо было! - გამწარდა მარიამი, მკერდზე სველი ხელი დაიტყაპუნა და აბეზარ მეზობელს გასცილდა. - Бездельники! Вы все на наших харчах живете!

- აბა, აბა! შრომით სულ წელი გწყდებოდა! - გამოეყომაგა მარიამს სხვა მეზობელი. ბინდი ჩამოშვავდა, შავ-ნაც-რისფრად შეიღება ზეცაც. ღამის სიგრილემ გახურებულ ქვაფენილს შვების ორთქლი აადინა. ადამიანები სახლებში შეიყუვნენ, სინათლისა და სანთლის ანთებას ყველა ერთადებოდა; ცდილობდნენ, დაეზოგათ ყველაფერი, არც დენი დაენვათ, არც სანთელი, არც მამასისხლად ნამოვნი გროშები გადაეყარათ ცეცხლში.

უცებ ჭიშკარი მანქანის ფარებმა გაანათა, მერე ნელ-ნელა მიწაველდა და ჩაქრა. ბიჭები ეზოში შეცვივდნენ; ერთი შეტრიალდა და შუშაბანდის კარს ქუსლი მისცხო. მიხამ კარი გამოალო:

- აქ რა გინდათ ამ ღამით?
- დედაშენი სახლია?
- არა! სამუშაოდ გაჰყავა ბანაკს.
- ჰოდა, ძალიან კარგი!
- მიხა, ეს რამერუმები უნდა შეგვიჩინოთ ერთი ღამით.
- რა არი?
- მრენველობის ნარკომის სახლიდან გამოვიტანეთ!
- გაგიუდით? შარში გინდათ გამხვიოთ?

- ნუ გეშინია! შენზე არავინ არაფერს იფიქრებს - სტუდიაში დადიხარ, სწავლობ, მუშაობ... მოკლედ, კარგი ბიჭი ხარ! - ჩაეცინა ბაქარს. - ესენი ნაივნი კაცად გთვლიან! - არა, არა! ნაილეთ აქედან! - ხმაში ბზარი გაუჩნდა მიხას. - დანყნარდი, მიხა, დამშვიდდი! არაფერი მოხდება! - შეეპასუხა ბაქარი.

მიხას შიშისაგან შეაფრთოლა. თვალები დახუჭა და წარმოადგინა, როგორ დაადეს ბორკილები, როგორ შეაგდეს გისოსებიან საპატრონოში, როგორ ურტყეს ფერდებსა და თავებში, ტყვილივით კი შეიგრძობა წელის არემი... მერე აკანკალდა, ლოყაზე სიმწრის ცრემლი ჩამოუვარდა.

ამასობაში ბიჭებმა ნაქურდალი შუშაბანდში ტახტის ქვეშ შეჩურთეს და სიცილ-სიცილით გაშორდნენ ეზოს. თან დასძახოდნენ: „აბა, რა ეგონათ, არმად შერჩებოდათ?“ „ჩვენ ქურდები ვართ და ესენი მამა აბრამის ბატონები?“ „ვისია ეს ყველაფერი? ჩვენი სახლებიდან არ გაიტანეს?“

ზაფხა და ტყვილი... ცრემლი და ოხვრა... ნვიმა და ქარაშოტი ელაგდა მიხას გონებაში; დედის სიტყვებიც გაისმოდა სადღაც შორიდან: „ცუციკოს შენს იმედად ვტოვებ! აბა, შენ იცი, შვილი! იცოდე, უკვე ზრდასრული კაცი ხარ და ყველა ცოდა მოგეკითხება“. ისევ გააფრთოლა ბიჭს.

როცა ფიქრიდან გამოერკვა, უკვე კარზე აკაკუნებდა, მართა ბაბოს კარზე. როგორც კი კარი გაიღო, არც შეუხედავს მოხუცისთვის, ისე გადაეხვია.

- რა იყო, მიხა? რა დაგემართა, ბიჭო?! - ჩასძახოდა მართა ბაბო და გულში იკრავდა მამით ობოლ შვილიშვილს.

ბიჭი ხმას არ იღებდა, ცრემლები ლაპალუპით დასდიოდა სახეზე; თითქოს ლოდზე წყაროს წყალი ეხეთქებოდა, ისეთ ხმას გამოსცემდა მისი გულიც.

თხუთმეტი წლის ცუციკო სახლში მარტო დარჩა, კარიც არავის შეუღია, თვითონაც არ გასულა გარეთ. ამ სიცხეში დაგმანულ ფანჯარასთან იჯდა, თავი იდაყვებზე დაეყრდნო და დიდი წყლიანი თვალებით ეზოს გაჰყურებდა. ტახტის ქვეშ გადაბალული ნაქურდალი შანთივით ესობოდა გულში.

მიხას არც მერე დღეს შეუხედავს სახლში. შიშისაგან სიცხემაც კი აუწია. ბაბო ცივ საფენებს ადებდა შუბლზე და თან თვალზე მომდგარ ცრემლს დამჭკნარი თითით იწმენდა.

- იმ გოგონს რაღა ეშველება? შენ მოგიკვდეს ბაბო, შენც რა დღეში ხარ! ასე როგორ უნდა დაფრთხე ვაჟკაცი კაცი, რომ უმცროსი და შეატოვო ქურდებსა და ბაცაცებს?! ღამემ შფოთსა და თრთოლაში ჩაიარა. მიხას სახლიდან გასული ბიჭები მერე ქუჩის ბოლოში დაუყავებიათ, მაგრამ ვერც მათთან და ვერც ახლობელ-მეგობრებთან ვერაფერი უნახავთ. იცოდნენ, რომ ამ უბანში სხვა ვერაფერი ჩაიდნდა ამ საქმეს და მაინც... ვერ იპოვეს

ვერც ნაქურდალი, ვერც მონძე - ამ ბიჭების ნარკომის სახლთან დამნახავი. მერე საღამოს ბაქარიც და მისი დამქაშებიც - უკლებლივ ყველა - გაათავისუფლეს, თუმცა მეთვალყურე კი აადევნეს.

დილაუთენია ფრთხილი კაკუნი გაისმა მიხას სახლის კარზე. ორი დღე-ღამის უძინარმა ცუციკომ ფანჯრიდანვე შენიშნა ბიჭები და კარი გაუღო. ორნი იყვნენ. ის თორმეტიოდე წლის ყმაწვილი და სრულიად უცხო ახალგაზრდა, კაკლის საბურტყელასავით აწონილი, ლურჯთვალა, ფერმკრთალი.

- ბაქარმა გამოგვჩვენა წასაღებად.
- მივხვდი.

თითო-თითო ფუთა გაჰქონდათ, უწუმრად, ფეხაკრეფით... აგროვებდნენ მეზობელ სადარბაზოში, მერე იქიდან ბაზრებში რომ წაეღოთ ან შექველამისთვის ჩაებარებინათ სოლოლაკში. უკანასკნელი ტომარა, ცოტა არ იყოს, მძიმე გამოდგა. აწონილმა გამოათრია, ნასკვი გახსნა, კუნთცოვის ფაიფურის დიდი ლანგარი ამოიღო და ცუციკოს გაუწოდა:

- ეს შენ, დედოფალი! - თან ემკაურად ჩაიციხა და ლურჯი თვალები შეანათა შავგვრემან, მოკლედ თამაქერეჭელ გოგონას. - ბაქარმა ბრძანა, დედოფლო, ნაქურდალიდან რამე დაუტოვებო შენსახვის. მთავარია, არავისთან არაფერი დაგცდეს! - უმაგისოდაც არაფერი დამცდებდა. ნადით და ეგაც თან ნაილეთ! - დაუცაცხანა ცუციკომ.

- არ იქნება! ბაქარის სიტყვას ვერ გადავალთ! რაც შენ გეკუთვნის, შენია! - აწონილი მაგიდის კიდზე ჩამოღო ლანგარი და ისევ გაიდმიჭა: - დედოფალი...

ორიოდ ნაბიჯიც არ ექნებოდათ გავლილი, რომ ის პატარა ბიჭი შემობრუნდა და ჯერ კიდევ კარში მდგარ ცუციკოს ხელები მოხვია:

- დიდი მადლობა, დაიკო! არ გენყინოს, ცოტა სულელია, შტერი... გოგონამ ოქროსფერ თმაზე გადაუხვა ხელი.

თენდებოდა, თენდებოდა, თენდებოდა უშფოთველი და დაუმადლებელი დილა. ცუციკო ჯერ ბოლთას სცემდა შუშაბანდში, მერე ალაგებდა, ნაფხურებს წმენდდა, თითქოს წუხანდელი ლაქებისგან ასუფთავებდა ოთახს. იცოდა, მალე მიხა მოვიდოდა. ებრალებოდა და ბრაზობდა კიდევ ძმაზე, ასე რომ მიატოვა, ორი ღამე არ გამოჩენილა. მერე ფანჯრები გამოალო. დილის სიგრილემ შეება მოჰგვარა. ტახტზე მიეგდო და მიეძინა. სიზმარში მხოლოდ ის ლამაზი ლანგარი ტივტივებდა კამკამა წყლის ჭავლზე, რომელიც აუცილებლად უნდა გაეწუქებინა, აუცილებლად, აუცილებლად...

ცირკის კიბე



„ხანდახან უნდა გასცდე საკუთარ ფიქრს, საკუთარ ქვეყანას, საკუთარ ცრემლსა და ცხოვრებასაც კი, მაგრამ არა ფიზიკურად, არამედ სულიერად. ყველა კუთხიდან უნდა შეხედო იმას, რისთვისაც დაათრევ საკუთარ ჭურჭელს. წინააღმდეგ შემთხვევაში, არსებობა აზრს დაკარგავს. იცოდე, კაცობა მოყვასისთვის, შენი ქვეყნისთვის გაკეთებული საქმეებით იზომება. არ შეშინდე, არ გაბოროტდე! გაბოროტების საძირკველი სიმხდალვაა. მით უმეტეს, დაივიწყე შურისძიება! თუ ვინმე უკადრისად მოგექცევა, სამაგიერო არ გადაუხადო!

შენს მოქიშეს თუ ისე მოექცევი, როგორც ის მოგექცა, მაშინ რაღა განსხვავებაა შენსა და მას შორის?! არ დაივიწყო ამქვეყნად ყველაზე დიდი მეგობარი - წიგნი! ის მოგცემს შეებას დინჯად, დაკვირვებით გადაადგი ყოველი ნაბიჯი!

არასოდეს მიატოვო გაჭირვებაში მყოფი მეგობარი. ვინც ხელს შეგაშველებს, გულს გაგიხსნის, ნურასოდეს ატყენ გულს.

არც მე დამივიწყო და არც ეს წერილი! იცოდე, შენ ჩემი სიცოცხლის გაგრძელება ხარ, იმედი იმისა, რომ ქართველი კაცი არასოდეს გადაშენდება.

შენი მოსიყვარულე მამა ანტონი“.

ეს წერილი სამი წლის შემდეგ იპოვა ილიკომ, სამი ხანგრძლივი და მძიმე წლის შემდეგ. წერილი იმ სახლის კედელში შეთხრილ სამალაგში ინახებოდა, საიდანაც სამი წლის წინათ გამოაძევეს და მისივე ავიანთან მიდგმული კიბის ქვეშ ხის ბურღუგანში შეასახლეს. ამ სამალაგის შესახებ მხოლოდ მან და მისმა მშობლებმა იცოდნენ. ილიკოს ბინაში ახლა მილიციის უფროსის მოადგილე ცხოვრობდა ოჯახით. ორი კანანა გოგო ჰყავდა საძაგლე, ორივე მაჩხუბარა და თავაშვებული. ბიჭებივით იცვამდნენ და საჩინოანი ტუდებით დადიოდნენ, ქუდს ქვემოდან კი ნითელი ზონრით შეკრული ორ-ორი წერილი და ქერა ნანწავი მოუჩანდათ. თვითონ მილიციის უფროსის მოადგილეც უსიფათო კაცი იყო, ქერა, დაუღაჟა ლოყებიდან ასევე დაუღაჟა ცხვირი გამოსჩროდა. ილიკოს მუდამ უბღვერდა და მეზობლებთან „ბანდიტად“ იხსენიებდა.

„ბანდიტი“? კი, ბატონო, იყოს ბანდიტი! რასაც ახლა მე დამგართებ, იმასაც ვნახავთ! სულ დავლენავ ყველაფერს! არც ჩვენს ბროლის ჭაღს შეგარჩენ, არც ამ ფაიფურის ფინჯნებს; არც ამ სარკეს, დედას რომ უყვარდა; არც ამ საგარძელს, მამაჩემი სამსახურის შემდეგ რომ ისვენებდა; არც ამ ბუზარს, გადია ცეცხლს რომ ანთებდა; არც ამ პიანინოს, დედაჩემი ფრთხილად რომ ეხებოდა... არა, არა... - ხმამაღლა ფიქრობდა ილიკო და ხელით რკინის კეტს აწვალებდა. საკუთარ ბინაში უწუმრად შეპარულს, ლაპალუპით სდიოდა ცრემლი და ლამპისგან გამურულ ცხვირ-პირს თეთრ ნაკადად გადასდიოდა. ის იყო, მოუღერა კეტი საგარძელს, რომ ისევ მამის წერილი დახედა. დახედა და ახლა უკვე ხმამაღლა წაიკითხა: „არ შეშინდე, არ გაბოროტდე! გაბოროტების საძირკველი სიმხდალვაა. მით უმეტეს, დაივიწყე შურისძიება!“ - უცებ ბალივით აღრიალდა ოცი წლის ჭაბუკი. რკინის კეტი და ნარკომის საცხოვრისის მძიმე კარი ღიად დააგდო, კიბე ჩაირბინა და ეზოში გაჩერებულ იმ საძაგლის ქალიშვილის ეტილიან მოტოციკლს მოჰკრა თვალი. კარგა ხანს უჭრილა, მერე აათუხთუხა, შემოდან მოველო და გააქანა. გვერდით ქუჩაზე ჩაუხვია, მოჩუქურთმებულ რკინის კართან დაამუხრუჭა. იქვე მდგარი ბიჭები ხმაურით შეეგებნენ:

- ვაა! ილიკოც მოსულა! საიდან ეს ზონია? - ხელი დაჰკრა არჩილამ მოტოციკლის ეტილის კიდეს.

„უხმოდ, თითქმის სიბრძლით აუარა გვერდი აბეზარ მეგობრებს და შუშაბანდის კარი ჭრილ-ჭრილით შეაღო. დაიჭირა:

- დედა ნინა, დედა ნინა! - შავკაბინა, ჭალარაშერეულმა შუახნის ქალმა გამოჰყო თავი. - დედა ნინა, იცი, როგორ მიყვარხარ?! - ქალს გულში იკრავდა ბიჭი, მერე აიტაცა და დააბზრილა. - შენ რომ ვინმემ განყენინოს, თავს წავაცლი, იცოდე! - რა იყო, დათვერი? - ჩაეკითხა ქალი.

- არა, დედა ნინა, ღვინით კი არა, სიყვარულით ვარ მთვრალი, შენი სიყვარულით! შენს ამბავს მე ვერასოდეს

გადავიხდი! დედა კი არა, დედა ხარ ჩემი! - ბიჭმა ქალს მამას წერილი გაუწოდა.

წინამ წერილი წაუკრუნა და თავაშვებულმა ნაილულულა:

- კარგი მშობლები გყავდა, შვილო, პატიოსანი, მშრომელი, განათლებული. იმათი სული განათლოს უფალმა! მეც დედა ვარ შენი, აბა, ვინ ვარ?! შენ ჩემი მეზობე შვილი ხარ, უფროსი ვაჟი! შენ გენაცვალოს დედა ნინა!

ბიჭმა ისევ გულში ჩაიკრა თავისავით დაობლებულ-დაცვრივებულ ქალი, რომელმაც სახლის კარი გაუღო და ხშირად თითო ლუკმით აპურებდა ობლად დარჩენილებს.

- გინდოდა რამე? ხომ არ გშია? იქნებ, კაკლის მურაბა მოგართვა? - იცოდა, რომ ბიჭს ძალიან უყვარდა კაკლის მურაბა.

- არა, არაფერი მინდა. შენს სანახავად მოვედ და ახლა წავალ, თავს არ მოგაბეზრებ!

- ეგ რა სათქმელია, შვილო?! თავის მობეზრება რა სიტყვაა?... - დაადევნა ქალმა გაქცეულ ჭაბუკს. ილიკო ჭიშკართან ისევ შეაჩერეს ბიჭებმა:

- ვისია, ბიჭო, ეს მოტოციკლი?
- რა თქვენი საქმეა! - უპასუხა ილიკომ.

- სად იშოვე ეს ბუყბუყა? ამით უნდა ნახვიდე? თექვსმეტი ცხენის ძალა აქვს მხოლოდ... კლდეზე არ გადაიჩხხო!

- გადავიჩხები და გადავიჩხხო! - არა, ბიჭო, ცირკის კიბეზე ახვალ კისლასითა? - სიცილ-ხარხარი დააყარეს ბიჭებმა.

- ტაქრე მანაც თუ იცი? - გაიღიმა არჩილა.

- მაგასაც ვნახავ, თუ არ ავალ?! - მოტოციკლს მოახტა ილიკო.

ბიჭები ისევ ხარხარებდნენ, ლოცვა ძრავა ათუხთუხდა, აღრიალდა და ადგილს მოსწყდა.

- სად წავიდა? - დაედევნენ ბიჭები.

- რა ვი, აბა?! მგონი, მართლა ცირკისკენ მიდის, - ჩაილაპარაკა ერთ-ერთმა. რახრახა ავტობუსში აცვივდნენ და უკან გაჰყვნენ უკვე თვალს მოფარებულ ილიკოს მოტოციკლს.

1940 წელი იდგა. თბილისის ცირკი ახალი აშენებული იყო. ჯერ ისევ ალამაზებდნენ გარედან, კიბეების გასწვრივ ბურქებს რგავდნენ, ხეებს კირით ათეთრებდნენ...

ნარკომის გოგოს თუხთუხამ მიუხე-მიუხვია და ქვითა და ღორღით მოფენილ მოედანზე შეჩერდა. ამ დროს ბიჭებიც მოვიდნენ. ილიკომ, შეიძლება ითქვას, ქუსლი ჰკრა და მარჯვენა კიბეს შეუყვია, შუა ბაქანზე სვლა არ შეუნებებია, ისე გაექანა დომინოს კოჭებივით ახორხილი საფეხურებზე. კი არ მიდიოდა ილიკო, მიფრინავდა. კიდევ ცოტა და სულ ზემოთ იქნებოდა. იცინოდა, ხარხარებდა და მაინც... თვალუბიდან ცრემლი სდიოდა, ლაპალუპით სდიოდა, გულისპირს უსველებდა და სულს უგრძობებდა. მამის ხმა ჩაესმა, აშკარად მამის ხმა იყო: „არ შეშინდე, არ გაბოროტდე! ბოროტების საძირკველი სიმხდალვა!“

უცებ იღრიალა: „არ შეშინა, არა!“ და ბოლო საფეხურებიც აათავა. გრილ-ხრილი მინავლდა. მას კი ისიც ვერ გაეცნობიერებინა, თვითონ გააჩერა ეს თუხთუხა თუ მაინცდამაინც ახლა უმტყუნა ძრავამ. ჩამოხტა; კიბეს ჩააყოლა თვალი და უბნის ბიჭები დაინახა: სულ ქვემოთ იდგნენ, ყვიროდნენ, ტაშს უკრავდნენ, ილრივებოდნენ... სიცილისაგან მათაც ცრემლი სდიოდათ.

უამრავი ხალხი შეიკრიბა, მილიციელებიც მოაწყდნენ კიბეს; ზემოთ აცვივდნენ, ხელები გადაუგრიბეს ილიკოს, ის კი იცინოდა, თან ტიროდა, მაგრამ მისი ცრემლი სიხარულისა იყო - პირველი გამარჯვების სიხარულისა.

მხატვარი იაგო ნიკოლაძე

►► პირველი გვერდიდან

ჩაყვიყვი!

გუნებაზე რად ვერ ხარო, –
გამამტყუნებს ნურავინ;
გაცვეთილი, ქვაფენილზე
ეშვება საბურავი.

გახსენებაც აღარ მინდა,
ჯავრი ბლომად მზურავდა,
გვიანია, არას მარგებს
ჩამოთვლა სამდურავთა.

ამას სიტყვა ვერ გამოთქვამს,
ვერც გიტარის აკორდი...
სიყმანვილეს ზესტაფონზე
უფრო მეტად დაგშორდი.

ვაჰმე, ველარ ვესტუმრები
იმ სახლს, მალალჭერიანს...
„ოდელია-რანუნისაც“
აღარსად არ მღერია.

არც მეზვერე ვარ და არც მზვერავი,
მხოლოდ დროდადრო მომივლის ბნედა,
ვერ დაინახავს იმას ვერავინ,
რასაც მე ერთი ფანჯრიდან ვხედავ.

მიზანი ახლო ჩათვალე შორად,
თუ ყულფში თავი ერთხელ გაყავი,
მარგალიტების გინდ დადგი გორა,
ვინაა შემწე ან დამნახავი?!

ახე იქნება

გამზადებული დასალენადა,
თქვენსავით შექმნილი ვარ მინიდან,
ვინაც მომზილა, ასე ენადა,
ემმასთან სული არ დამინინდავს.

რასაც ქვემორე ვიტყვი, ახდება...
გამზიარები მისი ბუნების –
ამაგის, ძველის, გადასახდელად
შავ მინასთანვე დასაბრუნები.

საცთურს, უთვალავს, არ ვიცი, ვდევ რად,
მოუღალავი, ისეც, ლელე ვარ,
რალას არ ვხედავ, თვით სიკვდილს ბევრად
აღემატება ამის შელევს.

მოყნელოვბელო

წუხელი ველარ ვიფიქრე სხვაზე
ანკი როგორი გასადღებია!..
მაცრემლებს, გულზე რო მიჭერს ასე,
ჩემი არჩილის ქერივი რძლებია.

ვინ რას მეტყოდა, ეს ვიცი მხოლოდ,
საავდრო ღრუბლებს გაჰყვენენო, ფრთაშავს...
მტერს და ავს, ჩვენსას, ასეთი ბოლო –
საით ნახვედით, გიგი და ლაშა?!

გაქანსაჩინაჯი იმზაქიბა

გავცქერ მახათას, მომესმის ცემა
ამ ჩემი გულის, აჩქარებულის, მაგრის...
დაფრენს კრაზანა და მისი ლანდი
ხის აივანზე მასავით სწრაფად დაქრის.

ზაფხულს მისტირის, ოქტომბრის მზეში
ქამანდისებრად დაკლაკნილს ავლებს მრუდეს,
ფუტურო სვეტში რომ ჩააშენა,
იმედზე არის წაგრძელებული ბუდის.

შავზოლება და ყვითლად მკუთავი,
თაფლს, ფუტკრის ნაზიდს, ავაზაკურად ჭამდა...
სითბოს რომ იწოვს, იმის ცდაშია –
მძინარე დახვედეს შორიდან დაძრულ ზამთარს.

აწათრით ვყობივარ მწერს

ჯავრს დავატარებ, ურვილი,
დავიარები ვირე;
წულარ მედრები მე, ვინაც
კალია დავიტირე.

ცად ატაცებულს ქარისგან,
აღარ მოსდევდა ჯანი,



ამხარ
კვიტაიშვილი

მინდვრის ბალახის მაგიერ
ხის ერგო აივანი.

არ შეუსრუტავს ცვარ-ნამი
და არც ჩასვლია ფინჩხა...
აღარაფერი იცავდა,
სიცივეს გაეფიჩხა.

რად იგვიანებს მერეხი,
რამ ჩაგაჩუმა, ქარო!..
მორუხო კალიასავით
მე საით გავეჩქარო?!

ცრემლის დამდენი, რამდენი
გამითენდება დილა?!
წლების წინ სანყლის დალუპვა
აღწერილი მაქვს წერილად.

შემომიხედავს და მინატრია
შენი გაძლება, ქვიტკირო!..
რამდენი წლისაც საქართველოა,
იმდენ ხანს უნდა ვიტყვი.

თუკი ძარღვებში იდინა სისხლმა,
სხეული თუ არ დაოსდა,
ვილოცებ ქვებისპერანგშემოცლილ,
ფუძემორღვეულ ტაოსთან.

როდემდე უნდა ვიტყუოთ თავი,
რომ მომავალი წინ არი?!
იჩქარის, აღარ დაგვიცდის ამდენს
სანუთრო, გაუცინარი.

კლდეთა პირღია სამალავები...
წყარო არ დაშრეს სამილე!
გასახარელი მითხარი, თორემ,
საგლოვარს მე რა დამილევს?!

მარცხივი შერაჩიბა

მახსოვს, რიყზე ერთ-ორჯერ ახტა
განშორებული ტბას, ცისფრად შევსილს...
ვერც დაიჯერებ, დარჩები სახტად,
სიკვდილთან ისე ახლოა თევზი.

თვალს აგიჭრელებს რიალი ფერთა...
თუნდაც სიმაღლე გერგუნოს კედრის,
ნუ წარმოიდგენ თავს, შენსას, ღმერთად,
კაცისაც ამგვარივეა ხვედრი.

აწი გამიმარტოვს

ანვივლებული მანვალებს ქარი
მიულწველის მადევარს,
ასი წელიც რო მომცეს უფალმა,
გამიჭირდება ჩატევა.

ვერ დავუნყვილე საკრავი საკრავს,
არ გამომადგა ეგ თარი...
დამწყველა ზენამ, ამდენ ჯაჯგურში
შემომელენა ბექთარი.

მეხის დაცემა მიჯობდა ამას –
წყალობამ ხელი ამაღო,
ვილას ვეურჩო, აღარა მრჩება
სათქვენო და საამაყო.

გვიან მივხვდი

ხომ ვიცი, როგორ ქრება ფანტელი –
ყინვის, ჰაერის ნაზი ნაზავი;
წლები, რაც დამრჩა, გახდა სანთელი
და თითო-თითოდ დნება მასავით.

არ ვედარები არაგველს, სამასს,
მე უგერგილო, ანუ მე ბოთე,
თქვენს გასაგონად ვაცხადებ ამას,
არა მგონია, დიდად ვცდებოდე.

ზამთრისპირა

ლოტვის მავიჯი

ვიტყვი, რამდენად ფასობს სიცოცხლე – უხვი ესე:
განოლილი ვართ ზურგით იმ სისხლის მდინარეზე.

აურაცხელი ცოდვა გულში გვეყრება ჭვილთად –
ფრინველ-ხვასტაგთა დაკვლა, მუცლად მოშობა ჩვილთა.

ნეტარებანი სოფლის და ხილვა მშვენებათა,
ვაქებთ, ვადიდებთ გამჩენს, გაგვიხანგრძლივოს ვადა.

შმაგურ ქცევათა, ძველთა და უპატიებელთა,
ჩამდენს და მონანიეს აქამდე მაპობს ელდა.

წვეტი მესობა ეკლის, ჯავრით სივდება ღვიძლი,
შეცვლას თავისა ვლამობ, საამისოდაც ვიცლი.

წლებგადანურვილს, მწარედ, მეტი მელონა რადა,
წყურვილი მახრჩობს, მენვის ჩახურებული ხახა.

გადავიტანე რაც რო, სახეზე მახატია,
ტივილიანი, ჩუმი – ეს ჩემი ლალადია.

უღელი მედგა, ცრემლი ლელედ მაქვს ნაღვარი,
აღარ ვანსხვავებ, ყოფნა – რა გარეთ, რა შინა!..
გამკვეთი ვინმემ რო მომიღიროს ლახვარი,
სულმობჯენილი შენზე ვილოცებ მაშინაც.

გავცდი უდაბნოს, ცოტალა დამრჩა მდელომდე –
რა ფერებია!.. თვალო, არა და არ ძლები!..
ცაში რომ ვფრენდე და ჩამოვარდნა მელოდეს,
მხოლოდ და მხოლოდ ჩემს მიწას დავენარცხები.

ცოცხლოვს რასამარხი

შეიშლები, ყოფნა კაცის რა მწირია, რა მცირე,
ველარავინ ამომქაჩოს, ბნელ ჭყანტობში ჩამძირე!

ენაბლუ და ჭკუით ზლაგვი, უილბლო, უამინდო,
დონდლო, ფეხებაბლანდული ბოლომდე არ დამინდო.

სად მექნება იმის თავი, გადავიკრა სხვა კანი,
ვითომ სარბიელი მქონდეს, არ მომცე გასაქანი.

უმონყალოდ დამიქნიე და კიდეში მიმწურე,
მეტსაც ველოდები, რაც მე ვინწვნიე სიბინძურე.

ერთად გადამასხი, საცა ტალახი და ლაფია,
ქვე-ქვე მქაჩავს, ფეხზე, ცალზე, წისქვილის ქვა მაბია,
აქვე წაანერე საფლავს მწარე ეპიტაფია.

განყვას ჩემი თაობა

წილოსანო ზალიკო, არც მგონიხარ მკვდარი,
არვინ იყო ხუმარა, შენი შესადარი.

ლანჩხუთლების სერობას გავიხსენებთ წულარ,
რალას შემოფუსხდებით ჩახვაშვილის ბუხარს.

თავი, ბოლო, მეც მკლავდა, ძმაო, შენთა ჭირთა:
„გოგო ვერ გავათხოვე, ბიჭი ქალს არ ირთავს!“

წაწყობილი დღეები სულ ერთმანეთს ჰგვანან...
ყველა ცეკვას მერჩივნა შენი „განდაგანა“.

ვფორიაქობთ რილასთვის, დავნელდებით თუკი?!
შემომენტო, მზუგავდა დოლის ბაგა-ბუფი.


დიდხანს ვინ შერჩენია ამ ცხოვრების კიბეს,
ის ხელები, ცახცახა, გულზე დაგიკრიფეს.

წუთისოფლის გერი ვარ, არვინ ჩამიკონა...
ეგებ, ღმერთმა მისმინოს, გლოცავ, ძამიკონა!

პიესაში გასოსვლაზელი ბარათაშვილი

გამომცემლობა „ნიგინერმა“ საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს მხარდაჭერით „ახალი ქართული ნიგინა“ პროგრამის ფარგლებში წიგნად გამოსცა გიორგი სავანელის პიესა „ეს მე ვარ, ნიკოლოზ ბარათაშვილი“.

გიორგი სავანელი პროფესიით თეატრის რეჟისორია. ეს მისი მეორე პიესაა. პირველი – „საუკუნის მკვლელობა – გზა ილიასი“, 2016 წელს გამომცემლობა „შემეცნება“ გამოსცა.



ნიკოლოზ ბარათაშვილი მთელი მისი ცხოვრებით, შემოქმედებით, მისწრაფებით, ბედითა თუ უბედობით პიესაში წარმოჩენილია ერთიან ისტორიულ და პოლიტიკურ ჭრალში და დღევანდელი გადასახედიდან ისტორიული წარსულის გადაზრების კონტექსტში.

პული წარმოდგენებისაგან განსხვავებული თავისი მისწრაფებით, ენერგეტიკითა და შინაგანი სამყაროთი.

გიორგი სავანელის „ეს მე ვარ, ნიკოლოზ ბარათაშვილი“

გიორგი სავანელის ფსიქოლოგიური დრამა, „ეს მე ვარ, ნიკოლოზ ბარათაშვილი“, დიდებული მიახლებაა ტატო ბარათაშვილის ადამიანურ და პოეტურ სილუეტთან. არიან პოეტები, რომელთა შემოქმედება ბრწყინვალე გამოძახილია მათი ცხოვრებისა, ტატო ბარათაშვილის მიმართ კი სხვა სენტიმენტები გამოკვეთა უღმობელმა დრომ და ბედისწერამ. მის პროზაულ ბიოგრაფიაშიც არის თვალსაჩინო მომენტები, მაგრამ უკვდავება, უდავო, მას პოეტურმა შემოქმედებამ არგუნა...

გიორგი სავანელის პიესის გმირი, ტატო-ნიკო-ნიკოლოზ ბარათაშვილი, მელანქოლიურ ტიპს წამდგომად არ მიეკუთვნება. იგი თავისი მიზანსწრაფვითა და ინტელექტით, ყმანვილკაცობის მოუხედავად, საზოგადო მოღვაწის რანგში წარმოჩენილია და მისი სახის გამოძიებისათვის პიესის ავტორს არა მხოლოდ ფილოლოგიური ალღო და ცოდნა მოეთხოვება, მისთვის აუცილებელია ადამიანის ბუნების შემსწავლელი მცენიერებების გამოცდილება.

გიორგი სავანელი ეპისტოლურ ლიტერატურულ მასალას სასცენოდ გარდაქმნის და 24-სურათიან ფსიქო-ბიოგრაფიაში სვედის რაინდის სახე-საიათს გვიხატავს. მოუხედავად ტატო ბარათაშვილის მცირე ეპისტოლური მემკვიდრეობისა (რაც პოეტის ხანმოკლე სიცოცხლემ და მისი ნაწერების დაკარგვამ განაპირობა), პირადი ბარათები ამ პიესის ფაბულას წარმოადგენს და პერსონაჟთა (პიესაში ოცდაათი პერსონაჟია), სასაუბრო ენა და საზოგადო ველი ადაპტირებულია თანამედროვეობასთან, მაგრამ ამასთანავე, მაქსიმალურად ახლოსაა პოეტის სამეტყველო ენასთან.

პიესისადმი ავტორის შემოქმედებითი მიდგომის წყალობით ვეცნობით ტატოსდროინდელი საზოგადოების პოლიტიკურ, სოციალურ-ეკონომიკურ და კულტურულ მდგომარეობას; ადამიანთა ცხოვრების წესსა და ინტერესს, ჩაცმის სტილს, მეტყველებისა და წერის კულტურას; წარმოდგენა გვექმნება ეპოქის ისტორიულ მოვლენებზე, პიროვნებებზე, იმდროინდელ საზოგადოებრივ აზრზე. ასევე, ვეცნობით პოეტის ახლობელთა თუ ნაცნობთა წრეს. ვიგებთ, ვისთან იყო იგი გულახდილი, საუბრობდა პირადი თუ საზოგადოებრივი ყოფის აქტუ-

ალურ საკითხებზე. გამოყენებულია ეპიტეტები, შედარებები, მეტაფორები, სინონიმები, აქა-იქ სკაბრუნიც.

პოეტის ფსიქოლოგიური პორტრეტის შესაქმნელად ასევე ვეცნობით ავტორის იდეოლოგიურ თვალსაზრისსა და შემოქმედებით პრინციპებს. ვეცნობით ოჯახური გარემოს როლს გენიალური რომანტიკოსის პიროვნების ჩამოყალიბებაში. პოეტის პირადი ტრაგედიის ერთ-ერთი მიზეზი იყო ოჯახის მატერიალური სიდუხჭირე და ის გარემო, სადაც იზრდებოდა მომავალი მგოსანი. მაღალი არისტოკრატიული წარმომავლობის, ერეკლე მეორის შვილთაშვილისა და ზურაბ ორბელიანის ასულის, ეფემიასა, და ასევე მეფის შთამომავლის, თავად მელიტონ ბარათაშვილის შვილი, გრიგოლ ორბელიანის დისშვილი ნიკოლოზ ბარათაშვილი იზრდებოდა წარჩინებული საზოგადოების ტრადიციებით. პოეტის ოჯახი იყო მრავალწევრიანი-მრავალშვილიანი, ინტელექტუალური, მაგრამ, ამავე დროს, კონფლიქტური.

გიორგი სავანელი ზუსტი შტრიხებით აცოცხლებს პოეტის მამას, მელიტონ ბარათაშვილს, ნიჭიერ და მცოდნე თავადს, რომელსაც, გასაკვირად, 1832 წელს, როცა ხელისუფლება მკაცრად უსწორდებოდა შეთქმულების მონაწილეებს, ებოძა მაიორობა და თბილისის მაზრის თავადაზნაურობის მარშობა. ნათელია, როგორ ჩამოყალიბდებოდა მამა-შვილის ურთიერთობა, როცა ტატო ამ შეთქმულების იდეური თანამგერძნობი იყო. მოუხედავად მამის განსაკუთრებული სიმკაცრისა, „ნიკოლოზის პიროვნებაში დედის კეთილშობილი ხასიათი განსახიერდა“. მშვიდი, სათნო, მიმზიდველი, ადამიანური ღირსებებით შემკული „სამაგზის კურთხეული დედა“ იმსახურებდა კიდევ ვაჟიშვილის სიყვარულს.

ნიკოლოზ ბარათაშვილზე დადებითად მოქმედებდა, ასევე, მისი ოჯახის სიახლოვე მანანა ორბელიანთან, ოსებ და გრიგოლ ორბელიანებთან, ალექსანდრე ჭავჭავაძის ოჯახთან და სხვა იმდროინდელ წარჩინებულებთან.

გიორგი სავანელი დამაჯერებლად გვიჩვენებს, თუ ხელისუფლებამ როგორ ჩამოაშორა საზოგადოებრივ მოძრაობას „მამულის გამოსხნის შეთქმის“ მონაწილენი, როგორ გადაასახლა ისინი იმპერიის სხვადასხვა გუბერნიებში.

შეთქმულების მარცხმა და რეპრესიებმა შეაფერხა მონინავე ქართველი ინტელიგენციის მოღვაწეობა. რუსიფიკაციას მოჰყვა საქართველოს „საუკეთესო კაცების“ გადასახლება, ის კაცები, (ვრ. ორბელიანი, გიორგი ერისთავი, დიმიტრი ყიფიანი, სოლომონ დოდაშვილი, ალ. ორბელიანი), რომელთაც შეეძლოთ მიეცათ ღირებული სულიერი საზრდო ბარათაშვილისათვის, რუსეთში გადააგზავნეს. მე-19 საუკუნის დასაწყისში საქართველოში არ არსებობდა დაწესებულება, სადაც შესაძლებელი იქნებოდა კულტურითა და მწერლობით დაინტერესებული ახალგაზრდების შეხვედრა: „იმ დროს ტფილისში არაფერი საზოგადო გასართობელი ადგილი არა გვექონდა, არც თეატრები, არც კონცერტები, არც კლუბები, – ჩვენი დროს გატარება იყო ან ერთად სადილი, ან ერთად საღამოზედ ყრილობა. ხშირად შევიყრებოდით ხოლმე ახალგაზრდა ამხანაგები ხან ნიკოლოზ ბარათაშვილთან, ხან ლევან მელიქიშვილთან, ხან სადილად გართუბნის ბაღებში“.

ბარათაშვილისდროინდელ თბილისში, მცირე გამოჩენილის გარდა, საზოგადოება ქეიფსა და დროსტარებას მისდევდა და არავითარი ღირებული ინტერესები არ გააჩნდათ. სწორედ ასეთმა რთულმა გარემომ განსაზღვრა ნიკოლოზ ბარათაშვილის მკვეთრად გამოხატული რომანტიზმი, რომელიც ევროპული რადიუსით გაიმართა. იგი გრძნობდა, რომ სხვა მდგომარეობისა და უკეთესი საზოგადოების ღირსი იყო. ამიტომ შემოიკრიბა თავისი ზნეობრივ-

-სულიერი მოთხოვნების თანაზიარი, მონინავე ადამიანები და 1833 წელს გიმნაზიელმა გამოსცეს ლიტერატურული ხელნაწერი კრებული, სადაც ახალგაზრდა ლიტერატორებმა მოათავსეს ალექსანდრე ჭავჭავაძის, გრიგოლ ორბელიანის, გიორგი ერისთავისა და ალექსანდრე ორბელიანის პატრიოტული ხასიათის თხზულებები. გიმნაზიელმა ურნალში შეიტანეს თავიანთი მასწავლებლის – სოლომონ დოდაშვილის წერილები. დაუფინსარია ამ ანთებული ახალგაზრდა სახეების შემოყვანა პიესაში.

გიმნაზიაში სწავლის პერიოდში ნიკოლოზ ბარათაშვილის პიროვნების ჩამოყალიბებასა და მის პოლიტიკურ-ლიტერატურულ-საზოგადოებრივ იდეებზე გავლენა იქონია ქართული ენისა და სიტყვიერების მასწავლებელმა სოლომონ დოდაშვილმა. აღნიშნავენ, ის რომ არა, შეიძლება არც ნიკოლოზ ბარათაშვილი ყოფილიყო. სოლომონ დოდაშვილი მონაწილეობს საგანმანათლებლო და ეროვნულ იდეებს უქადაგებდა, რაც იმ დროს პოლიტიკურ დანაშაულად მიიჩნეოდა. ტატო დაპატიმრებულიც კი იყო, როგორც სოლომონ დოდაშვილის მეგობარი, თუმცა ორი კვირის შემდეგ გაათავისუფლეს.

გიორგი სავანელს პიესაში იმ ქალ პერსონების მხოლოდ ნაწილი შემოჰყავს, რომლებიც პოეტის მოზის წარმომადგენლები. ტატოს პირველი სიყვარული – ნინო ორბელიანისადმი – ცალმხრივი გრძნობა აღმოჩნდა. შემდეგ იგი გატაცებულია ფრანგი დელფინა ლაბიელით, რომლისთვისაც პოეტს უძღვნია ლექსი „ჩემს ვარსკვლავს“. რომანტიკულად შენიშნავს ვალერიან გაფრინდაშვილი: „ზღვის სიყვარული ბარათაშვილმა გადაიჭანა ერთ ფრანგ ქალზე, რომელიც ჰქვია დელფინა.“ პოეტის ადრეული გატაცება, ქეთევან შალვას ასული ერისთავი პიესაში არ მოიხსენიება, ალბათ, ავტორს თავისი ვარაუდები აქვს, მაგრამ ერთი რამის გამოა ეს ეპიზოდი საინტერესო: ნიკოლოზ ბარათაშვილს ქეთევანისთვის უჩუქებია საკუთარი ხელით გადაწერილი „ვეფხისტყაოსანი“ და ასევე ლექსთა კრებული, რომელიც დამწვარა ქეთევანის მუეულის სახლთან ერთად.

გიორგი სავანელის დრამაში ყველაზე შთამბეჭდავი მაინც ეკატერინესა და ნიკოლოზის რამდენიმე შეხვედრაა, მაგრამ, როგორც პოეტს შემოაღამდა მთანმიდის ცის ქვეშ, ასევე მრუვე ფერებით დაიხატა მათი ვერშემდგარი სიყვარულის ეპოპეა. „ველარ აღმიგო სიყვარულმა კვალმა ტაძარი“, – გოდებს ტატო. გიორგი სავანელის პიესაშიც უმშვენიერესი კატინა დადიანის ცოლობასა და „თავადინიას“ ტიტულს ირჩევს. თუმცა პიესაშიც ჩანს და სინამდვილეშიც სწორედ ის იყო შთამაგონებელი და ადრესატი ნიკოლოზ ბარათაშვილის რამდენიმე საუკეთესო ლექსისა. „ბარათაშვილი, როგორც დიდი პოეტი, აღმოაჩინა ქართული ლექსის როდენმა, ილიამ“ (ვ. გაფრინდაშვილი), მაგრამ, რომ არა „მინგრელიის დედოფალი“, ტატოს 44 ლექსი უსათუოდ დაეკარგებოდა ქართული ლიტერატურის ისტორიას.

ნიკოლოზ ბარათაშვილს ეპისტოლურ მემკვიდრეობაში სიტყვაც არ დაუძრავს ქეთევან ერისთავის, მარიამ ფალავანდიშვილისა და თვით ეკატერინე ჭავჭავაძის შესახებაც კი, რადგან პოეტს მეტად ეძვირფასებოდა ისინი და ამიტომ მათზე მხოლოდ პოეზიის ენით საუბრობდა.

ნიკოლოზ ბარათაშვილის ბოლო გატაცება იყო ნახჭევანელი ხანის ქალი, გონჩა-ბეგუმი. 1845 წელს პოეტი მაიკო ორბელიანს წერს ამ ლამაზი ქალის სულიერი ტკივილების შესახებ: „ახლა ნახჭევანში ერთი ახალი ლექსია, თვრამბეტის წლის ქალის ნათქვამი, რომელსაც სახელად გონჩა-ბეგუმს ჰქვია; ხანის ქალია, ძალიან ლამაზი და მარილიანია“. ამ სიყვარულის შე-

სახებაც დუმს, პიესის ეპილოგში ცა ვფიქრობა, სცენაზე მაინც სანატრესო ოქნა ზანის უკლის რილვა გურამ ასათიანის აზრით ნიკოლოზ ბარათაშვილმა „ქრესტომათიული სიყვარული“ იცოდა. ვფიქრობთ, ესეც მისი ხასიათიდან მომდინარეობს – მისი ბუნება მოსახებრებელ ერთფეროვნებას სიყვარულის მშვენიერ ტანჯვას ამჯობინებდა.

ნიკოლოზ ბარათაშვილის ეპისტოლური მემკვიდრეობიდან ირკვევა, რომ პოეტსაც ჰქონდა სხვადასხვა დაუკმაყოფილებელი მოთხოვნები და შესაბამისად, სულის ტრაგედიის მიზეზი. მისი თქმით, გარემო იყო „სამიწელი სიკარგილით ალავს“, ასევე აწუხებდა „არსებობის მიზნის მოუნდომელობა“ და „ყოველივე ამქვეყნიურის ამაოება“. ეს განცდები გიორგი სავანელმა პიესაში ფსიქოლოგიური და მიზანმიმართული თანმიმდევრობით გვიჩვენა. ჩვენ თვალწინაა მრქეფარე და დაუდგომელი ტატო, მოძრავი და მარდი, მხიარული და პრობლემურ სიტუაციაში ოპტიმიზმისაკენ მიდრეკილი, რომელიც გვჩუქნის სვედიან სიხარულს და ასევე ღრმა ფიქრს ადამიანად დარჩენისა და გადარჩენის შესახებ. გიორგი სავანელს ასე „რბილი სვლით“ შეჰყავს პიესის მკითხველი (და შემდეგ საქვრატკლის მაყურებელიც) ტატოს ტკივილიან სამყაროში სულის განსანდგენლად, კათარზისისთვის, სავანელის პიესა განსაკუთრებით ახალგაზრდა თაობისთვისაა მამველი რგოლი და ორიენტირი. გიორგი სავანელის დამსახურებაა ისიც, რომ პიესა შედგა და ვფიქრობთ, რომ იგი სცენაზეც ხანგრძლივად იცოცხლებს და იმოგზაურებს.

გიორგი სავანელის დრამაში კარგად ჩანს ბარათაშვილის ოხუნჯი და ენამოსწრებული ბუნება. ტატო ჯერ კიდევ გიმნაზიაში სწავლისას ამქვადუნებდა თავის ირონიანარე ხასიათს და მავანნი ვერც „გადააურჩებოდნენ მის დატინვას“. პოეტი ოუმორს იყენებს ადამიანებისადმი თავისი მკვეთრი დამოკიდებულების გამოსახატად, თუმცა, მას ზოგჯერ სატირული ელფერიც დაჰკრავს და მისი ეს თვისება აქცენტირებულია მონოლოგსა თუ დიალოგში, ასევე თავისი საქციელის შეფასებისას პიესის თითქმის ყველა სურათში. პოეტი ერთგვარად დასცინის კიდევ საკუთარ თავს. ასეთი ოუმორის გამო, ნიკოლოზ ბარათაშვილი საკუთარმა ბიძამ, ილიკო ორბელიანმა დუელში გამოიწვია. ბიძა-დისშვილის დუელი დაგეგმილი იყო სხვათა მიერ და იგი წარუმატებელი გამოდგა, რადგან ლევან მელიქიშვილმა ტატოსთან შეთანხმებით ყალბი ტყვიებით დატენა დამბაჩები. ეს პასაჟი აკლია პიესას, თუმცა ვფიქრობთ, სცენაზე მისი ხილვა საინტერესო იქნება.

თავისუფლებისმოყვარე პოეტის „ღია თვლებით გარდაცვალება“ მაინც იმდროინდელ რეჟიმს მიენერება. მისი საფლავის გაჭრა, „მდელიოთა შორის ტრიალის მიწდერის“, ალბათ, იმ დევნის კანონზომიერ შედეგს წარმოადგენდა, რომელზეც მართებულად ამხვილებს ყურადღებას პიესის ავტორიც.

როგორც აღნიშნავენ, ნამდვილი ბარათაშვილი „ამ ხუმრობათა, შექცევათა და დროსტარების იქით იმალებოდა“, ნამდვილი და ნაღვი ტატო ამის სულის დლიურში – ლექსებში“ ჩანდა.

აქვე დავძენთ, რომ ადამიანებს ტატო ბარათაშვილი ღრმა ფილოსოფიური პოეზიით ხიბლავს და პიესის გაქვეყნებიდან „მერანის“ ავტორი გიორგი სავანელის ფსიქოლოგიური დრამის მთავარი გმირი იქნება. ტატოს მერანის გამოჩენიდან მასზე რჩეული თაობები ისხდნენ და ბევრნიც შორის ნატკრიტი უშვებდნენ მათ, ვისაც ეს ჰუნე შეისვამდა და ძირს არ ჩამოაგდებდა. ამიერიდან, თავისი ღვანლის გამო, ამ უკანასკნელთა რიგებს გიორგი სავანელიც ღირსეულად შეუერთდება.

თამარელა წონორია

ლასასრული. ღასასყისი „ლს“ №30

რაზო ზინაბიშვილი

„კლავ იყოს დანარჩენი“

იოჰან ვოლფგანგ გოეთეს „ფაუსტის“ დავით წერეთლისეული თარგმანი

„ფაუსტის“ გრძელი მონაკვეთებისათვის გამოყენებულია სტროფების ყველა ძირითადი სახეობა. განსაკუთრებით დიდია კატრენის, ორ-, ექვს- და რვასტრიქონიანი სტროფების გამოყენების შემთხვევები. მიწვეული რაოდენობით გვხვდება ტერცინა. მათი გადაბმის მიზნით გოეთე ხშირად იყენებდა კავშირს „და“, თუმცა ეს არ ყოფილა გამოკვეთილი სტილური ხერხი. ის ხან ტიპიური კავშირია, ხან წინადადების წინა ველის (Vorfeld) ან მარცვალთა რაოდენობის შემავსებელი საშუალება, უფრო ხშირად კი ეფფონიური სრულყოფის ელემენტი. მთარგმნელი გრძობს, რომ ორი საუკუნის წინანდელი ნაწარმოების აღნიშნული სინტაქსური მოვლენა ქართულ პოეტურ ტექსტს დაამძიმებს და მას ზედმეტად მიიჩნევს. მონოთემატური მონაკვეთი თავიდან „ციხე-დარბაზის შიდა ეზო“ მევენახის დაუღალავი შრომის ნაყოფს გვიხატავს:

მისი მშვიდი შრომის შემდეგ ყრიაშულის ჟამი დგება, დაუკრეფავ-დაუუვლეელი არ დარჩება ერთი ძირიც. გოდრები და კალათები აივსება მნიფე მტევნით. საწნახელში ჩაიცილება, ცეკვავს ხალხი შიგ ჩამდგარი. წმინდა ვაზის წმინდა ნაყოფს უხეშად და ტლანქად სრევენ, მაგრამ ჩენწო განზე რჩება, მოკრიალებს სუფთა წვენი. მერე უცებ კიშბალებად თიხის ჭურჭლის ისმის ხმები, დიონისე გამოჩნდება, მისტერიებს შემოიცილის.


თემა გამჭოლია და ლექსიკური ერთეულები საფეხურებრივად იშლებიან სემანტიკურ ტექსტში. სამი იგნორირებული და კავშირის მოუხედავად, თხრობა მწყობრია და დინამიურად მიემართება ექსტაზის, დიონისესთან თანაყოფისაკენ. ქართული ბუნებისათვის კარგად ნაცნობ ფენომენს, რთველის რიტუალს, გვირგვინად ადგას მაღალრუსთველური შაირი, რომელიც თავისი სიმეტრიული ფორმით (4 4 // 4 4) ბუნებრივად მიესადაგება პასაჟს.

თექვსმეტმარცვლიანი საზომი ტექსტში ხშირად არ გვხვდება, მაგრამ მთარგმნელი მას მიზნობრივად იყენებს. იგი საჭიროა გაბმულ მეტყველებაში ტონალობის ცვალებადობისათვის, რადგან დაბალი შაირით გამართული სტრიქონები შედარებით გრძლად იკითხება, ვიდრე მაღალი შაირით გამართულები:

ლუნმარცვლიანი მაღალი (4 4 4 4) – „ყველა ირგვლივ იმას ცდილობს, ყველა კაცი იმად იღვნის, // რომ ახალი ღვინისათვის დაიცალოს ძველი რუმბი“

კენტმარცვლიანი დაბალი (5 3 5 3) – „ტაძრის კურთხევა იწყება, დიდია ჩვენი ხადილი, // შენც დღეობაზე იქნები, მისი მშვენება ნამდვილი.“

ყურადღების გარეშე არ არის დარჩენილი ბგერათა პარამონიის აზრობრივ-ემოციური მხარე. ბგერითი ავტონომიისაგან განსხვავებით, ბგერითი სიმბოლიზმის შემთხვევები. ბგერათა სემანტიზაციის ამ ხერხის მთარგმნელი იყენებს აზრობრივი გამაფრების მხატვრული ეფექტის მისაღწევად. მოყვანილ მაგალითებში კონტექსტის შინაარსი უფრო მეტ შემოქმედებას ახდენს შესატყვისი აკუსტიკით, რაც მიღწეულია თანხმობანთა თავმოყრით და მათი ხშირი გამეორებით. ალიტერაციის ეფფონიურ



ეფექტს კიდევ უფრო ამყარებს არა სამკაულად მორგებული, არამედ სემანტიკურად დატვირთული რითმული დაბოლოებები: „ისევ ის ძველი ინილ-ბინილო, / უნდა მაგ ჩმახშიც წილი ვინილო! / აღარ გებზრდებათ ეგ მალაყები? / უბირთა ტვინის გასალაყები?“ „ისევ თუხთუხი, ზარი და ზათქი, / ერთად ალუფხვა მინის და ზეცის! / ველარ პოულობ, თუ ხედავ, ადვილს, / მიდი, სულელი, ნუგეში ეცი!“ „ვაზის რქა და რქანი თიხისა, / ვაზი ხეზე, ტაბლა ხისა. / თვალის ჩინო, არა ჩინდე, / ხმელი ხიდან, ღვინოვ, დინდე! / სასწაულო, უცხო რამ ხარ, / ის გიხილავს, ვისაც სწამხარ!“ „შესვი, დამთავრდა განამანია! / დაიგემოვნე, რა სახეს მანჭავ! / მაგან შეგაკრთო? ალმა პანიაში? / კაცი ეშპაკის დოსტი და ძმა ხარ!“

სავალისხმობა ის სიზუსტე, რომლითაც მთარგმნელი გვაოცებს ერთი მეტად ორიგინალური ლიტერატურული ტენდენციის დაცვისას. ეს არის სტროფების ბოლო ტაქტებისათვის განსაკუთრებული წონის მინიჭება, რაც სტროფებს ფორმალურთან ერთად შინაარსობრივ დასრულებულობასაც ანიჭებს.

გოეთესათვის ეს სიახლე არ იყო. ადრეული საუკუნეების გმირული ეპოსის გარდა, მისი თანამედროვენი – გელერტი, ლესინგი და შილერი ამის საუკეთესო ნიმუშებს იძლეოდნენ. არც მთარგმნელს ჰქონია ნაკლები გამოცდილება „ვეფხისტყაოსნისა“ და ქართული კლასიკური პოეზიის ნიმუშების სახით. გოეთესთან ასეთი ტაქტები გარკვეული კონტექსტის დასკვნას წარმოადგენს, რომლებიც აფორიზმის ან მასთან მიახლოებული ფრთიანი ფრაზის სახით არიან წარმოდგენილი. ცალკეულ შემთხვევებში, სადაც ფრაზას აფორიზმის ფორმა არა აქვს, მთარგმნელი თავად სძენს ავტორისეულ აზრისმიერ ნიაღვრულას სრულყოფილ გამომსახველობას:

რუსთველისეულ „უთვალავ ფერთა“ მცნობელ შემოქმედს არ გაუძნელდებოდა, გერმანული „farbiger Abglanz“ ფერად ანარეკლებად აღექვა და ღვთიური სხივით განათებულ სტრიქონებში ცხოვრების სიხალისე დაემკვიდრებინა, მით უმეტეს, რომ ეს სინტაგმა გოეთეს ნათლის სიმბოლიკას უკავშირდება:

შგავს ეგ ლივლივი, ჩაქრობა და აცისკროვნება, ლტოლვებს წამიერს, ციაგებად თანაშეკრებილით. დაფიქრდი მათზე და ჩახედები: კაცის ცხოვრება მოქსოვილია მაგ ფერადი ანარეკლებით.

შესაბამისი სიზუსტეა დაცული ავტორის მიერ გამოყენებული ფილოსოფიური იდეების გაუფრთხილებას. ის, რაც თარგმანში ასე მსუბუქად და მოხდენილად იკითხება, ხშირად მთარგმნელისთვის თავისებულის საგანია. წარმოდგენილ მონაკვეთში გაუფრთხილებული ფრაზები ნეოპლატონისეული მოძღვრების არსს – სულიერი პირველსაწყისიდან მატერიალური სამყაროს ემანაციას ახშიანებენ. იერარქია კი ასე გამოიყურება – მატერია, მასზე აღმატებული სული და კიდევ უფრო

მაღლა, პირველსაზე, რომელიც ყოველივეს საკუთარ არსში აერთიანებს.

ინენის ყოველი, ერთმანეთს ერწყმის, ვით ხმამრავლობა გალობის ერთხმის. ძალნი ციერნი ადი-ჩადიან, იცლებ-ივსება ოქროს ბადია, რომ ახლად შობდეს დამღევი დამდევს, რომ ყოველ არსში, მიწიდან ცამდე, მთელი სამყარო ჩანდეს და ჩქამდეს.

მაცდურ გულისტქმათა ძლევისა და ჭემ-მარიტების სინმინდით შემოსილი „ახალი კაცის“ ბიბლიურ მოტივს (ეფეს. 4.22) უკავშირდება სტრიქონები, დავით აღმაშენებლის „პირველსაზესთან“ პარამონიული შერწყმის მოტივსაც რომ გავგახსენებს:

ჩაასვით ჭანგი, უყვართ სულებს ზეცისკენ წასვლა, მას შემდეგ, როცა ძველი სახლის უხდებათ დაცლა.

ფაუსტი იდეალური სამყაროს წვდომის იდეითაა შეპყრობილი. მას რომ იდეისა და სინამდვილის თანხვედრის „უმალესი წამის“ პატივი რგებოდა, მაშინ მისი სწრაფვა შეჩერდებოდა, ნაწარმოები დაკარგავდა ტრაგიკულ შინაარსსა და მისთვის ესოდენ დამახასიათებელ შინაგან დინამიკას. ფაუსტის მუდმივ მზადყოფნას ამ სწრაფვის მიმართ დამაჯერებლად გამოხატავს სტრიქონები, რომელთა შორის მიმზიდველობით გამოირჩევა პოეტური ხედვით შექმნილი ფრაზები: დედნისეული – „სიამოვნებით შევწირავდი თავს“, მთარგმნელისეული – „ჩამასვე ჭანგი ქვესკელიერი!“ და დედნისეული – „ჩემი დრო წავიდა“, მთარგმნელისეული – „შედეგს საათი – ჟამი წავიდა!“ – / ძირს ჩამოცივდეს მისი ისრები.“

თუ წამს მიმავალს როდესმე ვეტყვი: „შეყოვნდი, წამო, ხარ მშვენიერი!“ დამდე ბორკილი, დამეც შენს ფერხთით, ჩამასვე ჭანგი ქვესკენელიერი! განთავისუფლდე იმავ წამიდან, რა მსახურებაც გაქვს ნაკისრები, შედგეს საათი – ჟამი წავიდა! – ძირს ჩამოცივდეს მისი ისრები.

გარდა იდეური და მხატვრული გამორჩეულობისა, გოეთეს ქმნილებამ რელიგიასთან მიმართების კუთხითაც მიიქცია ყურადღება, ხოლო დასაწყისში მოხმობილი საფინალო სცენა მწერლის შემოქმედების მკვლევართათვის ერთგვარ საჯილდო ქვადაც კი იქცა. თომას მანი შემდეგნაირად გამოხემაურა ამ საკითხს: „მის ქრისტიანობას – მისი პიროვნების ბუნებრივ შემადგენელ ნაწილს, რამდენადაც იგი არ დაუჩრდილავს ანტიკურ ჰუმანიზმსა და გერმანულ ჯიუტობას, პროტესტანტული იერი დაჰკრავს. იგი პროტესტანტია კულტურის მიხედვით; ... მისი ლუთერანობა ღრმა და ჭეშმარიტია, ეს არის ეროვნულ-პიროვნული ნათესაობა, მონათესავე სულის შეცნობა. ... მაგრამ მისი პროტესტანტობა, ისევე როგორც ყოველივე, რასაც იგი განასახიერებს და რითაც სუნთქავს, მთლად საიმედო არ არის: იგი ვერ მალავს კათოლიციზმით აღფრთოვანებას, რაც იმდენად მისი ესთეტიკური უპირატესობით კი არ არის გამოწვეული, არამედ კათოლიკური ცხოვრების დემოკრატიულ-თემური ძალით. ... რა იქნა მისი გერმანული არისტოკრატიზმი? სად გაჰქრა ის პროტესტანტული ნებისყოფა, როცა „ფაუსტის“ ფინალში იმითლა პოულობს შეებას – თუ სხვა გზა ვერ უპოვია – რომ პოეტურად დაგვიხატოს საკმეველის სუნით გაუფრთხილი კათოლიკური ზეცა...?“ დიდი მწერლის კრიტიკული აზრი ყოველთვის გასათვალისწინებელი და ინტერესის აღმძვრელია, თუმცა ამჯერად უფრო მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ, თავისი ლიბერალური აზროვნების შესაბამისად, გოეთემ ამ ფაქტით დასძლია მიჯაჭვულობა პროტესტანტულ დოგმატებზე და ყველა რელიგიური მიმდინარეობისადმი პატივისცემა გამოხატა. ეს კი იმ ტრადიციის გაგრძელებაა, რომელიც განმანათლებლური ბეპოქის დიდმა მესიტყვემ გ. ე. ლესინგმა, ბექტის მოტივით უკვდავ დრამაში „ნათან

1 თ. მანი, „ესეები გერმანულ ლიტერატურასა და მუსიკაზე“, მთარგმნ. რ. ღვინფაძე, „უნივერსალი“, 2014, გვ. 40-41.

ბრძენი“ (1779) თავისი საკუთარი პროტესტული ხედვით მთელი სიმწვავეთა დააყენა.

გოეთე „ვერტერის“ (1774) პერიოდში დანევ ალიარებდა საშუალომ რეალური სულიერი ძალების არსებობას, მაგრამ ლუთერანულ-პროტესტანტულ გარემოცვაში აღზრდილმა ვერაფრით ვერ ირწმუნა რეალური ღმერთის არსებობა. ღმერთი მისთვის სამუდამოდ დარჩა ბუნებასთან გაიგივებულ უპიროვნო სანყისად. ეს პანთეისტური მსოფლხედვა, რომელიც გოეთეს ფაუსტურ ბუნებასაც ღრმად ენათესავება, იკითხება კიდევ მის ლირიკაში, ლექსებსა და სიმღერებში, სადაც პოეტური ძარღვი უფრო გრძობისმიერია, იგრძობა ბედნიერების განცდა ბუნებასთან ერთიანობაში. გოეთესთვის ადამიანი ბუნების ნაწილია და ბუნებაც მისი პოეტური, განსულიერებული სინონიმია.

რელიგიაზე დაფუძნებული სტრიქონები რამდენადმე განსხვავებულად იკითხება. ჩანს, რომ რელიგია მისთვის კაცობრიობის კულტურული მონაპოვარია და არა რწმენის საუფლო. მიუხედავად ბიბლიის გენიის წინაშე მონიჭებისა და ბიბლიური სიუჟეტების სიღრმისეული ცოდნისა, რწმენით მოგვრილი განცდა გლოვისა და დატირების სცენებში მოზომილია, რადგანაც ფაუსტის სულის ამაღლებით გამოწვეული საზეიმო განწყობილება და ამ სასწაულეობრივი მოვლენის ამაღლებულობა იდუმალეობაში განიხვევება.

მათგან განსხვავებით, ქართულ სტრიქონებს მთარგმნელის უტყუარი ინდივიდუალობის ბეჭედი აზის, რითაც კიდევ უფრო გამოიკვეთება მისი სისხლბორცველი კავშირი ქრისტიანულ მწერლობასთან. ის ჭეშმარიტი მართლმადიდებლის განცდით აღიქვამს რელიგიურ სცენებს. ეს ფენომენი თარგმნის თეორიაში ეროვნული კოლორიტით განპირობებული რელიგიატური ქცევის მოდუსად არის ცნობილი და მთარგმნელი, რჩება რა ავტორის ლექსიკის სემანტიკის ფარგლებში, უფრო მეტ სულიერებას შთაბერავს სტრიქონებს. ისინი ტაძრის მყუდროებაში, საკურთხევის წინ. მუხლმოყრილი მლოცველის ფრაზებს გავგახსენებენ და კიდევ ერთხელ გვაგრძობინებენ, რომ რელიგიას მარტო ნუგეში კი არა, სიხარული მოაქვს:

„ღმერთო, ჩემს ფიქრებს ფრთები შეასხი, // ჩემს გულს ნანატრი მოეც ნათელი!“

„ნეტართა დასმა განუხენას ცანი, // მაღლი მოილოს მასზე.“

„ეგ სულიც იახლონ თან, // გვერდიგვერდ იარონ, // ღვთის სავედრებლები თქვან, // ნათელს ეზიარონ.“

გიცქერენ სასოებით აღვსილი სულნი, შენდობისა მთხოველნი, არიან ზეცისკენ გზახსნილნი, მომნანიებელნი ყოველნი. გვინდა, შენს ნათელს შეგვაფარო, ლოცვად მივიდრიკეთ თავი. ქალწულო, დედაო, დედოფალო, ქალღმერთო, წყალობა ჰყავი!

ძნელია, მოკრძალებული იმპრესიონისტული შტრიხებით შეაფასო მთარგმნელის ნაღვანის ღირსება. ამიტომაც იგი წარმოდგენილია დაკვირვებების სახით. ის კი დაგინახებ, თუ რა სიღრმისეულად აქვს ათვისებული დავით წერეთლის გოეთეს მიერ შექმნილი სამყარო; თუ რა გზით ცდილობს, ამაღლებულს ღირსება არ დააკლოს, დრამატულს სიმძაფრე არ მოაკლოს, ლირიკული იმავე განცდით შეგვაგრძობინოს. წიგნთან ხელახალი მიბრუნება კიდევ უფრო დაგვარწმუნებს ამ დიდი დრამის მეტყველების ტრაფარეტს დაცილებულ სიმბოლოურობაში; უფრო სიღრმისეულად შეგვაგრძობინებს მთარგმნელისეულ ფრაზათა დინამიკას, რითმითა მრავალფეროვნებას, სტრიქონების ეფფონიურ დახვეწილობასა და ბგერწერულ ოსტატობას. არც ის იქნებოდა ურიგო, ჩვენს შეჭირვებულ ყოფაში უფრო ღრმად გავვაზრებინა ფაუსტის შეგონება:

სულთა საუფლო არ არის ხშული, გადაგვხსნებათ, თუ გულს გაიხსნიო. ამიტომაც, როგორც ფრიდრიხ პოლდერ-ლინი იტყოდა, „კლავ იყოს დანარჩენი.“

პანტაჰი კლასი, მასაჩუსეტსი, №30



ნიმო დარბაისალი პანტაჰი კლასი №2

ვინმემ, შეიძლება, ეს ტექსტი წაიკითხოს და ლექსადაც კი მოეწონოს...

ეს კი - სხვა არაფერი, ლექსის თხზვაში საგარეოა:

ავიღე ოთარ ჭილაძის სტილი, ლექსის ფორმა, რიტმი (ქორე-დაქტილური, შუაში დიდცეზურული ათმარცვლედის - ამის აღნიშვნას მნიშვნელობა აქვს) და ინტონაცია, ცოტა რითმები დავაზუსტე;

მიუხედავად ფსიქოანალიზიდან ცივი ცეცხლის, არსადაც არაფერი, კიბის ამბები, დედაშვილური სექსუალური პარტნიორობის მოდელი; ცოტა ტრივიალური დრამატიზაცია შევძინე, ვითომ ვინმე წასულ შეყვარებულს ეღვინება (პრობირებულად მომგებიანი თემაა ქართულ პოეზიაში);

ბოლოში სამადაშვილი გამახსენდა და ცოტა დოზა არაპირდაპირი ალუზიისა იქიდანაც დაუშვათ და სულ ესაა!

პ.პ.ს. კი, კიდევ ერთი - რაკი კომპოზიციური „შტატივი“ წინასწარ არ დამიყენებია, ფინალში რკალური რეფრენი-ლა მოვიფიქრე ლექსის შესაკრავად.

ამ გვერდზე ძირითადად ის მეგობრები მოგიწოდებთ, ვისაც ლიტერატურასთან და ხელოვნებასთან პროფესიონალური დამოკიდებულება აქვს, ანუ ჩემი საერთო სამეგობროს არცთუ დიდი ნაწილი...

ახლა ცოტა გავერთოთ. ამ ეტიუდს დამოუკიდებელ ლექსად დავდებ ჩემს გვერდზე და ვნახოთ, რა გამოხატულებები ექნება.

სიზმარი

ეტიუდი

არა მინამდე, არამედ ცამდე მიყვარხარ, არც ბრალს არ გდებ რამეში. მაინც დავშორდით, თუმცა ვეცადე, ვიდრე შემიძლო, არსად გამეშვი.

ვარ უშენობით პირთამდე სავსე, რარვ შორია შენს შეხებადემე... რა იქნებოდა, რომ იყოს ასე, სიზმრად რომ გხედავ, შენც რომ მხედავდე.

კენტად ვიღვიძებ ყოველ ცისმარე, სრულდება, რაიც დანაქადია. უშენოდ ცხადი არის სიზმარი, სიზმრად თუ მოხვალ - უკვე ცხადია.

ზოგჯერ სიზმარი დედებში შემრთავს, შვილი ხარ ჩემი და რწევა-რწევიით უბით გატარებ, მტაცებენ შენს თავს ცყვირი, მოგდევთ და ველარ გენევიით!

გამედვიძება სასონარკვეთილს იმით, რომ ბავს ხმა ვერ გადმოსცდა და მერამდენედ ვსწავლობ გაკვეთილს, რომ ჩავაბარო რალაც გამოცდა.

რამ დამაძინა, რამ დამაწვინა, რამ მომიყვანა ლანდთა ველებთან? შენ დავდიოდა ღვარებად წვიმა, წვიმა, რომელიც არ გასველებდა.

თითქოს მკერდიდან დაგიგდე გული, მერე დამეგო ფეხებზე ბეჭი და ვიდექი მარტო, აღმოადებული, ცივი, ცისფერი ცეცხლი მექიდა.

ძილში ვიხილე სამყაროს კიდე, თითქოს არა ვარ, თანაც ვარსავეთ და ჩემს სიზმრებში ბრუნდება კიბე, კიბე, რომელიც ადის არსაით!

სცივათ პლანეტებს, უმატეს ხველას, კრთის და კანკალებს მთელი სამყარო... უნდა მასიზმრო კომმარო ყველა, თუ სიცოცხლესთან უნდა გამყარო?

არა მინამდე, არამედ ცამდე მიყვარხარ, არც ბრალს არ გდებ რამეში. მაინც დავშორდით, თუმცა ვეცადე, ვიდრე შემიძლო, არსად გამეშვი.

აქვე პატარა საიდუმლოს გასწავლით რითმინი ლექსის მოყვარულებსა და დამწყებებს, თორემ გამოცდილმა ავტორებმა, შეიძლება, ჩემზე უკეთაც იცინა:

ჯვარედინი რითმა (ABAB) ოთხსტრიქონდში რუსულ პოეზიას ძალიან ეადვილება.

ჩვენ, ქართველები, მონორაიმული, ანუ ერთ რითმაზე განწყობილი სტროფებით სავსე ვეფხისტყაოსნის პატრონები, ამით ვინ უნდა გავგაკვიროვოს, მაგრამ საუბარი გვიანდელ საუკუნეებზეა.

რუსული ლექსის ეს კანონზომიერება - ჯვარედინი რითმის ადვილობა - ათასნაირ მოკლე საზომებზეც ფართოდ ვრცელდება.

უთუოდ მის კვალად და ზეგავლენით ქართული ლექსის ტაქტიც ბოლო საუკუნეებში შესამჩნევად დამოკლდა, ძირითადად დიდ ცეზურასთან გაიყო (თუმცა მოკლე საზომის ადრეული ნიმუშებიც - თითო-ორი - მოგვეპოვება, შესწავლილია ეს ამბავი კარგად), მაგრამ დიდი კორპუსი დამოკლებულსაზომიანი ლექსებისა, მეტადრე თანამედროვე ქართულში, ჯვარედინად ვერ ირითმება და მხოლოდ მეორე-მეოთხეს (0A0A) სჯერდება ავტორები.

ათმარცვლიან ლექსში ეს, უბრალოდ, ტექნიკური უმწეობაა, თავად ლექსი გადასარევიც რომ იყოს.

ახლა პრობლემის მარტივად მოგვარების ცდა, რომელიც მერე შეგიძლიათ ათასნაირად, სათქვენოდ განაგრცოთ:

1. წერა, თხზვა დაიწყეთ ბოლოდან; ანუ, თუ საყურადღებოდ მიგაჩნიათ სახე ან სათქმელი, მესამე-მეოთხე სტრიქონზე კარგად, გამართულად გამოხატეთ, ჯერ რითმას ყურადღებას ნუ მიაქცევთ.

უფრო ფრანზის მოქნილობაზე იმუშავეთ.

2. ამის მერე უკვე მზა მესამე-მეოთხეს გაურთმეთ პირველი-მეორე, როგორც მოგიხერხებთ - ზოგს უკეთ შეუძლია ეს, ზოგს ნაკლებად გამოუდის, მაგრამ, რაკი მესამე-მეოთხე კარგი, ძლიერი გაქვთ, პირველ-მეორის მეტ-ნაკლებ სისუსტეს ლექსი აიტანს.

3. ნუ დაიბნევით, შეიძლება, უკვე მზა მესამე-მეოთხეში, კარგი რითმის ძიების გამო, ცოტა ცვლილება დაგჭირდეთ.

5. გამზადებული სტროფები უკვე „ფაზლივით“ შეგიძლიათ ააწყოთ, დაუკვირდეთ, რომელია მათში გამომსახველობითად ყველაზე ძლიერი და ბოლოში გადაიტანოთ, ხოლო რომლის დასაწყისიც ყველაზე ეფექტური გამოგვიდეთ, პირველ სტროფად დასვით.

6. სტროფები, რომელიც ამ მარტივი კომპოზიციის აგებაში ხელს გიშლით, ან გადაამუშავეთ და მოარგეთ, როგორც შეგიძლიათ, ან მარტივად, ამოყარეთ ან შემდეგისთვის შეინახეთ - რამეში გამოგადგებათ.

7. ჰო, ერთიც არ დამავიწყდეს! - ერთ ლექსში ერთი ორიგინალური, ოკაზიონური რითმა საკმარისია.

ორი - ცუდი არ არის, სამი უკვე თამაშურ პლანს აძლიერებს. ამაზე მეტი მთლად თამაშია, თუ კარგია, ხოლო თუ არადა, უგემოვნობის ნიშანი.

და რას მაგონებს, იცით? ამერიკის საელჩოში გასაუბრებაზე გასულ საუკუნეში ხშირად გავსულვარ. რიგის ლოდინში სხვა რა საქმე მექნებოდა, ხალხს ვათვალისწინებდი ისე, რომ არ შევენიშნე და ჩემი ყურადღებით არ შემეწუხებინა.

შეხედავდი, მაგალითად, შუა ასაკს გადაცილებულ ქალს, თმა რომ წუხანდელი შეღებილი აქვს და ნაჯაფარ, მზემოკიდებულ, კანდაშაშრულ ხელებზე ბლომად ნათხოვარი ოქროული აუსხამს, მჭახე მანიკიურაც გაუკეთებია; განა არა, სახეზე მაკიაჟიც უსვია, „რუმინაც“, ტანსაცმელ-ფეხსაცმელი - სულ ახალთახალი, „გაუტეხავი“ აცვია, აი, ახლად იარლიყმოგლეჯილი (მგონი, ცოტა უჭერს

კიდეც), თვალეში შიში და უმწეობა ასახვია და, ოფიცრის კითხვას რომ უთარგმნიან, რა არის ამერიკაში თქვენი გამგზავრების მიზანი, ხმამოცახცახე, სასაგამმრალი პასუხობს: - დასვენება, დათვალეირება!

№3

ათმარცვლიანი ქორე-დაქტილური რიტმული მონოტონიის ფარგლებშია დატყვევებული და ვერც რითმითა ორიგინალობით ან გამომსახველობითი შესაძლებლობებით გამოირჩევა ეს ლექსები.

არადა, ყველა სხვა საზომსა და რიტმულ ვარიაციებს რომ თავი დაეანებოთ, თავად ათმარცვლედის ფარგლებში არაერთი რიტმული ქარგა მოიძევა.

ეს სახელდახელოდ შედგენილი მაგალითები სრული არაა, ნაკლებოდან ციტირებებსა და პირობით ტექსტებს იყენებს თვალსაჩინოების ნიმუშად, რომ ავტორებს რიტმის აღქმა გაუთადვილოთ.

(5/5) ყველაზე ტრივიალური, ძირითადად ოთარ ჭილაძის ნყალობით: რა მოხდა, თუკი ველარ შეგხედებით, ამქვეყნად რაც კი ხდება შემთხვევით, მარადიული ის არის მხოლოდ.

4/4/2 ჩვენ კი ძვირფასს გადავკრავდით ღვინოს და ხელგაშლით ვთამაშობდით ქალადს.

3/3/3/1 ვისცნებ ნომბრის საღამოს მქრქალს, ფოთლები, ფოთლები მისდევდნენ ქარს.

4/3/3 გამარჯობა პატარა ქალაქო, გესალმები მოსული შორიდან, მომეგებე, ბავშვობის ალაგო, კვლავ გამართე მართლით და ჭორითა.

2/4/4 იმ ქალს, იმ ბერიკაცს გაუმარჯოს, ვისი ცხოვრების გზაც ეულია, დიდი შეცდომების პატიება ვისაც დიდსულოვნად შეუძლია.

3/4/3 გათენდა, აიკრიფა ნისლები, განათდა მინდვრები და ველები, ნაბიჯი უკან მრჩება მიმავალს, მოვიდვარ, ამ სანახებს ველები.

4/2/4 ჩისტკოპი შევლით ბანოვანებს, აივნიდან მზერა ებარებათ. საჯინიბოს კარი აჭრიალდა, ბედაური მოდის ნება-ნებად.

3/3/4 როდესაც წამოსვლას დააპირებ, გახსოვდეს კეთილი მასპინძელი.

P.S. ვგრძნობ, რომ უკეთესი მაგალითებია აქ საჭირო. ქართულ პოეტურ კრებულებში, მჯერა, ცოტა არ იქნება. იქიდან შერჩევა აჯობებდა, მაგრამ მე თან ხომ ვერ წამოვიღებდი ამდენს!

თუმცა თავი ხომ აქა მატეს, „რაზომცა დავეტარებო!“

საერთო კედელზე სტატია ვიპოვე იმაზე, თუ როგორი ძნელია მშრომელი ემიგრანტებისთვის საქართველოში დაბრუნება და ადგილის პოვნა და ამ სტემების მიხედვით, იმედი მაქვს, ამ დღეებში გავლექსავ თანდათან. ორი სტემა უკვე დავდე დაბლა.

ეს ისტორია - საერთო კედლიდან ავიღე. შინდაბრუნებული ემიგრანტის მწარე გამოცდილებას შეეხებოდა. ათმარცვლიანის ვარიაციებს ვაკეთებ. რალაცაში მჭირდება და ახლა რამე ორიგინალურის მოიფიქრების თავი არა მაქვს.

ვიზიტი

ეტიუდი 4/3/3 თვითმფრინავი თანდათან ეშვება, აიკრძალა გასვლა და შეშვება. აგროვებენ დარჩენილ სასმელებს, მოფიზილდება, ვინც თვალებს ასვენებს.

ზოგს კვლავ სძინავს, დაიცა რა ბანგი! (მთავარია, არ დაშრეს ტელეფონი) ბედნიერი დღე არის, რა კარგი, ვილას ახსოვს ნატკეტე, ნატკეტე მოსაცდელში შესული საშვენიით ჩამეკვრიან ბავშვების ბავშვები, მოვიკითხავ: - როგორ ხართ, რას შევებით? და ვისუნთქავ რა ლაღად, რა შევებით! მშობლიური მომელის ცხოვრება, ძველი დარდი არც მემახსოვრება. უკან დარჩეს, რაც რომ მიწამია. რალა დარჩა, მინამდე წამია! ფანჯრებიდან მზე გვეთამაშება, რა კარგია მშვიდობით დაშვება!

ვიზიტი

ეტიუდი (3/3/4) არ უთხრეს, ნუ წახვალ, აქ დარჩიო, გულშიაც არავინ ჩაიხუტა, მოგვისწარ უდროო ავდარშიო, უთხრეს. შინ - ჰაერი ჩაიხუტა. არადა, შორიდან ჩამოსული ელოდა შევლებთან ჩაკონებას, ყველასგან სიცივე დახვდა სრული, არ სურდათ სახელის გაგონებაც.

ჩამოსვლით - ერთი დღით გაიხარეს. მას შემდეგ - სიცივე, - დიას, არა! ვინც გაქრა, ვინც კარი გაიხურა, ვინც მისკენ წამით არ დაიხარა, ურწმრად წასულმა იმავ მხარეს, თავისი გაპარვით გაახარა.

ვიზიტი

ეტიუდი (3:3:3:1) დაბრუნდა, მიადგა საყვარელ კარს, ჩამოსულს ოჯახი ეხვია გარს, ასე გაილია პირველი დღე, მეორე დღიდან კი შეიქნა ტყვე. ნაჯაფარ ხელებში აღარა დევს, სტომაქს ვინ გაუფსებს პირლია დევს, - ცხოვრება აქ ისე ძნელია, - თქვეს, - არ არჩევს კორონა ჩვენსას და თქვენს. როგორ შეგინახოთ, ვინ მოგვცემს ჩირს საღირსად შრომაში? ლუკმაც კი ჭირს.

გვერჩია, როდესაც იყავი შორს, გვარჩენდი, ვისმენდით მართალს და ჭორს, იმაზე, თუ რასაც სარჩოსთვის იქმ, როგორ განადგურებს. ძნელია იქ, მაგრამ აქ იმდენი გვჭირდება რამ, ვალეში ჩავგავდო ფულების ყრამ.

გაჭირდა ამქვეყნად სიცოცხლეც და სიკვდილიც ძნელია, რა ვერჩება? ცდა! ვინ მოგვცემს დღეობას სიკეთეს მზას? ურწმრად ნაწიდა, გაუყვა გზას.

მიდის და სინანულს ცრემლებში რთავს: - სხვა რა ექნა, რარიგად ვარდით ავს! განა სხვას მოუკვდა, მოუკვდა თავს. მის სავალს უფალი ვარდებით რთავს.

ვიზიტი

ეტიუდი (3/4/3) მოდიხარ, გადალლილი ბრუნდები, გხვდებიან ნათესავთა გუნდები, იცლებს ჩემოდნები, ჩანთები, შიგნიდან აგახურებს შანთები, - სუყველას ყველაფერი ერგება?

- ეს სცადე, ჩაგტეოს ეგება, შეურჩევე წყვილ ფეხსაცმელს და კაბას, ეგ - მომწონს! - გაღიმებით დაგაბას, ცდილობს შვილიშვილი პატარა. შენ გქონდეს, - ხომ უშენოდ ატარა ბავშვობა, ყმანვილობა და უკვე გაზრდილა. გენატრება, დაუყვე ფოტოებს, მოგონებებს, ეფერო, ყოფა აფერადება უფერო!

როდესაც ფრიალული ნელდება, ფიქრები ნაღვლიანი გედება. თანდათან საყვედურებს მოისმენ: თითქოს-და აწყენინე როდისმე, თითქოს-და სხეებმა მეტი იშოვეს, თითქოს-და შეაჩვიე სიშორეს და ახლა კისერზეც კი აწევი, და გიხურს ჩამოშტყნარი ღანვები, რა ნახო საგზაო თუ სახიდე, არ იცი, იქ დარჩე თუ წახვიდე!

არავინ გელოდება აღარსად, გზა არ ჩანს აღარც მინად, აღარც ცად! ლოცულობ დაუცველი, უფარო; - მოგელი, გადმოხედე, უფალო!

კონკურსი ავტობიოგრაფიის და პოეზიის
კრეატიულ ნაშრომებში გასართული ქიური

ცოცხალი ხნის წინ გამოცემულია „კლიო“ ევროკავშირის პროგრამის — „შემოქმედებითი ევროპის“ მხარდაჭერით გამოაცხადა კონკურსი „ავტობიოგრაფია“, რომელშიც მონაწილეობდნენ დასავლეთი საფეხურის მოსწავლეები (მე-2-დან მე-6 კლასის ჩათვლით). მათ ჰქონდათ საშუალება, გამოეგზავნათ როგორც ინდივიდუალური, ასევე ჯგუფური ნაშრომები. კონკურსანტებმა მოცემული თემატიკის ფარგლებში ისეთი ემოციური, შემოქმედებითი და ფანტაზიის სავსე ნაშრომები მიანოდეს გამოცემლობას, რომ ჟიურის წევრებს არჩევანის გაკეთება და საუკეთესოს დასახელება აშკარად გაუჭირდათ.


პირველი დავალება ასეთი იყო: მოსწავლეებს წასაკითხად მისცეს კონკრეტული ნაწარმოების დასაწყისი, დასასრულის საკუთარი ვერსია კი თავად უნდა მოეფიქრებინათ. ბევრ საინტერესო ნაშრომს შორის იყო ისეთიც, რომელმაც ჟიური შეაფიქრინა: ერთ-ერთმა იხუმრა კიდევც — მგონი, ეს ვერსია თავად ნაწარმოების რეალური ავტორის მიერ შემოთავაზებულ დასასრულს სჯობს...

კიდევ უფრო დიდი შთაბეჭდილება მოახდინა იმ მოსწავლეების ნაშრომებმა, რომლებმაც საშუალო თემაზე მეორე კატეგორია, ანუ წერილის კონკრეტული ადრესატისთვის მიწერა აირჩიეს. თითოეული მოზარდის წერილი საოცრად ემოციური, ძირითადად, რეალურ ფაქტებზე აგებული გახლდათ და უმეტესობა კონკრეტულ პრობლემაზე აკეთებდა აქცენტს. წერილებს სწერდნენ ღმერთს, ჯერ არდაბადებულ დას ან ძმას ან სახლს, რომელშიც არავინ ცხოვრობს და ა. შ. ხშირად, იმ პრობლემაზე აკეთებდნენ აქცენტს, რაც ვერა და ვერ ამოვიძრკვეთ: ბუღინგი, გარემოს დაბინძურების თემა, ცხოველების მიმართ ცუდი მოპყრობა და ა. შ. რამდენიმე კოვიდპანდემიასაც ვერ აუარა გვერდი და საკმაოდ გულისამაჩუყებელი ამბები შემოგვთავაზა. იქნებ, მოზარდების წერილები ფართო საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომი რომ გახდეს, უფროსები უფრო მეტად დაეფიქრებოდნენ თვის სიყვარულზე, რომლისკენაც მივლითა ახალმა თაობამ...

მესამე კატეგორია ამბის კომიქსის საშუალებით გამოცემას ითვალისწინებდა. პირველი და მეორე კატეგორიისგან განსხვავებით, აქ, ძირითადად, სახალისო ნახატები წარმოებდა და ისე გამოვიდა, რომ პატარა მხატვრებმა ჟიურის განწყობილების ამალგებაზეც თავისთავად იზრუნეს.

ცნობისათვის, კონკურსის დასაწყისში პროექტის ავტორებმა ისიც დააანონსეს, რომ საუკეთესო ნაშრომებისთვის მოსწავლეებს გადაეცემოდათ სერტიფიკატები და სამახსოვრო საჩუქრები. თუმცა, „ავტობიოგრაფია“ ისეთი წარმატებით ჩაიარა და კონკურსიც ისეთი მასშტაბური იყო, რომ ჟიურის წევრების თხოვნით, კიდევ რამდენიმე ნომინაცია, ასევე — დიპლომები დაამატეს...

ლიკა ქაჯაია



შემოქმედებითი კონკურსი მე-2-6 კლასების მოსწავლეებისთვის

ავტობიოგრაფია

ირმა ლიბარტელიანი, პროექტის მენეჯერი: — გამოცემულია „კლიო“ ევროკავშირის პროგრამის — „შემოქმედებითი ევროპის“ მხარდაჭერით მეორე წელია ახორციელებს პროექტს — „დაუახლოვდეთ ლიტერატურულ ევროპას“, რომლის ფარგლებში თანამედროვე ევროპული ლიტერატურის 9 ნიგნი ითარგმნა. ამ პროექტის დახმარებით ქართველი მკითხველი თანამედროვე ევროპული ლიტერატურის ნიმუშებს გაეცნობა, რომელთა ნაკითხვის შემდეგ კიდევ ერთხელ დავრწმუნდებით, რომ ჩვენ საერთო საკითხები გვაქვს და ამ კუთხითაც დიდი ევროპული ოჯახის ნაწილი ვართ. პროექტის ფარგლებში თარგმნილ ნიგნებს შორის სამი საბავშვო გამოცემაა: ქართული ნარმოების

დაწერილი ნაშრომებაც. განსაკუთრებით სენსიტიური იყო ნაშრომები ოკუპირებული აფხაზეთიდან, სადაც ქართულს უცხო ენის ფორმით, კვირამი ორი დღე სწავლობენ.

მინდა უღრმესი მადლობა გადავუხადო თითოეულ მონაწილეს, რომ ჩვენი კონკურსით დაინტერესდნენ, იშრომეს და ბევრი საინტერესო წერილი გამოგვიგზავნეს. ვფიქრობთ, რომ პროექტზე მუშაობის პროცესი მათთვის საინტერესო და სასარგებლო აღმოჩნდა, ამის დასტურია ის უამრავი თბილი სიტყვა, რომლებიც კონკურსანტებმა, მათმა მშობლებმა და პედაგოგებმა მოგვწერეს. ეს კიდევ მოტივაციაა საიმისოდ, რომ მომავალში კიდევ უფრო საინტერესო კონკურსები მოვიფიქროთ და შევთავაზოთ ჩვენს პატარებს.

სამწუხაროდ, კონკურსის ფორმატიდან გამომდინარე, 500-მდე მონაწილე საპრიზო ადგილზე ვერ გავიდოდა, მაგრამ დარწმუნებული ვარ, კონკურსში მიღებული გამოცდილება თითოეულისთვის ერთგვარი საფეხური იქნება შემდგომი ნინსელისა და წარმატებისკენ.

მინდა უდიდესი მადლობა გადავუხადო ჟიურის წევრებსაც, რომლებმაც დღე და ღამე იშრომეს, რომ კონკურსის შედეგები დათქმულ დროს გამოგვეცხადებინა და მომლოდინე მონაწილეების იმედი არ გაგვეცრუებინა.

თამარ ნინიკაშვილი, ჟიურის წევრი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პედაგოგი:

— „ავტობიოგრაფია“ — ასე ერქვა ბავშვთა შემოქმედებით კონკურსს, რომლის ჟიურის ერთ-ერთი წევრიც ვიყავი. ვიდრე ნაშრომების შეფასებას შევეუდგებოდი, სახელწოდებიდან გამომდინარე, სახალისო და თავშესაქცევე ამბავს ველოდი — საქმე ხომ პატარებთან გვექნდა. თუმცა, სულ სხვა რეალობის წინაშე აღმოჩნდი: პირველი გაოცება შემოსულ ნაშრომთა სიმრავლემ გამოიწვია. აღმოჩნდა, რომ ამ საქმეს თამაშით კი არა, მთელი სერიოზულობით მოჰკიდეს ხელი პატარებმა. ამაში კიდევ უფრო დავრწმუნდი, როცა პირველი ათი საკონკურსო ნაშრომი ნაკითხვით, მეორე ათმა უკვე სერიოზული საფიქრალი გამოიჩინა. ათს ასი მოჰყვა, იმას კიდევ ასი და როცა მეგონა, — აი, ეს არის საუკეთესო-მეთქი, ახალი სიურპრიზი მელოდა. ყოველ ჯერზე ვრწმუნდებოდი, რომ პატარების ფანტაზიას საზღვარი არ აქვს.

კატეგორიაში „გააგრძელე ამბავი“ ერთი მოთხრობის დასაწყისი სრულიად სხვადასხვა კუთხით იყო გაშლილი, მხოლოდ კრეატიულობისა და ორიგინალურობის კრიტერიუმით არჩევა გაჭირდა. მოთხრობები ჟანრობრივადაც მრავალფეროვანი იყო — ფანტასტიკური, მძაფრსიუჟეტური, სათავგადასავლო, იუმორისტული, დეტექტიური...

საბოლოოდ, საპრიზო ადგილების მფლობელები მაინც გამორჩეულმა სიუჟეტმა (არადა, იმდენი იყო გამორჩეული), გამართულმა ნაწერმა და ორიგინალურმა დასასრულმა გამოავლინა.

კატეგორია „მისწერე წერილი“ ფანტაზიის გამოვლენის კიდევ უფრო მეტ შესაძლებლობას აძლევდა მონაწილეებს და მათაც გაძალეს ფრთები — წერილების ადრესატი ვისთვის ბებია და დედა იყო, ვისთვის — ძველი სახლი, ვისთვის — ოთხფეხა მეგობარი, ზოგი თავის თავს სწერდა მომავალში, ზოგი — ღმერთს, ზოგიც დღიურს ანდობდა საიდუმლოს. იყო საოცრად გულწრფელი, გულისამაჩუყებელი, იმედიანი, ცრემლიანი, დასაფიქრებელი წერილები, რომელთა შორის არჩევანის გაკეთება რთული გახლდათ. ამ შემთხვევაში უპირატესობა მივანიჭეთ წერილებს, რომლებიც მოზარდი თაობისთვის პრობლემურ საკითხს ეხებოდა, გულწრფელობით გამოიჩინა და ყველაზე ორიგინალური ადრესატი ჰყავდა.

კომიქსების კატეგორიამ გვიჩვენა, რომ ეს თაობა კარგად იცნობს გრაფიკული თხრობის ტექნიკას და არა მარტო იცნობს, კარგად ფლობს. შერჩევას გათვალისწინებული იყო ნახატების განლაგება, დიალოგების თანმიმდევრობა, იუმორი, პერსონაჟების ხასიათი, ასევე ავტორთა ასაკი.

სამწუხაროდ, ზოგადად კონკურსის საპრიზო ადგილები შეზღუდულია და შეუძლებელი იყო იმდენი გამარჯვებული გამოგვევლინა, რამდენი ნაშრომეორეც წინასწარ შედგენილ სიაში ჰქონდა მონიშნული ჟიურის თითოეულ წევრს... მინდა, ვისარგებლო შემთხვევით და ყველა მონაწილეს მადლობა გადავუხადო, წარმატებები ვუსურვო მომავალში!

გთავაზობთ კონკურსში გამარჯვებულთა სრულ სიას და ნომინაციებს:

კატეგორია 1. გააგრძელე ამბავი

I ადგილი: ნიკოლოზ ვაშაქიძე — ქალაქ თბილისის №186 სკოლის V კლასის მოსწავლე;

I ადგილი: ბორჯომის №1 საჯარო სკოლის V კლასის მოსწავლეები: ცოტნე აბრამაშვილი, გიორგი ბარდაძე, გიორგი ბლიაძე, ნატალი გეგეშიძე, გიორგი გელაშვილი, ანდრია ვალიშვილი, საბა თედიაშვილი, ნიკოლოზ მაისურაძე, დანი მარანჯიშვილი, მარია ოქროიძე, ნინო რაზმაძე, საბა სამხარაული, სალომე სესაძე, კონსტანტინე სიდამონიძე, დავით ტაბატაძე, ლუკა ლონდაძე, დავით შალუტაშვილი, მარიამ შატბერაშვილი, ნანუკა შაყულაშვილი, დემეტრე შოთაშვილი, ნინია ცხველიანი, ვერიკო ჯავახიშვილი, ანა ჯიქურაშვილი, გიორგი კალანდაძე;

II ადგილი: ბარბარე ჰაპიაშვილი — სერვანტესის სახელობის გიმნაზია აია-ჯესის V კლასის მოსწავლე;

III ადგილი: ბარბარე გოგრიჭიანი — სსიპ ქალაქ თბილისის №177 საჯარო სკოლის VI კლასის მოსწავლე;

III ადგილი: ნინო ბერიძე — სსიპ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვაბლის საჯარო სკოლის V კლასის მოსწავლე.

კატეგორია 2. მისწერე წერილი

I ადგილი: მეგი აბაშიძე, ანასტასია ფელიშვილი, ავთანდილ ქაშაშიძე, მარიამ ხალვაში, ლიზი ზოიძე — სსიპ ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ნაკიძეების საჯარო სკოლის VI კლასის მოსწავლეები;

II ადგილი: ბარბარე გელაშვილი — სსიპ ქალაქ რუსთაფის №21 საჯარო სკოლის V კლასის მოსწავლე;

III ადგილი: ანთა გოგრიჭიანი — სსიპ ქალაქ ბათუმის №6 საჯარო სკოლის III კლასის მოსწავლე.

კატეგორია 3. შექმენი კომიქსი

I ადგილი: ბარბარე გოგრიჭიანი — ქალაქ თბილისის №177 საჯარო სკოლის მოსწავლე

I ადგილი: მარნეულის მუნიციპალიტეტის სოფელ ჯანდარის საჯარო სკოლის IV კლასის მოსწავლეები: აიან გუსეინოვა, აიდან გუსეინოვა, აიდან ასლანოვი, აილინ მამედოვა, აისელ გოჯაევა, ალი სალახლი, აპუ მამედოვა, ელიფ მამედოვა, ლამან მამედოვა, მურად მამედოვი, მუჰამედქანას გასანოვი, სოლმან ნამაზოვა, ფამა ბაირამოვი და რუსთაფის №4 საჯარო სკოლის II კლასის მოსწავლე ელენე ნადირაშვილი;

II ადგილი: ანა მანჩაშვილი — სსიპ ილია ჭავჭავაძის სახელობის ქ. ხაშურის №3 საჯარო სკოლის III კლასის მოსწავლე;

III ადგილი: გიორგი ხეცაშვილი — სსიპ ქალაქ ქუთაისის №30 საჯარო სკოლის VI კლასის მოსწავლე.

ნომინანტები საპრიზო კატეგორიებში:

„ყველაზე მძაფრსიუჟეტური ამბავი“ — ელენე ექონია, ერეკლე ბურჯუაძე, ელენე უჯმაჯურიძე — სკოლა „პოლიგლოტის“ VI კლასის მოსწავლეები;

„ყველაზე ემოციური ამბავი“ — შოთა პავლიაშვილი — სსიპ ყვარლის მუნიციპალიტეტის სოფელ ახალსოფლის №2 საჯარო სკოლის III კლასის მოსწავლე;

„ყველაზე უცნაური ადრესატი“ — ჭესარია ჩარვაზია — სსიპ ქალაქ თბილისის №221 საჯარო სკოლის IV კლასის მოსწავლე;

„ყველაზე სახალისო პერსონაჟი“ — გიორგი თინიკაშვილი — სსიპ ქალაქ გორის №8 საჯარო სკოლის VI კლასის მოსწავლე.

„ყველაზე ორიგინალური გაფორმება“ — მარიამ აბიანიძე — სკოლა „აბი მთიების“ VI კლასის მოსწავლე.

„ჟიურის სპეციალური ნომინაცია“ — ქეთევან ყოლაბაია — გალის რაიონის სოფელი ჭუბურხინჯის №2 სკოლის

„ყველაზე აქტიური გუნდი“ — სსიპ — ქალაქ თბილისის №65 საჯარო სკოლის სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების მასწავლებელი ნინო გოდერძიშვილი და ამავე სკოლის მოსწავლეები: ცოტნე ნივილაშვილი, ფანა ვოსკანიანი, დემეტრე ასლამაზიშვილი, სესილია სიფრაშვილი, გულნაზ მამედოვა, მარიამ შენგელია, ვიქტორია კეკელია, მარიამ სეფიაშვილი, გიორგი კენკეაშვილი, ლიზი ჭანტურია, მარიამ ხახვიაშვილი, ელენე ქობულაძე, დემეტრე ხატიაშვილი, ლაზარე ლაშხი, ალექსანდრა ტყემლაშვილი, გიორგი ბუგიაშვილი, გიორგი ვისიტანი, მარიამ გურგენაძე, ნიტა ბორცვაძე, ეკატერინე ბორჯაძე, ლუკა გვიმრაძე, ნიტა კუკულაძე, თინანო კილაძე.

P.S. გამოცემულია „კლიოს“ პროექტების შესახებ ინფორმაციას და გამარჯვებულთა ნაშრომებს შეგიძლიათ გაეცნოთ გამოცემილი „კლიოს“ ვებგვერდზე www://klio.ge/projects/.

მთავარი რედაქტორი ივანე ამირხანაშვილი
მთავარი რედაქტორის მოადგილე ელისაბად მატრაველი
ფინანსური მენეჯერი ქაიხარაძე დავითიანი
კომპიუტერული უზრუნველყოფა: ბელა გვილასიანი, მზის პარპაძე
დიზაინერ-დამკაბადონებელი, გავრცელების სამსახური ვილდემარ შანსკი
ზანდუქელის №1; ტელ.: 293 69 77 E-Mail: litsqartvelo@yahoo.com

„ლიტერატურული საქართველოს“ საბანკო ანგარიშის ნომერი:
საქართველოს ბანკი, GE43BG0000000161665862
დაბეჭდილია შპს „საარის“ სტამბაში
მისამართი: თბილისი, თევდორე მღვდლის 57
ISSN 1987-9806
9 771987 980005